ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

19
აპრილი,
სამშაბათი
2016 წ., №5

ნომერში

■ შეხვედრა კანდიდატებთან
გვ. 3-6

■ ინესა მერაბიშვილი: საარჩევნო კომისიამ უკვე დაუშვა რიგი შეცდომებისა



■ სამართლიანი იყო თუ არა საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება?
გვ. 6

■ შალვა საბაური: მხოლოდ თსუ-ში მიმდინარე პროცესების გამო არ შეიძლება კანონში ცვლილებების შეტანა!
გვ. 7,9

■ ტიერი ბერიშვილი რექტორის გადადგომას წერილით ეხმაურება

■ პროფესორ ირაკლი კოვზანაძის ახალი წიგნი თაროზე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელს 20 აპრილს აირჩევენ

30 მარტს თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ პოსტის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. გადადგომის რეალური მიზეზის დასახელებისგან რექტორი ამჯერად თავს იკავებს. ლადო პაპავა რექტორის მოვალეობას 21 აპრილამდე შეასრულებს, ანუ მანამდე, ვიდრე რექტორის მოვალეობის შემსრულებელს აირჩევენ. უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დააკმაყოფილა თსუ-ის რექტორის განცხადება მისი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა, რომლებიც 29 მარტიდან ლადო პაპავას გადადგომის მოთხოვნით შიმშილობდნენ, აქცია მაშინვე შეწყვიტეს, რაც რექტორმა პოსტის დატოვების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო.

გვ. 3

პრემიერ-მინისტრი პირადად ჩაერთვება „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის შემუშავებაში

გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტი „აუდიტორია 115"-ში

17 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი სტუდენტებთან შესახვედრად მივიდა. მისი ვიზიტი იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ წინასწარ არც მისვლის დრო და არც ადგილი არ ყოფილა განსაზღვრული. ამიტომაც, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს ცოტა ხანი VI კორპუსის ჩარაზულ კართან ცდაც მოუწია.

დაახლოებით დღის 3 საათზე პრემიერი თსუ-ის პირველი კორპუსის 115-ე აუდიტორიაში სტუდენტებს დახურულ კარს მიღმა შეხვდა. საათნახევრიანი დისკუსიის და მსჯელობის შემდეგ ბატონმა პრემიერ-მინისტრმა მედიასთან გააკეთა განცხადება, რომლის მიხედვითაც იგი მზადაა, ჩაერთოს განათლების სისტემის რეფორმირების პროცესში და სტუდენტებთან ერთად განიხილოს ყველა პრობლემური საკითხი: „ეს იყო ძალიან საინტერესო შეხვედრა. სტუდენტების მოთხოვნების დიდი ნაწილი, მართლაც, გულითაა ნაკარნახევი. მე ყურადღებით მოვუსმინე მათ. შევთანხმდით, რომ სტუდენტური თვითმმართველობა იმ მახინჯი სახით, რა სახითაც არსებობდა, აღარ უნდა არსებობდეს. კონკრეტულ ფორმებს, რა

მე-2 გვერდზე

ლადო პაპავა: ძალოვანმა და სხვა სტრუქტურებმა თსუ-ში ბინძური თამაში წამოიწყეს

„ყველაფერი სახელმწიფოში დამკვიდრებული მავნებლური კოჰაბიტაციის შედეგია", — ასე აფასებს გაზეთ „კვირის პალიტრასთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში თსუ-ში განვითარებულ პროცესებს უნივერსიტეტის ჯერ კიდევ მოქმედი რექტორი ლადო პაპავა.

პაპავას განმარტებით, „ქვეყანაში განვითარებული პროცესები, როდესაც ვერ გაიგებდი, ხელისუფლებაში „ქართული ოცნება" იყო თუ „ნაციონალური მოძრაობა", უნივერსიტეტზეც ერთი ერთში აისახა".

„დიახ, ეს ყველაფერი მართული იყო იმ ძალების მხრიდან, რომლებიც დღემდე სამთავრობო სტრუქტურებში მყუდროდ არიან მოკალათებულნი, თუმცა ეს ის ინფორმაციაა, რის გასაჯაროებასაც ამ ეტაპზე მოვერიდები. მოვა დრო და ამ ყველაფერზე აუცილებლად ვისაუბრებ. 2013 წელს უნივერსიტეტში ისტორიული არჩევნები ჩატარდა. მართალია, ამ პერიოდში პრეზიდენტი კვლავ სააკაშვილი გახლდათ, მაგრამ სხვადასხვა სტრუქტურები მას აღარ ემორჩილებოდნენ. ამასთან, „ქართული ოცნება" ეიფორიაში იყო, ხელისუფლების საშუალო და ქვედა რგოლები კი ახალ პატრონს ეძებდნენ და მნიშვნელოვან პროცესებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. სწორედ ამან განაპირობა, რომ უნივერსიტეტში მოსულიყო კაცი, რომელიც დამოუკიდებელად იმოქმედებდა და ზეწოლას არასოდეს დაექვემდებარებოდა", — აცხადებს პაპავა.

მისივე თქმით, ყველაზე მწვავე ზეწოლა პირველად მაშინ იგრძნო, როდესაც შეიტყო, რომ უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან გაზგასამართი სადგურის აშენება იგეგმებოდა, რომელსაც, პაპავას აზრით, ჩინოვნიკები ლობირებდნენ.

„თუმცა ამაზე მეტს დღეს ვერ ვიტყვი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, „ქართული ოცნების" მთავრობა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის აშენებაზე ოდესმე ლიცენზიას თუ გასცემდა. ვერც იმას დავიჯერებდი, რომ კონკრეტულ ბიზნესს ამ მასშტაბის მხარდაჭერა ექნებოდა. მაშინ გაზგასამართი სადგურის მშენებლობა სტუდენტებმაც გააპროტესტეს და, საბედნიეროდ, ეს პროცესი შეჩერდა.

მორიგი ზეწოლა კანცლერის არჩევნების წინ დაიწყო, ბევრს ვერ ვისაუბრებ, თუმცა ძალოვანმა და სხვა სტრუქტურებმა თსუ-ში რექტორისგან დამოუკიდებელი ბინძური თამაში წამოიწყეს", — აღნიშნავს ლადო პაპავა. მისი თქმით, იგი თანამდებობიდან საკუთარი სურვილის საფუძველზე წავიდა, რადგან პროცესების უარესი სცენარით განვითარება იგეგმებოდა. „ეს ჩემს წინააღმდეგ მოწყობილი პროვოკაცია იყო. ისიც კი იკადრეს, რომ სტუდენტების ნაწილი საშიმშილოდ დაესვათ", — განაცხადა რექტორმა, რომელიც 2-3 დღეში თანამდებობას საბოლოოდ დატოვებს.

პრემიერ-მინისტრი პირადად ჩაერთვება „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის შემუშავებაში

გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტი „აუდიტორია 115”-ში

პირველი გვერდიდან

სახით იარსებებს იგი, კიდევ ერთხელ განვიხილავთ. ასევე შევთანხმდით, რომ სტუდენტების მხრიდან შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელთან ერთადაც ვიმუშავებთ. პირადად ჩავერთვები ,,უმაღლესი განათლების შესახებ” კანონის შემუშავებაში. შემდეგი შეხვედრა ჩვენ მომავალი კვირის მეორე ნახევარში დავთქვით და უკვე სამუშაო ატმოსფეროში გვექნება საუბარი დაფინანსების პრინციპებზე, განათლების სისტემის კრიტერიუმებზე, ასევე, უნივერსიტეტებში მმართველობის ორგანოების სტრუქტურებზე და სხვა მტკივნეულ საკითხზე. სტუდენტური პროტესტი არ არის უცხო რამ, სამწუხაროა, რომ ზოგიერთ კორპუსში სასწავლო პროცესი შეჩერებულია, მე მათ ვთხოვე, რომ შეწყვიტონ პროტესტი და გარკვეული გარანტიებიც გავეცი. ვნახოთ, გაიზიარებენ თუ არა ამ თხოვნას“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

„აუდიტორია 115“-თან შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრი უნივერსიტეტის რექტორსაც შეხვდა. აკადემიკოსმა ლადო პაპავამ შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ პრემიერის მხრიდან სტუდენტებთან შეხვედრა მისასალმებელი ნაბიჯი იყო: „პრემიერის მიერ გადადგმული ნაბიჯი მისასალმებელია. მე არ დავსწრებივარ შეხვედრას, მაგრამ ვიცი, რომ მან მზაობა გამოთქვა ერთობლივ მუშაობასთან დაკავშირებით. კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმში, რომლის მომხრეც ყოველთვის ვიყავი, ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა შეიძლება“, — აღნიშნა მან. კითხვაზე, ეთანხმება თუ არა თავად რექტორი სტუდენტების მოთხოვნებს, ბატონმა რექტორმა განაცხადა, რომ არის საკითხები, რომელიც, შესაძლოა, გადაწყდეს და არის საკითხები, რომელიც ჯერ მომწიფებული არ არის: „მაგალითად, 2013 წლის კონცეფცია უმაღლესი განათლების რეფორმის შესახებ არც მაშინ მომწონდა და არც ახლა მომწონს. ის თეორიულად ლამაზი კონცეფციაა, მაგრამ საქართველო ამისთვის მზად არ არის. ჯერ უნდა გადაწყდეს უნივერსიტეტების დაფინანსების საკითხი და მერე შეიძლება კონკრეტული კონცეფციის რეალიზება“, — ბრძანა ლადო პაპავამ.

საერთო გადაწყვეტილებით, „აუდიტორია 115“ მე-6 კორპუსს დატოვებს მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრი გააკეთებს ოფიციალურ განცხადებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სტუდენტური მოძრაობისაგან განსხვავებული მოსაზრებები აქვს სტუდენტური თვითმმათველობის წარმომადგენლებს. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის, შალვა საბაურის განცხადებით, „პრემიერის შეხვედრა სტუდენტებთან დადებითი ფაქტია, რადგან პირდაპირი კომუნიკაცია მოქალაქეებთან იდეალური ფორმაა, მაგრამ უნივერსიტეტის ავტონომიურობის იდეა მთავრობის ჩარევას არ გულისხმობს. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების მხრიდან ჩვენი ველურებად შერაცხვამ და არსებული მთავრობის მხრიდან მახინჯ სისტემად მოხსენიებამ, მგონი, დაადასტურა, რომ დღეს სტუდენტური თვითმმართველობა არავისი ლობირებით არ სარგებლობს და წარმოადგენს აბსოლუტურად დამოუკიდებელ სტუდენტურ ინსტიტუტს. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს მახინჯ სისტემას დღეს და როდესმე თუ არსებობდა (2014 წლის მაისამდე), ამაზე პასუხს დღევანდელი მოწვევა არ აგებს. თუ ვინმე ამაზე პასუხს ითხოვს, მაშინ პრინციპის დონეზე ყველა ახალმა მთავრობამ წინა მთავრობის ქმედებებზე უნდა აგოს პასუხი. სტუდენტური თვითმმართველობა აცხადებს: 1. მთავრობის მეშვეობით ხისტი რეგულაციების შექმნა არ წარმოადგენს უნივერსიტეტის ავტონომიურობის დაცვას. არც ამის თხოვნაშია ავტონომიის გაგება და არც შესრულებაში; 2. სტუდენტთა ერთ ნაწილთან საკითხის გადაწყვეტა არ წარმოადგენს სტუდენტთა თანასწორობას. არც ამის თხოვნაშია თანასწორობის გაგება და არც შესრულებაში; 3. ჩემი უდიდესი სიყვარულის მიუხედავად თსუ-სადმი, მხოლოდ ერთ უნივერსიტეტში არ უნდა წყდებოდეს, რა როგორ მოხდება, საჭიროა ამ პროცესში ყველა უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვა — რაც, თუკი ნორმალურ ქვეყანას ვაშენებთ, უპირობოდ უზრუნველყოფილი უნდა იყოს; 4. საგანმანათლებლო სივრცეში პრობლემებია, რომელთა გადაჭრაც საჭიროებს ზომების მიღებას — რეფორმებსა და ცვლილებებს, მაგრამ ეს ყველაფერი კარგად გაანალიზებული და დათვლილი უნდა იყოს, რათა ახალი შეცდომები გამოირიცხოს. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ არჩევანის თავისუფლება — როგორი მოდელის თვითმმართველობა სურთ, ამ თავისუფლების შეზღუდვა არასწორია!“, — წერს შალვა საბაური სოციალურ ქსელში.

17 აპრილს საღამოს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში სტუდენტური მოძრაობის მხარდამჭერი კონცერტი გაიმართა. სტუდენტებმა კიდევ ერთხელ გაახმიანეს, რომ თსუ-ის VI კორპუსი გათავისუფლდება მას შემდეგ, რაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოფიციალურ (წერილობით) განცხადებას გააკეთებს სტუდენტური მოძრაობის მხარდაჭერის შესახებ.

P.S. გვიან ღამით პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ფეისბუქ-გვერდზე გამოქვეყნდა უნივერსიტეტში ვიზიტის ამსახველი ვიდეო და წერილობითი ინფორმაცია, რაც სტუდენტებმა ოფიციალურ განცხადებად და დაპირებად ჩათვალეს. ამის შემდეგ „აუდიტორია 115-მა“ VI კორპუსის პიკეტირება დაასრულა.

მაია ტორაძე

16 აპრილის აქცია

სტუდენტური აქციების ახალი ტალღა თსუ-ში

პიკეტირებული VI კორპუსი და ულტიმატუმები საქართველოს პრემიერ-მინისტრს

16 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურმა მოძრაობამ — „აუდიტორია 115“ — საპროტესტო აქციები განაახლა.

ზუსტად ერთი თვის წინ, მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ განაცხადა, რომ თანამდებობას დატოვებდა, „აუდიტორია 115“-მა შეწყვიტა აქციები, გამოაქვეყნა მოთხოვნები და განაცხადა, რომ თუ ეს მოთხოვნები არ შესრულდებოდა, 16 აპრილიდან აქციებს კვლავ განაახლებდნენ და უფრო მწვავედ დასვამდნენ უმაღლესი განათლების სისტემის ძირეული რეფორმირების საკითხს.



16 აპრილს დილის 8 საათზე აქციის მონაწილე სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა თსუ-ის VI კორპუსი დაიკავა. მათ შიგნიდან ჩახერგეს შესასვლელი კარები და პირველი ვიდეო მიმართვაც გაავრცელეს: „სახელმწიფომ მოგვატყუა. სტუდენტები გავმაგრდით VI კორპუსში. ჩვენ შეიძლება გვისაყვედუროთ, რატომ ვუშლით ხელს სასწავლო პროცესს, რეალურად კი სასწავლო პროცესი აქ წლებია არ მიმდინარეობს. უნივერსიტეტში, პრაქტიკულად, მეცნიერება არ არსებობს, არ იქმნება ახალი ცოდნა. უნივერსიტეტი ორიენტირებულია, მოამზადოს კადრები ბიუროკრატიული აპარატისთვის. სტუდენტები და ლექტორები ამას ვეღარ შევეგუებით!“, — ნათქვამი იყო ვიდეო-მიმართვაში. აქვე ისიც გაირკვა, რომ სტუდენტები მეექვსე კორპუსის გათავისუფლებას მანამ არ აპირებდნენ, სანამ აქციის მონაწილეებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი არ შეხვდებოდა. შეხვედრის დროდ 16 საათი გამოცხადდა.

„არ ვაპირებთ ჩვენი მოქმედებებისა და მიზნების ლოკალიზებას მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობების მიმართულებით. სტუდენტური თვითმმართველობა არის უბრალო რგოლი ამ მანკიერი სისტემისა. ჩვენი დღის წესრიგი სწორედ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ უამრავ პრობლემაზე მუშაობაა.

ჩვენი ძირითადი მოთხოვნებია:

1) მოვითხოვთ განათლების სისტემის სრულ რეფორმირებას და მეცნიერების პრიორიტეტად ქცევას, რაც გულისხმობს გარე რეფერირებას და სხვა საკითხებს;

2) სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურის გაუქმებას და წარმომადგენლობითი ფუნქციის გადაცემას საბჭოებში პირდაპირი წესით არჩეული სტუდენტებისთვის;

3) რექტორისა და აკადემიური საბჭოს არჩევის ახალი, დემოკრატიული წესის შემუშავებას;

4) „ოდეერების“ მიერ უნივერსიტეტების დაუყოვნებლივ დატოვებას;

სახელმწიფო და განათლების სამინისტრო ცდილობენ სტუდენტების მოტყუებას, რასაც ჩვენ არ/ვერ დავუშვებთ. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას მანამ, სანამ ქვეყნისთვის განათლება არ გახდება პრიორიტეტული დარგი და არ განხორციელდება ძირეული ცვლილებები,“ – ნათქვამია „აუდიტორია 115“-ის მიერ გავრცელებულ წერილში.

„ამ ზომების მიღება აუცილებელი გახდა, რადგან განათლების სამინისტრომ ვერ აიღო პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის შიგნით სისტემური ცვლილებების განხორციელებაზე. განათლების სამინისტრო თავისი ნახევრად სერიოზული ნაბიჯებით ცდილობს სტატუს-კვოს შენარჩუნებას, ამ შენობაში შეჭრილი სტუდენტები კი ცდილობენ, რომ განათლების სისტემის რადიკალური რეფორმა დაიწყოს. საქართველოში ყველაზე ადეკვატური და დიდი პასუხისმგებლობის მქონე პირი არის პრემიერ-მინისტრი და ვთხოვთ, მობრძანდეს ჩვენთან, რათა უზრუნველყოს, რომ ამ მოწვევის პარლამენტმა მიიღოს ცვლილებები კანონში და განათლების სისტემაში იმ მიმართულებით, რომ: 1) გაუქმდეს ნებისმიერი ბიუროკრატიული სტუდენტური სტრუქტურა; და 2) შეიცვალოს უნივერსიტეტის მართვის წესი დემოკრატიულად. პრემიერ-მინისტრმა აიღოს პასუხისმგებლობა, რომ იგი საფუძველს ჩაუყრის განათლების სისტემის რადიკალურ რეფორმირებას გარე რეფერირების სისტემის მხარდაჭერით“, — განაცხადა „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენელმა ლევან ლორთქიფანიძემ.

დღის პირველ ნახევარში VI კორპუსთან მივიდა და სტუდენტებს შეხვდა უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა, რომელმაც მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ სტუდენტებს აქვთ მოთხოვნების წამოყენების უფლება, თუმცა სასწავლო კორპუსის დაკავება და სასწავლო პროცესის ხელის შეშლა არ არის პროტესტის კარგი ფორმა. იგი დაჰპირდა აქციის მონაწილეებს, რომ სტუდენტების აქციის და მოთხოვნების შესახებ ინფორმაციას მიანოდებდა მთავრობას. „შეხვდება თუ არა პრემიერ-მინისტრი სტუდენტებს, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, თუმცა, თუ იგი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ სტუდენტებს გამოეხმაუროს, ამისთვის არსებობს რამდენიმე ფორმა — განცხადება ან პირადად შეხვედრა და ეს თავად უნდა შეარჩიოს. ვფიქრობ, ეს მან უნდა გააკეთოს“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

16 აპრილს VI კორპუსში ლექციებზე მისულ სტუდენტებსა და ლექტორებს კარებზე ლოზუნგები დახვდათ: „სისტემა უნდა დაინგრეს!“, „პრიორიტეტი მეცნიერებას!“, „სტუდენტები ხარისხიანი განათლებისათვის!“.

ამ დღეს კოლოკვიუმებიც გაცდა, თუმცა ლექტორებმა მხარდაჭერა გამოუცხადეს სტუდენტებს და მედიასთან საუბარში აღნიშნეს, რომ მიუხედავად პროტესტის რადიკალური ფორმისა, სისტემის რეალური ცვლილება ამ კომპრომისს მოითხოვს. „სტუდენტების მოთხოვნებსა და სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტს შორის არის შეუსაბამობა. პირველ რიგში, ეს ეხება სტუდენტური თვითმმართველობის საკითხს. ფორმის ცვლილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, როდესაც ის შინაარსს ცვლის. ის, რომ სტუდენტურ ორგანიზაციას ადრე თვითმმართველობა ერქვა და ახლა სტუდენტური კლუბი ერქმევა — ცვლილება არ არის და თუ ის შინაარსობრივი არ იქნება, სახელის შეცვლა ეფექტურ შედეგს ვერ მოიტანს. რაც შეეხება დღევანდელ აქციას, ეს არის გაგრძელება წინა დღეების აქციისა და მისი ავ-კარგიანობა უნდა შეფასდეს მისი მოთხოვნების მიხედვით. სტუდენტები ითხოვენ მეტ თავისუფლებას, განათლების უკეთეს ხარისხს, მეცნიერებისა და ავტონომიის პრიორიტეტულობას. თითოეული ეს მოთხოვნა სამართლიანია. რაც შეეხება ფორმას, ვერაფერს უჩვეულოს და განსაკუთრებულს ამ ფორმაში ვერ ვხედავ — ამ ფორმით სტუდენტებმა მთავრობას, სამინისტროს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას-საც უნდა მიაწვდინონ თავიანთი სათქმელი. ლექცია რომ ცდება, არ მომწონს, მაგრამ იმედი მაქვს, ორშაბათიდან სასწავლო პროცესი განახლდება“, — განაცხადა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა თამაზ ჯოლოგუამ.

კოლოკვიუმების გაცდენასა და სასწავლო პროცესის ჩაშლაზე აქციის მონაწილეებს სხვა მოსაზრებები ჰქონდათ – ისინი ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ არავითარი სასწავლო პროცესი არ ჩაუშლიათ, რადგან უნივერსიტეტში კარგა ხანია ის აღარ მიმდინარეობს: „ჩვენ ძალიან დიდი ხანი, აქციის დაწყების პირველივე დღეებიდან, გვეჩხუბებოდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ჰომოფობი, სექსისტი ლექტორები, რომლებისგანაც ძალიან ბევრი დამცირება გვახსოვს. მათ ეგონათ, რომ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდებოდა, მაგრამ შეცდნენ. მათ ჰგონიათ, რომ ჩვენ ჩავშალეთ სასწავლო პროცესი, მაგრამ ძალიან კარგად ვიცით, რომ ეს არის ტყუილი. მე-4 წელია ამ უნივერსიტეტში ვარ და სასწავლო პროცესს საერთოდ არ მოვსწრებივარ, მიუხედავად იმისა, რომ ლექციებზეც დავდიოდი და გამოცდებზეც. ის ადამიანები, რომლებიც გვეუბნებიან, რომ კორპუსი გამოცდების პერიოდში არ უნდა დავიკავოთ, არიან მატყუარები, დიდი ხანია გვატყუებენ და ჩვენ მათ თავს აღარ მოვატყუებინებთ. უკან წაიღონ თავიანთი 20-20 ქულები, არ გვჭირდება ამ სამარცხვინო სისტემაში დაწერილი 100 ქულა“, — განაცხადა აქციაზე ანა-მარია ბრაგვაძემ.

აქციის მონაწილეებს შეუერთდნენ სტუდენტები ილიას უნივერსიტეტიდან, იყვნენ წარმომადგენლები ბათუმის უნივერსიტეტიდან, პოლიტექნიკური უნივერსიტეტიდან. თსუ-ის სტუდენტებს სოლიდარობა გამოუცხადეს სხვადასხვა ქალაქების უნივერსიტეტებმაც.

14 საათზე მოვლენების ეპიცენტრმა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში გადაინაცვლა.

მე-8 გვერდზე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელს 20 აპრილს აირჩევენ

პირველი გვერდიდან

ინფორმაციისთვის: აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კანცლერის ახალი კანდიდატურის შერჩევა (30 მაისიდან 3 ივნისამდე) განახორციელოს აკადემიური საბჭოს ახალმა შემადგენლობამ, რადგან ძველი საბჭო 15 მაისამდე აპირებს დაშლას.

დაინიშნა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები, რომელიც ამა წლის 20 აპრილს გაიმართება. შესაბამისი დადგენილება უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მიიღო.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირი. თითოეულ ამომრჩეველს აქვს ერთი ხმის უფლება, ანუ ხმას აძლევს მხოლოდ ერთ კანდიდატს. რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნებში გამარჯვებულად ცხადდება კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. თუ არჩევნებში გამოვლინდება ორი ან მეტი კანდიდატი თანაბარი ხმების ოდენობით, არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 დღეში ჩატარდება არჩევნების მეორე ტური. მეორე ტურში გამარჯვებულად გამოცხადდება კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს.

უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ჩატარებასა და საორგანიზაციო საკითხებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს.

რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაცია 14 აპრილს დასრულდა. არჩევნებში 4 კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას — ცირა ბარამიძე (თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი), ლევან გორდეზიანი (თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი), დარეჯან თვალთვაძე (თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, რექტორის მოადგილე) და გიორგი ანდრიაძე (თეოლოგიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე). თსუ-ის საარჩევნო კომისიამ მხოლოდ ამ 4 კანდიდატის განცხადება დაარეგისტრირა.

თსუ-ის კანცელარიაში რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე განცხადება სულ 7 კანდიდატმა შეიტანა. თსუ-ის საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში არ გაატარა 3 კანდიდატი. „მერაბ ელიაშვილი და ინესა მერაბიშვილი არ აკმაყოფილებენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი,“ — ნათქვამია საარჩევნო კომისიის 14 აპრილის სხდომის ოქმში. ხოლო 15 აპრილის ოქმში ნათქვამია, რომ ალექსანდრე ჩხიტაურმა წარმოადგინა სავალდებულო დოკუმენტები, რომლებიც არ აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, მისი დამსაქმებლების მიერ გაცემული ცნობებით არ დასტურდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხელმძღვანელობით თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება. შესაბამისად, უარი ეთქვა მას კანდიდატად რეგისტრაციის მოთხოვნაზე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელსაც უნივერსიტეტი 20 აპრილს აირჩევს, საქმიანობას არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან მეორე დღესვე შეუდგება.

შეხვედრა კანდიდატებთან

ცირა ბარამიძის ბიოგრაფიული ცნობები

დაიბადა 1962 წლის 16 მარტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში.

1979 წელს, საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება, ხოლო 1990 წელს ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია დაღესტნურ ენათა მიმართულებით.

1990-1994 წლებში სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში ნოდარ ანდღულაძის კლასში.

1986-2002 წლებში მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლაბორატორიაში მეცნიერ-თანამშრომლად.

1990-2002 წლებში იყო კავკასიურ ენათა კათედრის დოცენტი, 2002-2006 წლებში — ამავე კათედრის პროფესორი, 2006 წლიდან დღემდე არის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სრული პროფესორი და ხელმძღვანელი.

2002 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ლინგვისტურ კავკასიოლოგიაში. საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების კვალდაკვალ, ორი კათედრის (კავკასიურ ენათა კათედრისა და კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრის) გაერთიანებით ინტერდისციპლინარული მიდგომის საფუძველზე დაარსდა კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი. ცირა ბარამიძის მიერ წარმოდგენილი კავკასიოლოგიის, როგორც სასწავლო-სამეცნიერო დარგის, განვითარების კონცეფცია, თანამედროვე მოთხოვნათა სტანდარტების შესაბამისად, ერთდროულად იყო ტრადიციულიცა და ინოვაციურიც. დაარსდა ახალი მოდულები (აზერბაიჯანოლოგია, ოსოლოგია, არეალური ლინგვისტიკა).

სწავლების სამივე საფეხურისთვის აღადგინა რუსული სექტორი და შექმნა რუსულენოვანი პროგრამები. შექმნა ოთხ ათეულზე მეტი ახალი საგანი დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ქართული და რუსული სექტორებისთვის. ამგვარი მიდგომის მიზანი იყო, თანამედროვე ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, ფართო პროფილის კავკასიოლოგიის ჩამოყალიბება, რომელიც, ამავდროულად, იქნება კონკრეტული მოდულის მიხედვით, კავკასიოლოგიის ვიწრო სფეროს სპეციალისტიც. მიდგომა შეპირობებული იყო კავკასიის, როგორც მულტილინგვური და მულტიკულტურული სივრცის აღქმით. სასწავლო პროგრამის ამოქმედებისთვის შედგა არაერთი პრეზენტაცია ახალი პროგრამებისა, მაგალითად, ოსური მხარის მონაწილეობით თსუ-ში (2007), ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (2007). ცირა ბარამიძემ შექმნა კავკასიოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა.

დააარსა კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონგრესი: 2007 წელს ჩატარდა I „კავკასიური ცივილიზაცია მახლობელი აღმოსავლეთის ლინგვოკულტურულ კონტექსტში“; 2010 წელს კი II - „კავკასიური ცივილიზაცია - ისტორია და თანამედროვეობა“. 2013 წლის ოქტომბერში — III კონგრესი (მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში).

2012 წელს თსუ-ის რექტორის მიმართვის საფუძველზე კავკასიოლოგიის ინსტიტუტმა გამართა რეგიონის ქვეყნების (თურქეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) ერთობლივი ორგანიზებით საერთაშორისო სიმპოზიუმი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი და ლინგვოკულტუროლოგია“.

2008 წელს მიწვეული იყო ესპანეთში ადამიანის უფლებათა დაცვის III კონგრესზე, სადაც, პირველმა პოსტსაბჭოთა სივრციდან, დასვა საკითხი ჩრდილო კავკასიის ენობრივი უფლებების დაცვის თაობაზე რუსეთის ფედერაციის ენობრივი სიტუაციის მექანიზმის მეცნიერულად არგუმენტირებული მხილებით.

ინტენსიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში სხვადასხვა ქვეყანაში.

არის რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული რამდენიმე გრანტის ხელმძღვანელი. არის 5 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ცირა ბარამიძემ 2009 წელს დააარსა სამენოვანი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“. გამოიცა 5 ნომერი.

ცირა ბარამიძე არის 100-ზე მეტი ნაშრომის ავტორი, მათ შორის — 4 წიგნისა (3 მონოგრაფიაა).

ცირა ბარამიძე იყო თსუ-ის ორი მოწვევის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი. 2007 წელს კი თსუ-ის წესდების შემდგენი კომისიის წევრი.

ცვლილებებისთვის ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ

— ქალბატონო ცირა, როგორ შეაფასებთ უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს 10 მარტიდან რექტორის გადადგომამდე?

— უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები ერთგვარი ანარეკლია ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარებისა. ქვეყანაში პოლიტიკური დულილის ტემპერატურის ზრდასთან ერთად უნივერსიტეტში დაძაბულობა იზრდება, ასეა უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე. ამგვარი მიზეზ-შედეგობრივი პირდაპირპროპორციულობა გვაფიქრებს უნივერსიტეტის მომავალზე, რადგან ბოლო სამი რექტორიდან ვერც ერთმა თავისი უფლებამოსილების ვადა ვერ შეასრულა. მიმაჩნია, რომ ნებისმიერმა ხელისუფალმა უნდა გამოიჩინოს პოლიტიკური ნება, რათა უნივერსიტეტს მიენიჭოს ავტონომიურობა არა მარტო დეკლარირებულად (დღეს ესეც არ გვაქვს), არამედ რეალურადაც შეძლოს საუნივერსიტეტო სივრცემ განახორციელოს ჭეშმარიტი ავტონომია — ჰორიზონტალური და არა ვერტიკალური მართვა (მართვა ზემოდან). უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები 10 მარტიდან რექტორის გადადგომამდე ასახავს უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არაეფექტურობასა და არაკონსტრუქციულობას. ამიტომ პასუხისმგებლობას რექტორთან ერთად უნდა იზიარებდნენ მართვის ორგანოები და გაიზიარა კიდეც აკადემიურმა საბჭომ. მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტში განხორციელებული რექტორის გადაყენების მცდელობების ვულგარული ფორმები ეწინააღმდეგება საუნივერსიტეტო გარემოს და უნივერსიტეტის იდეას ზოგადად, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამგვარ ვითარებას ჰქონდა შესაბამისი წინაპირობები: 1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების ინერტულობა და არაადეკვატური რეაგირება შექმნილ სიტუაციაზე; 2. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არაეფექტური მუშაობა; 3. პროფესურის ინერტულობა უნივერსიტეტის ბედისადმი და საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივის განუხორციელებლობა; 4. სტუდენტთა პოლარიზება, გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან; 5. პოლიტიკური ნების უქონლობა საგანმანათლებლო სივრცეში საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების განსახორციელებლად.

შეიძლებოდა ბოლო არგუმენტით დაგვეწყო, მაგრამ მიმაჩნია, მხოლოდ პოლიტიკური ნება არ უნდა იყოს გადამწყვეტი; პროფესურა თავად უნდა ქმნიდეს თავის სასწავლო-სამეცნიერო გარემოს და იბრძოდეს ძველი, საბჭოური ცნობიერების შესაცვლელად საბჭოთა კავშირის დანგრევიდან 25 წლის შემდეგ მაინც.

რაც შეეხება სტუდენტების მიერ ინიცირებულ ქმედებებს, შეიძლება მათი გამოხატვის ფორმები არის მიუღებელი საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, მაგრამ ისინი არიან მოტივირებული ცვლილებებისათვის. მათ პოლარიზაციაში ერთგვარად აისახა ძველისა და ახლის ჭიდილი და, ვფიქრობ, საღი აზრი გაიმარჯვებს იმგვარად, რომ არ შეილახება კიდევ ერთხელ უნივერსიტეტის ღირსება. მივესალმები სტუდენტების აქტივობას, მაგრამ, ამავდროულად, მივმართავ მათ თხოვნით — გაუფრთხილდნენ კავკასიის პირველი ეროვნული უნივერსიტეტის სახელს და ნებისმიერი დაპირისპირება კონსტრუქციული, არგუმენტირებული დიალოგით გადაწყვიტონ. უნივერსიტეტი პროფესურისა და სტუდენტობის ერთობაა ცოდნის შენახვის, გადაცემისა და ახალი ცოდნის გენერირების საქმეში. გახსოვდეთ, ჩვენ არა მარტო საქართველო, არამედ რეგიონის ყველა ქვეყანა გვიცქერს.

— როგორ გესმით უნივერსიტეტის ავტონომია?

— უნივერსიტეტი თავისი არსით საზოგადოებრივი ინსტიტუციაა და თუ საქართველო აშენებს სამოქალაქო საზოგადოებას, თუ ჩვენ გადავდგით ნაბიჯები ავტოკრატიული მმართველობიდან დემოკრატიისკენ, მაშინ უნივერსიტეტი პირველი უნდა დაადგეს ამ გზას. აკადემიურმა საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა უარყოს პოლიტიკური ზიგზაგები, ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალაში გამოსავლის ძიება, უნივერსიტეტის პოლიტიკური პოლარიზება; უნდა მოახდინოს თვითორგანიზაცია უნივერსიტეტის მთავარი იდეის (თავისუფალი აკადემიური გარემო) განსახორციელებლად. უნივერსიტეტი უნდა იცავდეს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, თავისუფლებას, აკადემიზმს, ფუნდამენტურობას, ინოვაციურობას. უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების ცნობიერებიდან უნდა გაქრეს ხელისუფლებაზე ორიენტირების განწყობა. ეს ვნებს თავად ხელისუფლებასაც და უნივერსიტეტსაც. უნივერსიტეტის პროფესურის მოტივაცია უნდა იყოს, თავად მართოს უნივერსიტეტი. ეს არის ავტონომია. თუ ჩვენ თანამიმდევრულად გავატარებთ ქვემოთ ჩამოთვლილ საკანონმდებლო ცვლილებებს, თუ რეტროგრადული გადაწყვეტილებების ნაცვლად პროგრესულ გადაწყვეტილებებს მივიღებთ, თუ შევცვლით მიდგომას ვერტიკალური მართვიდან ჰორიზონტალურ მართვაზე გადასასვლელად, მაშინ რეალური ავტონომიაც არ დააყოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტი სტაგნაციას მიეცემა. უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავს მაინც შევხვდეთ ავტონომიური უნივერსიტეტით, ისეთით, როგორიც შექმნეს იგი მისმა დამაარსებლებმა.

პროფესორებო და სტუდენტებო, ერთად შევცვალოთ მომავალი!

— რა იქნება პირველი ნაბიჯები თქვენი რექტორის მოვალეობის შემსრულებლად არჩევის შემთხვევაში?

— ცვლილებებისთვის ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ. რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში ჩემი სამუშაო კაბინეტის კარი ყოველთვის ღია იქნება ნებისმიერი პროფესორისა და სტუდენტისთვის, ყველასთვის, ვისთვისაც ძვირფასია უნივერსიტეტი და ვინც იზრუნებს მისი შელახული ღირსების აღსადგენად.

არსებული ვითარებიდან უნივერსიტე-

მე-4 გვერდზე

შეხვედრა კანდიდატებთან

მესამე გვერდიდან

ტის გამოსაყვანად საჭიროა კრიზის-მენეჯერული მიდგომა იმგვარად, რომ უნივერსიტეტში არ შეფერხდეს მთავარი — სასწავლო პროცესი. რექტორის მოვალეობის შემსრულებლის სამოქმედო ვადა, რა თქმა უნდა, არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა განვახორციელოთ, მაგრამ ეს ვადა უნდა გამოვიყენოთ პროფესურასა და სტუდენტობასთან ერთად იმისათვის, რომ საფუძველი დავუდოთ სისტემურ ცვლილებებს უმაღლესი განათლების კანონში და შევქმნათ რეალური ნიადაგი ამ ცვლილებების საგანმანათლებლო სივრცეში გასატარებლად. ცვლილებები უნდა იყოს მიმართული უნივერსიტეტის რეალური ავტონომიურობის მოპოვებისკენ. ჩვენი უნივერსიტეტი უნდა იყოს ტონის მიმცემი საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში დანარჩენი უნივერსიტეტებისთვის.

ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მაგალითად, სტუდენტთა სტაჟირებისათვის სპეციალური ფონდის ორგანიზება, სტუდენტთა სახელობითი და დარგობრივი სტიპენდიების შემოღება და დარგების მიხედვით წახალისება, ლაბორატორიების ადმინისტრაციული დაქვემდებარებიდან კათედრების დაქვემდებარებაში გადაყვანა, ფაკულტეტების ფინანსური დამოუკიდებლობა კანონის შესაბამისად და მისი ბიუჯეტის დარგობრივი დიფერენციაცია (ექსპედიცია, პრაქტიკები, ხელსაწყოები, პრეპარატები და სხვა), საკონკურსო კრიტერიუმების ერთიან საუნივერსიტეტო ჩარჩოში მოქცევა, კონკურსების ერთიანი კრიტერიუმების შემუშავება, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, ჟურნალების რეფერირებისა და გავრცელებისათვის სპეციალური აქტივობა, დოქტორანტურის საათობრივ დატვირთვაში მოქცევა და სხვა.

უმოკლეს ვადაში განსახორციელებელი იქნება ის ცვლილებები, რომლებიც შეიძლება დარეგულირდეს თსუ-ის წესდების ფარგლებში; კერძოდ:

1. შეიცვლება თსუ-ის წესდების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

აკადემიურ საბჭოში თითოეული ფაკულტეტიდან აირჩევა 4 წარმომადგენელი. არჩეულად ითვლება კენჭისყრის მიხედვით 4 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. არჩეულად ჩაითვლება კენჭისყრის მიხედვით I საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

2. თსუ-ის წესდების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის ცვლილების შესაბამისად, დარეგულირდება მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი, რის საფუძველზეც განისაზღვრება წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა რაოდენობა.

3. წარმომადგენლობით საბჭოში დამატებულ და არსებულ ვაკანტურ ადგილებზე არჩევნები გამოცხადდება წესდებაში ცვლილების შეტანისთანავე.

საბჭოების ქმედითუნარიანობის გასაზრდელად საჭიროდ მიმაჩნია:

4. თსუ-ის წესდების 1-ლი პუნქტის თ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: (აკადემიური საბჭო) მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის განხილვაში, ბიუჯეტის სამსაფეხურიან განხილვაში (1. პრინციპები, 2. მუხლობრივი, 3. რედაქციული);

ასევე: თსუ-ის წესდების მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის კ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ამგვარად: (სენატი) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით აკადემიური საბჭოს მონაწილეობით განიხილავს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს სამ საფეხურად: 1. პრინციპები, 2. მუხლობრივი, 3. რედაქციული.

5. თსუ-ის წესდების მე-9 მუხლს დაემატოს მე-8 პუნქტი: აკადემიური საბჭოს წევრი ვალდებულია ანგარიშით წარდგეს წელიწადში ერთხელ შესაბამისი ფაკულტეტის/სამეცნიერო ერთეულის წინაშე;

ასევე:

თსუ-ის წესდების მე-13 მუხლს დაემატოს 26-ე მუხლი: წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი ვალდებულია ანგარიშით წარდგეს შესაბამისი ფაკულტეტის/სამეცნიერო ერთეულის წინაშე წელიწადში ერთხელ.

6. თსუ-ის წესდების მე-13 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, სენატმა შექმნას იურიდიული და საფინანსო კომისიები, რომელთაც დაეკისრებათ შემოსული დოკუმენტაციის ექსპერტიზა და ზედამხედველობა ადმინისტრაციის საქმიანობაზე;

ასევე: მე-13 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, სენატში უკვე შეთანხმებულია კომისიის შექმნა, რომელიც შეიმუშავებს წესდებაში შესატან ცვლილებებსა და რეკომენდაციებს საკანონმდებლო ცვლილებებისთვის. მიზანშეწონილად მივიჩნევ, საქართველოს უმაღლესი განათლების კანონში შევიდეს არსებითი ხასიათის საკანონმდებლო ცვლილებები.

პროფესორთა ჩართულობით დავაარსებთ უნივერსიტეტის განვითარების ფონდს. დავიწყებთ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, ბიუჯეტის გაზრდისათვის რეალურ ქმედებებს, პროფესორთა და სხვა თანამშრომელთა ხელფასის გაზრდას არსებული საბიუჯეტო შესაძლებლობებით და სხვა კანონიერი გზით მოპოვებული ფულადი რესურსებით.

რაც შეეხება გრძელვადიან ღონისძიებებს, რომელთაც საფუძველი უნდა დაუდოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა პროფესურასთან ერთად, მან უნდა მოამზადოს რექტორის არჩევნები საკანონმდებლო ცვლილებებისა და გამჭვირვალე, პლურალიზმის პირობებით. პროფესორთა ფართო ჩართულობით დავაყენებთ საკანონმდებლო ინიციატივას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე ქვემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების თაობაზე. გარდა ამისა, მივმართავთ შესაბამის უწყებას — აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების დაჩქარებული განხილვის საკითხი დარეგულირდეს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 160-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაჩქარებული განხილვის წესის მიხედვით. ეთხოვოს კანონპროექტის ინიციატორს — განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს — წარადგინოს საკანონმდებლო ორგანოს წინაშე კანონპროექტის ინიციატორის მოტივირებული წინადადება დაჩქარებული წესით განხილვის თაობაზე და შექმნას სამართლებრივი საფუძველი პარლამენტში საკითხის განსახილველად (წამყვანი კომიტეტის დასკვნა, საგანმანათლებლო სივრცის წარმომადგენელთა ჩართულობა წინასწარ განხილვასა და შემუშავებაში, კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ):

კერძოდ:

I. საქართველოს უმაღლესი განათლების კანონში ცვლილებები შევიდეს ამავე კანონის I თავის 1-ლი მუხლის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს კანონის მოქმედების სფეროს და, კონკრეტულად, რეორგანიზაციის საკითხსაც.

II. შეიცვალოს თსუ-ის საორგანიზაციო-მმართველობის ფორმა: საკანონმდებლო ცვლილების ინიციატორმა — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ — უმაღლესი განათლების კანონის მე-2 და მე-13 მუხლების საფუძველზე დააყენოს საკითხი თსუ-ის საორგანიზაციო-მმართველობის ფორმის შეცვლის თაობაზე და სსიპ-ი გარდაიქმნას ა(ა)იპ-ად.

III. უმაღლესი განათლების კანონის მე-2 მუხლის ე) პუნქტს დაემატოს ჩანაწერი შემდეგი ფორმულირებით: აკადემიური საბჭო არის ა(ა)იპ-ის / სსიპ-ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

IV. ამოქმედდეს უმაღლესი განათლების კანონის მე-2 მუხლის ჰ 37 პუნქტი რეგენტთა საბჭოს შესახებ და ამავე კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებით, უმაღლესი განათლების სფეროში ამავე მუხლის ე) პუნქტში (ქმნის რეგენტთა საბჭოსა და ამტკიცებს მის დებულებას) დაემატოს ფრაზა რეგენტთა საბჭოს შემადგენლობაში, მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, საზოგადოების წარმომადგენლების შესვლის თაობაზე. ასევე შეიცვალოს 221 პუნქტი და კანონს დაემატოს 2ა პუნქტი, რომელშიც განისაზღვრება რეგენტთა საბჭოს შემადგენლობა (მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად საზოგადო მოღვაწეების რეგენტთა საბჭოში შესვლის თაობაზე).

V. ამოქმედდეს უმაღლესი განათლების კანონის მე-2 მუხლის ჰ38 პუნქტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის შექმნის შესახებ (რომელსაც სამართავად გადაეცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონებისა და ფინანსების ნაწილი).

VI. უმაღლესი განათლების კანონის მე-14 მუხლს (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა) დაემატოს მე-5 პუნქტი - ა(ა)იპ-ი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან...

VII. უმაღლესი განათლების კანონის მე-20 მუხლის (აკადემიური საბჭოს არჩევა) პუნქტ 1-ს დაემატოს პუნქტი 1(ა) და ჩამოყალიბდეს ამგვარად: ა(ა)იპ-ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომლის წევრებიც ირჩევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს სტუდენტთა წარმომადგენლების, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო ერთეულების (შემოერთებული ინსტიტუტები) წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

VIII. დაზუსტდეს უმაღლესი განათლების კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი: აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი...

IX. შეიცვალოს უმაღლესი განათლების კანონის 45-ე მუხლი სტუდენტური თვითმმართველობის უფლებების შესახებ და მომზადდეს ახალი პროექტი თვითმმართველობის რეორგანიზაციის შესახებ.

X. დაკონკრეტდეს უმაღლესი განათლების კანონის 22-ე მუხლი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის (რექტორის) არჩევის შესახებ. პუნქტი 2ა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ა(ა)იპ-ის საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს ირჩევს სამეცნიერო ხარისხის მქონე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი (შემოერთებული ინსტიტუტებიდან).

XI. მუხლი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის შესახებ 2ბ ჩამოყალიბდეს ამგვარად - რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რექტორის მოვალეობის შემსრულებელს (რექტორის სრული უფლებამოსილებით) ირჩევს აკადემიური საბჭო.

XII. ცვლილებები შევიდეს უმაღლესი განათლების კანონის 87-ე მუხლის პუნქტებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ცვლილების შესაბამისად.

— აპირებთ თუ არა, კენჭი იყაროთ უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე?

— პროფესორის ძირითადი მოვალეობაა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობა და არა მართვის ორგანოებში ხანგრძლივი ყოფნა. ეს აზარალებს მეცნიერ-მკვლევარის დროსა და კვლევის აქტივობას. გამომდინარე აქედან, ჩემი მიზანი სულაც არ არის ხანგრძლივად ვიყო მართვის სისტემაში. ამიტომაც აღარ ვმონაწილეობდი სენატის მუშაობაში 8 წლის მუშაობის შემდეგ. სენატში ჩემმა მოღვაწეობამ მომცა კარგი გამოცდილება უნივერსიტეტის მართვის საკანონმდებლო რეგულაციების შედგენაში. ვარ 2007 წლის თსუ-ის წესდების შემდგენი კომისიის ერთ-ერთი წევრი.

მივიღებ თუ არა რექტორის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობას, დამოკიდებული იქნება იმაზე, არჩევის შემთხვევაში და პროფესორთა მხრიდან დიდი ნდობის გამოცხადების კვალდაკვალ, პროფესორებთან კონსტრუქციული მუშაობით როგორ შევასრულებ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას.

ვიქნები თუ არა არჩეული ამ თანამდებობაზე, ამის მიუხედავად, როგორც რიგითი პროფესორი, ვიღვაწებ უნივერსიტეტის სრული ავტონომიურობისთვის ყველა კანონიერი ფორმით, ვიდრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისი არსით სამოქალაქო ინსტიტუტია არ განხორციელდება, ვიდრე ივ. ჯავახიშვილის იდეა უნივერსიტეტისა (რომელსაც ფრთები შეაკვეცა საბჭოთა რეჟიმმა და რომელიც საბჭოთა კავშირის დანგრევიდან დღემდე კვლავ მოსაპოვებელია) არ განხორციელდება.

ლევან გორდეზიანის ბიოგრაფიული ცნობები

დაიბადა 1962 წლის 1 ნოემბერს ქალაქ თბილისში. 1979 წელს დაამთავრა ქ. თბილისის პირველი საშუალო სკოლა ოქროს მედლით. 1984 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისტორიის სპეციალობით. 1990 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სოციალური ურთიერთობები მიკენურ საბერძნეთში". 1999 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1983-1987 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროს ლაბორანტად; 1987-1990 წლებში — უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, 1990-1992 წლებში — მეცნიერ-თანამშრომლად, 1992-2000 წლებში — უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, 2003-2006 წლებში — წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად. 1995-2001 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიის კათედრის დოცენტი; 2001-2006 წლებში — თსუ-ის კულტურის ისტორიის კათედრის პროფესორი; 2005-2006 წლებში იყო თსუ-ის რექტორის მოადგილე; 2006 წლიდან გახლავთ თსუ-ის სრული პროფესორი (ძველი მსოფლიო ისტორია). 2007 წლიდან იყო სამაგისტრო პროგრამის „ძველი ენები და ცივილიზაციები" ხელმძღვანელი; 2009 წლიდან არის ისტორიის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი; 2011-2014 წლებში იყო თსუ-ის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი; 2011 წლიდან ასევე გახლდათ თსუ-ის ძველი მსოფლიო ისტორიის დეპარტამენტის/კათედრის ხელმძღვანელი; 20014 წლიდან არის თსუ-ის სენატის წევრი. გახლავთ 70-მდე პუბლიკაციის ავტორი. ფლობს ქართულ, გერმანულ, ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებს.

გააზრებული ნაბიჯები უნდა გადაიდგას

— როგორ შეაფასებთ უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს 10 მარტიდან რექტორის გადადგომამდე?

— ძალიან მძიმე სანახავი იყო ეს ყველაფერი. სამოქალაქო ომის დროს მოვახერხეთ, რომ ახალგაზრდებს შორის დაპირისპირება არ მომხდარიყო. ახლა კი ძალიან დაიძაბა ვითარება და ცხადია, ამაში ჩვენ, ყველას, ბრალი მიგვიძღვის მეტ-ნაკლებად — უფროსებს არ გვეყო ტაქტი და რესურსები მათთან სალაპარაკოდ, რათა აქამდე არ მისულიყო საქმე. საერთოდ, კონფლიქტში ყველა მხარეა დამნაშავე.

— რამდენად ავტონომიურია უნივერსიტეტი, თქვენი აზრით? თუ ეს მაინც აუსრულებელ ოცნებად რჩება?

— დღეს ავტონომიას ჩვენ ვიყენებთ სრულიად არასწორად. ვგულისხმობთ რაღაც ფეოდალური ტიპის ინსტიტუტს და სინამდვილეში სულ სხვაგვარად არის საქმე. ავტონომია — ეს არის საკუთარი წესები, რომლებიც ეფუძნება თავისუფალი სტუდენტების და თავისუფალი პროფესორების ერთობას და, ბუნებრი-

მე-5 გვერდზე

შეხვედრა კანდიდატებთან

მეოთხე გვერდიდან

ვია, რაღაც დოზით სახელმწიფო ადგენს თამაშის წესებს, მაგრამ ჩვენ რაღაცაზე უნდა ვთანხმდებოდეთ შიგნით. თავისუფალი სტუდენტი და პროფესორი ქმნის კათედრას თუ სასწავლო პროგრამებს, რამდენიმე ფაკულტეტი არის უნივერსიტეტი და ჩვენ, რატომღაც, ავტონომიაზე რომ ვლაპარაკობთ, ვუყურებთ ისე, რომ ვინც არის უფროსი, იმის საქმეა ყოველივე და რაც უნდა ის ქნას, ოღონდ კი მთავრობამ ჩარევა არ გაბედოს. მაგალითად გერმანიაში, ვგულისხმობ გერმანულ უნივერსიტეტებს, ბევრი თანამდებობის პირი არის პირდაპირ დანიშნული მთავრობის მიერ ან მთავრობა რაღაცნაირად მონაწილეობს მათი შერჩევის პროცესში, მაგრამ, სამაგიეროდ, იქ პროფესორის და სტუდენტის აკადემიური თავისუფლება არის კონსტიტუციურად დაცული. ამას ემატება ისიც, რომ არავის, უკვე საუკუნეების მანძილზე, ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ უნივერსიტეტები არიან ავტონომიურები. ჩვენც ამ გზით უნდა წავიდეთ, ანუ, პირველ რიგში, უნდა უზრუნველვყოთ სტუდენტის და პროფესორის თავისუფლება და მათ შეთანხმებას, მათ ინტერესებს უნდა ეფუძნებოდეს ყველაფერი დანარჩენი. თუ ასე იქნა, ნამდვილად ვიქნებით ავტონომიურები.

— როგორც რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, თუ აგირჩიეს, რას გეგმავთ?

— ძალიან მტკივნეული და ძალიან სწრაფი ცვლილებები, ცხადია, არ უნდა იყოს, რადგან უმაღლეს სასწავლებელს და, საერთოდ, განათლების სისტემას არ უხდება ზედმეტი ცვლილებები. ერთხელ გავიარეთ და გახსოვთ, რომ, ძირითადად, ტკივილი მოგვიტანა, ამიტომ რევოლუციურ ცვლილებებს არ ვგეგმავ. გააზრებული ნაბიჯები უნდა გადაიდგას დინჯი, ოღონდ სწორი მიმართულებით! ცხადია, აქ ერთი კაცი ვერაფერს გააკეთებს. ორივე საბჭო უნდა იყოს აქტიურად ჩართული და, ასევე, პროფესურა და სტუდენტები — მათი უფლებები და მონაწილეობა მართვაში აუცილებლად უნდა გაფართოვდეს.

— აპირებთ თუ არა რექტორის არჩევნებშიც მიიღოთ მონაწილეობა?

— ვერ გეტყვით, არ ვიცი ჯერ. ისეთი პრობლემატური რამდენიმე დღეა წინ, რომ მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაფიქრდეს ადამიანი. ანუ ჯერ ეს არჩევნებია წესიერად ჩასატარებელი და კიდევ მთელი წყებაა მოვლენებისა გადასაგორებელი. დღეს ნაადრევია ამაზე საუბარი.

დარეჯან თვალთვაძის ბიოგრაფიული ცნობები

დაიბადა 1958 წლის 20 მაისს წალენჯიხაში. 1980 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1997 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1982-1988 წლებში მუშაობდა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის ძველი ქართული ენის კათედრასთან არსებული ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია ,,ორიონის" უფროს ლაბორანტად; 1988-2004 წლებში — ამავე ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლად. 2005 წელს გახდა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე; 2006 წელს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტის წევრი. 2004-2006 წლებში იყო თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის ძველი ქართული ენის კათედრის დოცენტი; 2006-2012 წლებში გახლდათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. 2006-2010 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი; 2010-2015 წლებში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი. 2012 წლიდან დღემდე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრის ხელმძღვანელი. 2015 წლის 25 ნოემბრიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეა.

დარეჯან თვალთვაძის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ქართული ენა, ძველი ქართული ენა და შუა საუკუნეების ძველი ქართული თარგმანები, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, ქართული პალეოგრაფია, კოდიკოლოგია, ტექსტოლოგია, ახალი აღთქმის ქართული თარგმანის ტექსტისა და ენის საკითხები, ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობები.

დარეჯან თვალთვაძე არის მრავალი პროფესიული ასოციაციისა და სარედაქციო საბჭოს წევრი: პატრისტიკული კვლევების საერთაშორისო ასოციაციის, გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოებისა და ქართველოლოგიის მხარდამჭერთა საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებელი წევრი, ათენის ჰუმანიტარული ქსელის დამფუძნებელი წევრი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალის „ჰუმანიტარული კვლევების წელიწდეული" სარედაქციო კოლეგიის, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორენოვანი ელექტრონული სამეცნიერო რეცენზირებადი ჟურნალის „სპეკალის" სარედაქციო კოლეგიის, ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხების" რედკოლეგიის, საქართველოს მულტილინგვური ასოციაციის ჟურნალის „HOMO LOQUENS" სარედაქციო საბჭოს, სამეცნიერო ჟურნალ „Culture & Philosophy" სარედაქციო საბჭოს წევრი და თსუ-ის ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის რედაქტორი.

იგი არის 1 მონოგრაფიის, 5 სახელმძღვანელოს, 70-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ასევე მრავალი საერთაშორისო და ლოკალური სამეცნიერო და სასწავლო გრანტების, პროექტების და პროგრამების შემსრულებელი და ხელმძღვანელი.

მარტის თვის პროცესებისა და მისი შედეგების გათვალისწინება მთელ უნივერსიტეტს გვმართებს

— როგორია თქვენი პოზიცია უნივერსიტეტში განვითარებულ მარტის მოვლენებთან დაკავშირებით?

— ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიაში. მარტის თვეში განვითარებულმა პროცესებმა საგრძნობი ზიანი მიაყენა უნივერსიტეტის სახელს, რომლის აღდგენა იოლი არ იქნება. პროცესები ძალიან სწრაფად და მტკივნეულად განვითარდა და ბევრი ის პრობლემა წარმოაჩინა, რომლებიც წლების განმავლობაში გროვდებოდა უნივერსიტეტში. ამ პრობლემათა დიდი ნაწილი უახლოეს პერიოდში უნდა გადაიჭრას. საჭიროა სიღრმისეულად გაანალიზდეს და სწორად შეფასდეს შექმნილი ვითარების გამომწვევი მიზეზები. ვფიქრობ, იმის გათვალისწინება, რაც მოხდა, ყველას გვმართებს. მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტში არის იმის რესურსი, რომ დღევანდელი სირთულეები დაძლეულ იქნეს, რისთვისაც უნივერსიტეტის ყველა რგოლის — პროფესორების, სტუდენტების და ადმინისტრაციის — ერთობლივი ძალისხმევა იქნება საჭირო.

— რამდენად ავტონომიურია დღეს უნივერსიტეტი, თქვენი აზრით? თუ ეს, მაინც, აუსრულებელ ოცნებად რჩება?

— ზოგადად, ავტონომია — ეს არის უნივერსიტეტის და მისი ძირითადი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების თავისუფლება — დამოუკიდებლად განსაზღვროს და განახორციელოს აკადემიური, სამეცნიერო, საფინანსო, ეკონომიკური თუ ადმინისტრაციული საქმიანობა. თავისთავად, ავტონომია ეფუძნება უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების, მკვლევრების, სტუდენტების ერთიანობას და მოიცავს როგორც გარე სტრუქტურებისგან დამოუკიდებლობას, ისე შიდა ავტონომიურობის იდეას. ის გულისხმობს უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებისა და მისი შესრულების კონტროლის პროცესში. გარდა ამისა, ავტონომია — ეს არის უნივერსიტეტის თვითმართვის უფლება, კადრების შერჩევისა და არჩევა-დანიშვნის განხორციელებისას კანონმდებლობის შესაბამისად დამოუკიდებლად მოქმედება.

ვფიქრობ, დღეს უნივერსიტეტის ერთ-ერთ მთავარი ამოცანა სწორედ რეალური ავტონომიის მოპოვებაა. სწავლების, კვლევისა და მართვის თავისუფლება საუნივერსიტეტო ცხოვრების ის ფუნდამენტური პრინციპია, რომელსაც პატივი უნდა სცეს ყველამ.

— როგორც რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, თუკი არჩევნებში გაიმარჯვებთ, რას გეგმავთ?

— უპირველესი ამოცანა იქნება ახალი რექტორის არჩევამდე უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მართვა და უნივერსიტეტში სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის ხელისშემწყობი სტაბილური აკადემიური გარემოს შექმნა. ამ გარდამავალ პერიოდში ჩასატარებელია უნივერსიტეტის მმართველი სხვა სუბიექტების არჩევნებიც. არჩეული უნდა იქნეს ახალი აკადემიური საბჭო, 10 ივნისამდე უნდა დასრულდეს კანცლერის არჩევნის პროცესიც, აქტიურად უნდა ჩავერთოთ „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში შესატან ცვლილებათა პაკეტზე მუშაობის პროცესში, რომლებმაც საფუძველი უნდა დაუდონ საქართველოს საუნივერსიტეტო განათლების სისტემურ ცვლილებებს, გარკვეული ცვლილებები იქნება შესატანი უნივერსიტეტის წესდებაშიც. ასე რომ, ეს უახლოესი რამდენიმე თვე უნივერსიტეტისთვის საკმაოდ დატვირთული პერიოდი იქნება და ჩემი რექტორის მოვალეობის შემსრულებლად არჩევის შემთხვევაში მთელი ძალისხმევა გადატანილი იქნება სწორედ ამ პროცესების სამართლიანად, გამჭვირვალედ, დემოკრატიული პრინციპების დაცვით წარმართვის უზრუნველყოფაზე.

— აპირებთ თუ არა რექტორის არჩევნებშიც მიიღოთ მონაწილეობა?

— მოდით უფრო ახალო პერსპექტივაზე ვისაუბროთ. თუკი რექტორის მოვალეობის შემსრულებლად ამირჩევენ, ეს იქნება ძალიან დიდი ნდობა უნივერსიტეტელი ამომრჩევლის მხრიდან, რაც ამავე დროს დიდ პასუხისმგებლობასაც დამაკისრებს. და თუ როგორ გავართმევ თავს ამ საპასუხისმგებლო საქმეს, დიდწილად განსაზღვრავს ჩემს სამომავლო გეგმებსაც.

— განსაზღვრულია თუ არა, როდის გაიმართება რექტორის არჩევნები?

— ეს თარიღი ჯერ დადგენილი არ არის. გადაწყვეტილებას ამის შესახებ მიიღებს აკადემიური საბჭო, თუმცა, ჩემი აზრით, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე რექტორის არჩევის პროცესი უნდა დასრულდეს.

გიორგი ანდრიაძის ბიოგრაფიული ცნობები

დაიბადა 1971 წლის 26 ივნისს ქ. თბილისში. 1988-1993 წლებში უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ფუნდამენტალურ მეცნიერებათა ინსტიტუტში ელექტრული ტექნიკისა და მასალების ფიზიკა და ტექნოლოგიის სპეციალობით. 1988-1990 წლებში იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (კერძოდ წმ. ილია მართლის პოლიტიკური ორგანიზაციის) სტუდენტური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1988-1990 წლებში იყო დისიდენტური, სტუდენტური, არაფორმალური გაზეთის „იბერიის" გამომცემელი და პასუხისმგებელი მდივანი. 1991-1993 წლებში, საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მმართველი საბჭოს წევრი. 1992-1993 წლებში გახლდათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირის გაზეთ „სამანის" მთავარი რედაქტორი. 1993 წლიდან იყო საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების - საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი „ძლევაის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და ვიცეპრეზიდენტი, ხოლო 1994 წლიდან ამავე ორგანიზაციის პრეზიდენტი 1997 წლამდე. 1997-2005 წლებში გახლდათ საქართველოს საპატრიარქოს საღვთისმეტყველო კომისიის მდივანი. 1999-2005 წლებში იყო საქართველოს საპატრიარქოს რადიო „ივერიის" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი; 2000-2005 წლებში — საქართველოს საპატრიარქოს ცენტრალური საქველმოქმედო ფონდის „ლაზარეს" ხელმძღვანელი. 1998-2005 წლებში იყო საქართველოს საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი. 2003 წლიდან არის ლაზური რადიო „კოლხას" დამფუძნებელი; 2004 წლიდან — დიასპორასთან ურთიერთობის ორგანიზაცია „ჩვენებურების" დამფუძნებელი; 2005 წლიდან — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდის მმართველი საბჭოს წევრი; 2007 წლიდან — ქართული ტელე-მაუწყებლობა „ივერიის" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი; 2008 წლიდან — ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი; 2011 წლიდან — ქართული უნივერსიტეტის ეთნოგენეტიკური პროექტის დირექტორი; 2013 წლიდან — კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზისის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი; 2015 წლიდან — მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. თეოლოგიის დოქტორი გიორგი ანდრიაძე 2010 წლიდან საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა.

მე-6 გვერდზე

შეხვედრა კანდიდატებთან

მეხუთე გვერდიდან

რატომ გავბედე არჩევნებში მონაწილეობის მიღება?

— როგორ შეაფასებთ უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს 10 მარტიდან რექტორის გადადგომამდე?

— ყველა ქართველისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დედა უნივერსიტეტად იწოდება და ჩემთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან ჩემი სადიპლომო თემა უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე მომზადდა და, ამდენად, ყველანაირად მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტში განვითარებული პროცესები. საერთოდ, ყოველ პერიოდს და ყველა თაობას სჭირდება რაღაც ახალი ხედვა — ეს იყო მიზეზი, ალბათ, პროცესებისა... თორემ რექტორი და მისი ჯგუფი ცნობილი მეცნიერები, თვალსაჩინო მოღვაწეები არიან. სტუდენტები მომავალი თაობაა. ყოველთვის არსებობდა ჩვენს ისტორიაში მამათა და შვილთა შორის ბრძოლა, წინა და მომავალი თაობის ჭიდილი. ორივე საქართველოს ერთგული და მოსიყვარულე ჯგუფი იყო. ყოველთვის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და ყოველ ეტაპზე საჭიროა ამ პრობლემის, დილემის გადაჭრა და მოგვარება, ანუ ეს იყო და ასე გრძელდება დღესაც.

— რამდენად ავტონომიურია უნივერსიტეტი, თქვენი აზრით?

— საერთოდ, რევოლუციური ნაბიჯების მომხრე არ ვარ, თუმცა მთელი ჩემი ბიოგრაფია მოდის სტუდენტური მოძრაობიდან. პირადად მე ძალიან ბევრ საკითხში ჩემი შენიშვნები მაქვს, მაგრამ არა რევოლუციური, არამედ ევოლუციური, განსაკუთრებით განათლების კანონთან დაკავშირებით. ძალიან კარგი იქნება, თუ მეტი ავტონომიურობა მიენიჭება უნივერსიტეტს, რადგან, რაც მეტი ავტონომიურობა იქნება, მით უფრო უკეთესად წარიმართება უნივერსიტეტის ბედი.

— როგორც მოვალეობის შემსრულებელი, თუკი გაიმარჯვებთ არჩევნებში, რას გეგმავთ?

— გეგმა არის უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებამდე მიყვანა და აკადემიური საბჭოს შექმნა. ოღონდ, ამ ყველაფერში სტუდენტების ჩართულობას კანონი არ ითვალისწინებს და მიმაჩნია, რომ მათი მოთხოვნების მაქსიმალური გათვალისწინება აუცილებელია. ეტყობა, ახალმა დრომ მოიტანა ახალი მოთხოვნები და ჩვენ ეს რაღაც კონსესუსით უნდა გადავწყვიტოთ. ეს არ არის პოლიტიკური პროცესი, უფრო სწორად, არ უნდა იყოს — გთხოვთ, ეს ხაზგასმით დაწეროთ! ეს უნდა იყოს პოლიტიკაზე მაღლა მდგომი პროცესი. ჩვენ ყველანი ვართ ერთი ქვეყნის შვილები და მე ყველა მხარეს ვუყურებ, როგორც საქართველოს პატრიოტსა და მოსიყვარულეს. თუ ასე შევხედავთ ერთმანეთს, ყველა საკითხი მოგვარებადი და გადაწყვეტადია. ჩემი, როგორც რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა, მთავარი ფუნქცია იქნება ევოლუციური გზით, და არა რევოლუციურით, ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინება ლეგიტიმური რექტორის და აკადემიური საბჭოს არჩევნების ჩატარებისთვის. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ჩაცხრება ვნებათაღელვა.

— აპირებთ თუ არა რექტორის არჩევნებშიც მიიღოთ მონაწილეობა?

— ამას სიტუაცია აჩვენებს. თუ იქნება სურვილი და მზაობა აკადემიური საბჭოს მხრიდან, დიდი სიამოვნებით. მოვალეობის შემსრულებლობა ჩემთვის უფრო დაბალი რანგის საქმეა და დროებითი მოვლენაა, ამიტომ გავბედე არჩევნებში მონაწილეობა. თუ შემდეგ სიტუაცია და პროცესები აჩვენებს, რომ დიდი ნაწილისთვის მისაღები იქნება ჩემი კანდიდატურა, ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნება, თუ არადა ამისთვის ბრძოლას ნამდვილად არ ვაპირებ.

ინესა მერაბიშვილი: საარჩევნო კომისიამ უკვე დაუშვა რიგი შეცდომებისა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტონომია არ არის გარანტი კანონიერებისა. უფრო მეტიც, ის იქცა თვითნებობისა და განუკითხაობის ფარად.

მარტის თვეში განვითარებული მოვლენებისას, უნივერსიტეტისთვის ბოძებული ავტონომიის გამოყენებით აკადემიურმა საბჭომ კანცლერის არჩევნების პროცესში დაარღვია არსებული რეგულაციები. ეს პროცესი ამხილა, ერთი მხრივ, ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციამ, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტმა. კანონდარღვევის უკუღმართობა კიდევ უფრო აშკარა გახადა სტუდენტურმა მღელვარებამ, რის შედეგადაც გადადგა თსუ-ის რექტორი. მიუხედავად ამისა, ამა წლის 15 მაისამდე აკადემიურმა საბჭომ გაიხანგრძლივა მუშაობის ვადა და 4 აპრილს გამოაცხადა კონკურსი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე, ხოლო 14 აპრილს ამოიწურა განცხადების შეტანის ვადა. თავს ვალდებულად ვთვლი, გავასაჯაროვო, რომ ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსშიც უკვე უხეშად დაირღვა რეგულაციები, რაც გამოიხატა, სულ მცირე, შემდეგში: 14 აპრილს საარჩევნო კომისიამ კონკურსში დარეგისტრირებული ორი პირი მოხსნა კონკურსიდან ასაკობრივი ზღვარის მიყენებით, რაც განმარტა შემდეგნაირად:

„მერაბ ელიაშვილი და ინესა მერაბიშვილი არ აკმაყოფილებენ: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე 2 პუნქტის მოთხოვნას,რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი.“

ინესა მერაბიშვილი

მოგეხსენებათ, საქართველოს კანონის 40-ე მუხლის 2-ე პუნქტამდე, 1-ი პუნქტია, სადაც განმარტებულია, თუ რომელი თანამდებობები იგულისხმება 2-ე პუნქტში:

„1. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის (რექტორის), ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელის და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის თანამდებობები, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა თანამდებობები. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობები.“

როგორც ჩემთვის ნათელია და როგორც განმიმარტეს წამყვანმა იურისტებმა, ამ თანამდებობებში არ იგულისხმება **რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობა**. ამიტომ იყო, რომ განცხადების მიღების მოთხოვნათა ჩამონათვალში ასაკობრივი ზღვარი მითითებული ვერ იქნებოდა. ამდენად, ჩემი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე განცხადების გასაჯაროებისას გამოიყენეს ის კანონი, რომელიც არ უდგება საკონკურსო თანამდებობას. ამის გარდა, სამარცხვინო ისიცაა, რომ 40-ე მუხლის 2-ე პუნქტი, რომელიც არასწორად მიუყენეს საკონკურსო თანამდებობას, თავად, როგორც რეგულაცია, არასრულად წარმოადგინეს. აი, რას ვკითხულობთ არსებული კანონის 40-ე მუხლის 2-ე პუნქტში:

„2. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარი შესაძლებლობა პირდაპირ არის გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით.“

როგორც ვხედავთ, კანონის 40 მუხლის 2-ე პუნქტის სრულად წარმოდგენის ნაცვლად, წინადადება გაყვეს და წარმოადგინეს მხოლოდ მისი პირველი ნაწილი, ე. ი. დამალეს წინადადების მეორე ნაწილი და მძიმის ნაცვლად დასვეს წერტილი.

ისმის სხვა კითხვა: იმ შემთხვევაშიც, თუ კანონი გამოცხადებულ თანამდებობას მიუდგებოდა, საბჭოს ხომ ევალებოდა საჯაროდ გამოექვეყნებინა მოთხოვნათა ნუსხაში ასაკობრივი ზღვარი, რადგან კანონის თანახმად ეს საბჭოს პრეროგატივაა? ასეთი არ მომხდარა!

ფრიად საყურადღებოა, რომ თსუ-ის კანცელარიის უფროსმა, ნუნუ ოვსიანიკოვამ საკონკურსო საბუთების მიღებისას ამა წლის 12 აპრილს, შეიტყო რა, რომ ვარ 66 წლის, ჩაიბარა წესრიგში არსებული ჩემი საბუთები და იქვე ამიხსნა, რომ 65 წლის ასაკობრივი ზღვარი ამჯერად არ მეხებოდა, რადგან საბუთები შემქონდა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე. ამასთანავე, განმიმარტა, რომ თუ მომავალში ვისურვებდი მონაწილეობა მიეღო რექტორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში, ასაკობრივი ზღვარის გათვალისწინება დამოკიდებული იქნებოდა ახალი აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებაზე.

ისმის შემდეგი კითხვა: რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობას რომ თავი დავანებოთ, რექტორისა და ადმინისტრაციის სხვა ხელმძღვანელების მიმართ თუ იყენებს თსუ-ის აკადემიური საბჭო 40 მუხლის 2-ე პუნქტს ასაკობრივ ზღვართან მიმართებაში?

როგორც ჩანს, არა, რადგან **მერაბ ელიაშვილი, რომელიც არამართებულად მოხსნეს კონკურსიდან, აღმოჩნდება, რომ არის დანიშნული რექტორის მოადგილედ 2013 წლის სექტემბერში**, რადგან მ. ელიაშვილი დაბადებულია 1945 წელს და 2013 წლის სექტემბერს 68 წელს იქნებოდა მიღწეული.

ცნობისათვის, თსუ-ში 65 წელს გადაცილებული პირების ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევები სხვაც მოიძებნება.

თუ არსებულ აკადემიურ საბჭოს მიღებული აქვს დადგენილება ასაკობრივი ზღვარის გამოყენების შესახებ, რაც პირდაპირ მიესადაგება რექტორის მოადგილის თანამდებობას, მაშინ მერაბ ელიაშვილი სასწრაფოდ უნდა განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

ისმის კითხვა: **გათავისუფლდა თუ არა მერაბ ელიაშვილი დაკავებული თანამდებობიდან? თუ არა და რატომ? არ ეხება მას კანონის ზემოაღნიშნული პუნქტი?**

გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი საბჭო მხილებულია კანონდარღვევასა და ადმინისტრირების დაბალ კომპეტენციაში, ხოლო საარჩევნო კომისიამ უკვე დაუშვა რიგი შეცდომებისა (გარდა განცხადებაში მითითებულის), მე არავითარ შემთხვევაში არ ვითხოვ ჩემს დაბრუნებას კონკურსში (თუმც ამის დარეგულირება თითქმის ავტომატურადაა შესაძლებელი), არამედ, მოვითხოვ, არსებული საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დათხოვნას და ახალი კომისიის დაკომპლექტებას. საარჩევნო კომისია თავისი შემადგენლობით არასანდოა იმის გამო, რომ ის დააკომპლექტა არასანდო აკადემიურმა საბჭომ.

ამასთანავე, მაქვს უფლება განვაცხადო, რომ არსებული აკადემიური საბჭო, რომელიც გადამდგარად არის გამოცხადებული, მაგრამ მუშაობს 15 მაისამდე, სასწრაფოდ უნდა ჩამოსცილდეს ადმინისტრაციულ საქმიანობას უნივერსიტეტში, ხოლო ახალი საარჩევნო კომისია შესაძლოა დააკომპლექტოს პროფესორთა საგანგებოდ შერჩეულმა გუნდმა.

ინესა მერაბიშვილი,
პროფესორი, თსუ-ის თარგმანმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელი

სამართლიანი იყო თუ არა საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება?

უნივერსიტეტის რექტორი ლადო პაპავა ინესა მერაბიშვილს და მერაბ ელიაშვილს ბოდიშს უხდის იმის გამო, რომ საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრაციიდან მათი მოხსნის გადაწყვეტილებაზე რეაგირების ბერკეტი არ აქვს.

„როდესაც აკადემიურმა საბჭომ ეს არჩევნები გამოაცხადა, საბჭოს წევრებისთვის ცნობილი იყო, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებელზე არ უნდა გავრცელებულიყო ასაკობრივი შეზღუდვა, რაც საბჭოს აცნობა თსუ-ის იურიდიულმა სამსახურმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტთან შეთანხმების შემდეგ, საარჩევნო კომისიამ კი მიიღო, ჩემი აზრით, არასამართლიანი გადაწყვეტილება და ასაკობრივი ბარიერი გაავრცელა რექტორის მოვალეობის შემსრულებელზეც. რექტორს კი არ გააჩნია რაიმე მექანიზმი — ზეგავლენა იქონიოს საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებაზე”, — აცხადებს ლადო პაპავა. მისი თქმით, იგი არ არის დარწმუნებული, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა დაუშვან, რომ 2013 წლისგან განსხვავებით, რექტორის არჩევნები მათი ჩართულობის გარეშე გაიმართოს.

დემეტრე ეგნატაშვილი

საარჩევნო კომისიის გადადგომის მოთხოვნა ჩვენ დემეტრე ეგნატაშვილს გავაცანით, რომელიც ამ კომისიის მდივანი გახლავთ. მისი თქმით, საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ინესა მერაბიშვილთან და მერაბ ელიაშვილთან მიმართებაში კანონს დაეფუძნა. „საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ” კანონის მე-40 მუხლს, კერძოდ, 1 და 2 პუნქტებს, უნივერსიტეტის წესდების 33-ე მუხლს, თავად რექტორის ბრძანებას და აკადემიური საბჭოს ბრძანებულებას დავეყრდენით, რომლითაც განისაზღვრა არჩევნების ჩატარება. კანონში ასეთი ჩანაწერია: ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება უნივერსიტეტის ხელმძღვანელის (რექტორი, დეკანი, კანცლერი და ა.შ.) თანამდებობა. კანონი ხაზგასმას აკეთებს არა მაინცდამაინც რექტორზე, არამედ დაწესებულების ხელმძღვანელზე. ამავე კანონით განსაზღვრულია, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც საარჩევნო კოლეგიის მიერ აირჩევა, ახორციელებს რექტორის სრულ უფლებამოსილებას. იგი არაფრით განსხვავდება რექტორისგან, გარდა ერთი მომენტისა — მისი მოქმედება შეზღუდულია დროში. სხვა მხრივ, მოვალეობის შემსრულებელი, თავისთავად, სრულუფლებიანი რექტორია. „დაწესებულების ხელმძღვანელში” კანონი მოიაზრებს როგორც რექტორს, ასევე რექტორის მოვალეობის შემსრულებელს. თუკი კანონი ამბობს, რომ ასაკობრივი ცენზი არსებობს ამ პირის მიმართ, რექტორის მოვალეობის შემსრულებელიც, ცხადია, უნდა ემორჩილებოდეს ამ განაწესს”, — აცხადებს დემეტრე ეგნატაშვილი და ამბობს, რომ საარჩევნო კომისიას კანონი არ დაურღვევია. მისი თქმით, არჩევნები 20 აპრილს გაიმართება და საარჩევნო კომისია დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს.

სტუდენტური თვითმმართველობის როგორ რეფორმას ითხოვს „აუდიტორია 115"

რა არ მოსწონს სტუდენტურ ჯგუფს ახალ კანონპროექტში?

უნივერსიტეტის სტუდენტები 16 აპრილიდან ისევ აქციებს აანონსებენ. ამასთან დაკავშირებით მათ განცხადება განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან შეხვედრის შემდეგ გააკეთეს. ისინი აღნიშნავენ, რომ სამინისტროს მხრიდან მათთვის მიცემული პირობა არ შესრულდა და, ამდენად, საპროტესტო აქციებს ისევ განაახლებენ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტს აპროტესტებს „აუდიტორია 115." სტუდენტების განცხადებით, კანონის სამუშაო ვერსიაში მათი მოთხოვნები გათვალისწინებული არ არის. ისინი თვითმმართველობის სტრუქტურის გაუქმებას და „ოდეერების" მიერ უნივერსიტეტის დაუყოვნებლივ დატოვებას მოითხოვენ. მათი აზრით, განათლების სამინისტრო სტუდენტებს სთავაზობს არა თვითმმართველობის სტრუქტურის გაუქმებას, არამედ მის ჩანაცვლებას სხვა სახელის მქონე, ასევე ბიუროკრატიული და, გარკვეულწილად, იერარქიული ორგანოთი.

„არ ვაპირებთ ჩვენი მოქმედებებისა და მიზნების ლოკალიზებას მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობების მიმართულებით. სტუდენტური თვითმმართველობა არის უბრალო რგოლი ამ მანკიერი სისტემისა. ჩვენი დღის წესრიგი სწორედ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ უამრავ პრობლემაზე მუშაობაა.

გვაქვს ოთხპუნქტიანი მოთხოვნა, რაც აქამდე არ დაკმაყოფილებულა:

1) მოვითხოვთ განათლების სისტემის სრულ რეფორმირებას და მეცნიერების პრიორიტეტად ქცევას, რაც გულისხმობს გარე რეფერირებას და სხვა საკითხებს;

2) სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურის გაუქმებას და წარმომადგენლობითი ფუნქციის გადაცემას საბჭოებში პირდაპირი წესით არჩეული სტუდენტებისთვის;

3) რექტორისა და აკადემიური საბჭოს არჩევის ახალი, დემოკრატიული წესის შემუშავებას;

4) „ოდეერების" მიერ უნივერსიტეტების დაუყოვნებლივ დატოვებას;

სახელმწიფო და განათლების სამინისტრო სტუდენტების მოტყუებას ცდილობენ, რასაც ჩვენ ვერ დავუშვებთ და ვაგრძელებთ ბრძოლას, ვიდრე ქვეყნისთვის განათლება არ გახდება პრიორიტეტული დარგი და არ განხორციელდება ძირეული ცვლილებები. ჩვენ ვითხოვთ განათლების რეფორმას! " — აღნიშნულია სტუდენტების მიმართვაში.

განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ წინადადებებთან დაკავშირებით შენიშვნები აქვთ სტუდენტურ თვითმმართველობაშიც. თვითმმართველობის წევრები უნივერსიტეტის საქმიანობაში სამინისტროს რაიმე ფორმით ჩარევას ეწინააღმდეგებიან, რადგან ეს უნივერსიტეტის ავტონომიის ხელყოფას ნიშნავს. მათი აზრით, უნივერსიტეტმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს — როგორი სახის თვითმმართველობა ეყოლება.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე თვლის, რომ ახალი კანონპროექტი სასწავლებელში არსებულ მდგომარეობას გამოასწორებს. „ჩვენ ოპტიმალური ვარიანტი შევთავაზეთ სტუდენტებს. თვითმმართველობა ახალ პროექტში არ ფიგურირებს, არის სხვა სტრუქტურა, რომელიც ბევრად უფრო დემოკრატიულია", — განაცხადა თამარ სანიკიძემ.

განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტის სამუშაო ვერსიის მიხედვით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში თვითმმართველობები გაუქმდება და მათ ნაცვლად სტუდენტური კლუბები შეიქმნება, რომლის წევრებსაც აირჩევენ ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, 2 წლის ვადით.

პროექტის მიხედვით, სტუდენტურ კლუბში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს აკადემიური უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის სტუდენტი.

სტუდენტური კლუბების მართვის ორგანო იქნება სტუდენტური საბჭო. თითოეული სტუდენტური კლუბი სტუდენტურ საბჭოში თავისი შემადგენლობიდან აირჩევს თანაბარი რაოდენობის წარმომადგენელს, მაგრამ არაუმეტეს სამისა. მათი რაოდენობა განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით.

სტუდენტური საბჭოს საქმიანობას ორგანიზებას გაუწევს თავმჯდომარე და სპიკერი, რომლებსაც სტუდენტური საბჭო თავისი რიგებიდან აირჩევს.

ხოლო აქტივობებზე და სტუდენტური პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილ თანხას მონიტორინგს საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული გაუწევს.

გიორგი არობელიძე

მიმდინარე პროცესებზე დაკვირვების შედეგად სტუდენტები აცხადებენ: „არსებობს ეჭვი, რომ სამინისტროზე მოხდა ზეწოლა ძალოვანი სტრუქტურების მიერ. მათ ჯერ დაადგიანეს კანონპროექტის გამოგზავნა, საბოლოოდ კი სტუდენტებს შესთავაზეს კანონპროექტის სამუშაო ვარიანტი, რომელიც, ფაქტობრივად, თვითმართველობის მხოლოდ „რებრენდინგს" ითვალისწინებს. ანუ სტრუქტურული ერთეული სხვა სახელით ისევ იარსებებს".

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტის სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს „აუდიტორია 115"-ის წევრებმა, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა: გიორგი არობელიძემ და ნათია ქარჩილაძემ.

გიორგი არობელიძე:

— „აუდიტორია 115" წევრების შეხვედრა განათლების მინისტრთან უშედეგოდ დასრულდა, რადგან განათლების სამინისტრო არაა მზად გაითვალისწინოს ჩვენ მიერ შეთავაზებული მთავარი — თანასწორობის პრინციპი.

გვაქვს რამდენიმე ძირითადი მოთხოვნა, რომელიც ყველაზე ფუნდამენტურ პრობლემებს ეხება. პირველი ეს არის სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რეფორმის მაგივრად შემოგვთავაზა ის, რომ საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ ტერმინ „თვითმმართველობას" ჩაანაცვლებს სიტყვათშეთანხმება — „სტუდენტური კლუბი".

სტუდენტური აქციების შემდეგ სამინისტრომ მოგვცა პირობა, რომ ყველა ჩვენს პრინციპს გაიზიარებდა; მოხდებოდა სტუდენტური თვითმმართველობის გაუქმება და ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც გამორიცხავს რაიმე ჯგუფის უპირატეს მდგომარეობაში ყოფნას.

ორი შეხვედრა გვქონდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, რომელსაც მინისტრი პირადად ესწრებოდა. ბოლო შეხვედრა 1 აპრილს გაიმართა, სადაც ჩვენ ის თეზისები წარმოვადგინეთ, რომლის მიხედვითაც ახალი კანონი უნდა შემუშავებულიყო. სამინისტრომ მოიწონა ჩვენ მიერ წარმოდგენილი თეზისები და მზადყოფნა გამოთქვა მუშაობის დასაწყებად.

მათგან მივიღეთ პირობა, რომ კანონპროექტს უახლოეს დროში გადმოგვიგზავნიდნენ. ერთი კვირის შემდეგ კი მოგვდის კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ტერმინ „სტუდენტურ თვითმმართველობას" ანაცვლებს ტერმინი „სტუდენტური საბჭო" და „სტუდენტური კლუბი", სხვა ყველაფერი კი იგივე რჩება: ისევ პრეზიდენტი, ისევ მოადგილეები და ა.შ. წარმოგვიდგინეს თვითმმართველობის აბსოლუტურად იდენტური სტრუქტურა, მხოლოდ ერთი განსხვავებით - ახალი კანონმდებლობის თანახმად, ამ ორგანოს უკვე თავისი ბიუჯეტი ექნება.

რა მოხდა, რატომ შეიცვალა რადიკალურად თავისი მოსაზრება განათლების სამინისტრომ?

პასუხი მგონი ყველასათვის ნათელია. ჩვენი ვარაუდით, საქმეში ჩაერთო უშიშროების სამსახური. რა თქმა უნდა, მას არ აწყობს სტუდენტური თვითმმართველობის გაუქმება და თუ რატომ, ეს ყველამ კარგად იცის.

მე-8 გვერდზე

შალვა საბაური: მხოლოდ თსუ-ში მიმდინარე პროცესების გამო არ შეიძლება კანონში ცვლილებების შეტანა!

ავტონომიის დარღვევა და სტუდენტების თავისუფლების შეზღუდვა — ასე აფასებს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში ცვლილებათა კანონპროექტის დრაფტს. შალვა საბაური მიიჩნევს, რომ კანონის რეფორმირების პროცესში საქართველოში არსებული ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტური თვითმმართველობა უნდა ჩაერთოს, რადგან მომზადებული კანონპროექტის დრაფტი უშუალოდ მათ ეხებათ. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცვლილებების საკუთარ მოდელსაც წარუდგენს.

*რატომ აფასებს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ ცვლილებებს ავტონომიის შეზღუდვად? რა პოზიცია აქვთ მის წევრებს? გვესაუბრება თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი **შალვა საბაური**.*

შალვა საბაური

— განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში ცვლილებათა კანონპროექტის დრაფტი მოამზადა. როგორ აფასებს შემოთავაზებულ მოდელს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა?

— ჩვენი პოზიცია არის ასეთი: თუ საკანონმდებლო დონეზე ხდება ცვლილება, უნდა აიხსნას — რატომ დგას ამის საჭიროება, რადგან „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 45-ე მუხლით და კიდევ რამდენიმე პუნქტით უზრუნველყოფილია სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ფუნქცია — ფაკულტეტების საბჭოებში სტუდენტების წარმომადგენლობა. სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ფუნქცია კანონში გაწერილი არ არის და თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებული სტუდენტები წყვეტენ, თუ როგორ დაალაგონ ეს სტრუქტურა. შესაბამისად, ასე ხისტად ერთი მოდელის შეთავაზება, რომელიც კანონში ჩაიდება და ყველა ამას უნდა მოერგოს, არასწორია. ეს ნიშნავს პირდაპირი წესით ავტონომიის შეზღუდვას. რაც შეეხება იმას, რომ თითქოს კლუბური მოდელი შემოდის, შინაარსობრივად ასე არ არის — ფაკულტეტის თვითმმართველობებს ერქმევა სხვა სახელი — კლუბი და ცალკე საინიციატივო ჯგუფებს თავისთავად შეუძლიათ პროექტების შეტანა ადმინისტრაციაში, რომლისთვისაც გარკვეული მოჭრილი თანხა იარსებებს ისევე, როგორც სტუდენტური საბჭოსთვისაც იარსებებს მოჭრილი თანხა. პრაქტიკულ დონეზე იქმნება ბიუჯეტი, რომელიც წინასწარ დამტკიცდება წარმომადგენლობით საბჭოზე. ეს არასწორია, რადგან იგივე ადმინისტრაციული გავლენაა... ზოგადად, კლუბების დებულებას ამტკიცებს სენატი, სადაც სტუდენტების შემადგენლობა 1/3-ია და პროფესორებს შეუძლიათ შეუზღუდონ სტუდენტებს უფლებამოსილებები. სტუდენტური თვითმმართველობა კი არის სტუდენტების ხმა და მისი ნებისმიერი სახით შეზღუდვა ან ამის თეორიულად დაშვება არასწორი და არალოგიკურია. დღეს მოქმედი კანონით, სტუდენტების თავისუფლება დაცულია. სტუდენტებს შეუძლიათ თვითონ შეარჩიონ მოდელი – როგორი თვითმმართველობა სურთ ყავდეთ, რა უნდა რომ გააკეთონ და ა.შ.

— ფაქტობრივად, თქვენი შეფასებით, ამ ცვლილებების დაკანონების შემთხვევაში, ადმინისტრაციას სტუდენტური თვითმმართველობის კონტროლის ბერკეტი ექნება?

— დიახ! და კიდევ, ეს, ასევე, ნიშნავს ავტონომიაში ხისტად ჩარევას. სტუდენტს თავად უნდა ჰქონდეს უფლება, აირჩიოს — როგორი მოდელის თვითმმართველობა სურს უნივერსიტეტში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 22 000 სტუდენტი სწავლობს, ამიტომ 80, 200 ან თუნდაც უფრო მეტს, როდესაც ასეთი ფორმით უნდათ სტუდენტური თვითმმართველობის შეცვლა (თანაც ოფიციალური ორგანიზების გვერდის ავლით), ავტონომიის დაცვა კი არა, ავტონომიის შეზღუდვა სურთ ფრაზის — „ავტონომია უნივერსიტეტს" — საფარქვეშ. ამ შემთხვევაში სხვა ადამიანების აზრი იზღუდება. დემოკრატიულად უმრავლესობამ უნდა გადაწყვიტოს — როგორი მოდელის სტუდენტური თვითმმართველობა სურს იყოს უმაღლეს სასწავლებელში. ჩვენი მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობა 6 000-მა ამომრჩეველმა აირჩია და საარჩევნო პროცესში არც ერთი ხარვეზი არ დაფიქსირებულა. მისი არალეგიტიმურად გამოცხადება თვითგამოცხადებული ორგანიზაციის მიერ ცალსახად არალეგიტიმურია. ყველაფერს აქვს თავისი სამართლებრივი ჩარჩო, როგორც კი პროცესი ამ ფარგლებს გასცდება, იწყება არეულობა. სტუდენტურ თვითმმართველობას, რა თქმა უნდა, რეფორმა სჭირდება! ნებისმიერი ორგანიზაციის ვალია — განვითარდეს და თანამედროვე გარემოს მოერგოს, მაგრამ, თუ არ ამბობ — რას ცვლი, როგორ და რატომ, მაშინ ეს, უბრალოდ, პოპულიზმია.

— სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმის საკითხი მისი რეპუტაციის გამოც დადგა. წლების განმავლობაში არა ერთი უარყოფითი შეფასება ხმიანდებოდა ამ ინსტიტუტის მისამართით...

— კარგად უნდა გაიმიჯნოს წარსული და ახლანდელი პერიოდი. ჩვენი მოწვევის თვითმმართველობამ შეძლო ემუშავა ისეთ ვითარებაში, როდესაც სრული დეპოლიტიზება განვახორციელეთ და არც ერთი ძალადობის ფაქტი არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ არაერთ პროვოკაციას ჰქონდა ადგილი. ვგულისხმობ ამ ინსტიტუტის არაეთიკურად მოხსენებას, წევრი სტუდენტების დემორალიზაციის მცდელობას და ა.შ. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის, რომ ამ კანონპროექტის დრაფტში წერია, რომ „ახლა თვითმმართველობაში ყველა საფეხურის სტუდენტს შეეძლება, რომ არჩეულ იქნას". ახლა რა, ასე არ არის? ამ მოწვევის თვითმმართველობაში უმაღლესი საგანმანათლებლო სამივე საფეხურის სტუდენტები არიან. ასეთი ფორმულირებით პროექტის დაწერა ნიშნავს იმას, რომ კანონი კარგად არ ესმით.

— ახლა რას აპირებთ, გეგმავთ თუ არა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თქვენი წინადადებები მიაწოდოთ?

— ჩვენ ჩვენეულ მოდელს შევთავაზებთ. ვფიქრობთ, რომ განათლების სამინისტროს უნდა ჰქონოდა ისეთი პოზიცია, როგორც ნებისმიერ სხვა სამინისტროს, რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული კანონის რეფორმირებაში, ანუ სამინისტროს უნდა შეეძლოს კანონის იმგვარად ინტერპრეტაცია, რასაც ეს კანონი გულისხმობს. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 45-ე მუხლი უზრუნველყოფს სტუდენტური თვითმმართველობის დამოუკიდებლობას. ის, რომ მხოლოდ სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს წვდომა რესურსებზე, არ არის სწორი. რაღაც ლოგიკით სტუდენტური თვითმმართველობა სხვებზე უკეთ მოქმედებს, რადგან დაგროვდა გამოცდილება და წევრმა სტუდენტებმა იციან — ესა თუ ის პროექტი როგორ განახორციელონ, როგორ გაიწეროს ფინანსური ხარჯთაღრიცხვა და როგორ უნდა წარმართონ უნივერსიტეტში არსებული ბიუროკრატიის წინააღმდეგ ლოჯისტიკური ბრძოლა. სტუდენტების საინიციატივო ჯგუფებსა თუ კონკრეტულ სტუდენტებსაც ვეხმარებით ამა თუ იმ იდეის განხორციელებაში. მოგეხსენებათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 22 000 სტუდენტი სწავლობს და თითოეულ მათგანს ვერ გამოვკითხავთ — რამე იდეა აქვთ თუ არა, სტუდენტური თვითმმართველობა მათ ინტერესებს ემსახურება და, სურვილის შემთხ-

მე-9 გვერდზე

სტუდენტური თვითმმართველობის როგორ რეფორმას ითხოვს „აუდიტორია 115"

რა არ მოსწონს სტუდენტურ ჯგუფს ახალ კანონპროექტში?

მეშვიდე გვერდიდან

ჩვენ გვინდა, რომ კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ" შეიცვალოს. ცვლილების თანახმად, ბუნებრივად შეიქმნება უნივერსიტეტში სტუდენტური კლუბები, ისე, როგორც ეს არის დასავლეთის უნივერსიტეტებში, რომელიც გულისხმობს ინტერესების გარშემო გაერთიანებულ სტუდენტებს. ასეთი კლუბები დღეს უნივერსიტეტში არსებობს, მაგალითად პოლიტოლოგთა კლუბი და სხვა. ისინი თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებენ პროექტებს და ა.შ.

თსუ-ში უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც წელიწადში რამდენიმე საგრანტო კონკურსს გამოაცხადებს. სტუდენტური საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ერთი იდეის გარშემო გაერთიანდება, ამ კომისიაში თავის განაცხადს შეიტანს და კომისია, განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ამ პროექტს ან დააფინანსებს, ან — არა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კანონპროექტში ასახულია რამდენიმე სერიოზული დეტალი: კერძოდ, კანონპროექტი ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა წარმომადგენლების პირდაპირი წესით არჩევას გვთავაზობს. სენატის წევრ სტუდენტებს ფაკულტეტის საბჭოში არჩევა ეკრძალებათ, ანუ ორი საბჭოს წევრობა. ამასთანავე, სამინისტრო რეგულაციებს აწესებს სტუდენტთა ხარჯების გამოყენების საკითხებზეც.

ხშირად აპელირებენ, რომ თუ თვითმმართველობას გავაუქმებთ და კლუბურ სისტემაზე გადავალთ, სტუდენტების უფლებების დაცვას ვეღარ უზრუნველყოფთ, რაც არასწორია. თუ ჩვენ მივაღწევთ, რომ სტუდენტი ფინანსურ რესურსებთან წვდომას ჩამოვაშორეთ, მაშინ არჩევნებში მონაწილეობას ისეთი სტუდენტები მიიღებენ, რომლებიც იაქტიურებენ საფაკულტეტო საბჭოებზე, სენატში და მართლა საქმეს გააკეთებენ. ყველა სტუდენტი თანაბარ მდგომარეობაში უნდა იყოს.

ხოლო რაც შეეხება სტუდენტის თუ სტუდენტური ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტის დაფინანსებას და ფინანსურ ანგარიშვალდებულებას შესაბამის ორგანოსთან, ამისთვის შეიქმნება საფაკულტეტო კომისია, რომელიც პრიორიტეტებს განსაზღვრავს. ბუნებრივია, პირველ რიგში პრიორიტეტი იქნება მეცნიერება და განათლება, ხოლო შემდეგ კულტურული, სპორტული და გასართობი ღონისძიებები. გარდა ამისა, კომისიას გაწერილი ექნება ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეფასდება სტუდენტების მიერ წარმოდგენილი პროექტები. ეს თავისთავად გამოიწვევს იმას, რომ გაჩნდება უამრავი სტუდენტური ინიციატივა და მათთვის შეიქმნება თანაბარი სასტარტო პირობები. ამ შემთხვევაში, სტუდენტური თვითმმართველობაც შეიძლება გადაკეთდეს ახალ ერთეულად და მონაწილეობა მიიღოს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში.

სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ კანონპროექტში კიდევ ბევრი საკითხია გადასახედი. მაგალითად, რექტორისა და აკადემიური საბჭოს არჩევნების საკითხი. კანონპროექტის მიხედვით, რექტორს და რექტორის მოვალეობის შემსრულებელს აირჩევს არა საარჩევნო კოლეგია, როგორც ეს დადგენილია მოქმედი კანონით, არამედ აკადემიური საბჭო, რაც უნივერსიტეტის დემოკრატიულობის ხარისხს ეჭვქვეშ აყენებს, მაშინ, როდესაც, უნივერსიტეტში უამრავი სტუდენტი სწავლობს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია გაიზარდოს როგორც სტუდენტთა, ისე აკადემიური საზოგადოების ჩართულობა, რომელიც გამოიწვევს ამ პროცესების გაჯანსაღებას. როგორც გამოჩნდა, თსუ-ის აკადემიურ საბჭოს აღარ შესწევს ძალა უნივერსიტეტში ძირეული ცვლილებები განახორციელოს. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში დღეს არის კლანური მმართველობა და კლანებს შორის დაპირისპირება, თუნდაც აკადემიურ საბჭოში.

ნათია ქარჩილაძე

ნათია ქარჩილაძე:

— განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თვითმმართველობის რეფორმის ჩვენეული ხედვა შევთავაზეთ. ვითხოვდით, რომ თვითმმართველობის სტრუქტურა, როგორც ასეთი, გაუქმებულიყო და საფაკულტეტო საბჭოებში მომხდარიყო სტუდენტების პირდაპირი არჩევა.

რეალურად, განათლების სამინისტრომ შემოგვთავაზა ის, რომ თვითმმართველობის სახელი, უბრალოდ, კლუბების სახელით ჩაანაცვლა და ის ბიუროკრატიული სისტემა, რაც სტუდენტურ თვითმმართველობას ჰქონდა, კვლავ ისე დატოვა.

ერთადერთი წინსვლა, ჩვენი აზრით, არის ის, რომ საფაკულტეტო საბჭოებზე სტუდენტების არჩევა პირდაპირი წესით მოხდება, სწორედ ისინი მიიტანენ სტუდენტურ ხმას უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებთან. მინისტრის ერთ-ერთი არგუმენტი, თუ რატომ უნდა არსებობდეს სტრუქტუირებული კლუბები, არის ის, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაკვდება სტუდენტური ცხოვრება, რაშიც ვერ დავეთანხმებით. ამის საშიშროება ნამდვილად არ შეიქმნება.

მაშინ, როცა უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ გრანტებზე თავისუფალი წვდომა იქნება, უფრო მეტი სტუდენტური კლუბი შეიქმნება და უფრო მეტი სტუდენტი ჩაერთვება სხვადასხვა აქტივობებში. დარწმუნებული ვარ, თუ თვითმმართველობის სახით ბიუროკრატიული სისტემა არ იარსებებს, სტუდენტთა დაინტერესება უფრო დიდი იქნება. როდესაც ჩვენ სამინისტროს სტუდენტური კლუბების შექმნის ინიციატივაზე ვესაუბრებოდით, ვგულისხმობდით არა „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში ცვლილების შეტანას, არამედ მის გაწერას შიდა საუნივერსიტეტო დებულების სახით.

გარდა ამისა, სამინისტროს შევთავაზეთ „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტში შეეტანა კიდევ ერთი შესწორება, რომელიც რექტორის არჩევის წესს შეეხებოდა. კანონპროექტის მიხედვით, რექტორს აირჩევს აკადემიური საბჭო, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმებით. აუცილებელია, რომ რექტორის არჩევნების უფრო დემოკრატიული მეთოდი დაინერგოს. თუ აკადემიურ საბჭოში ღირსეული, მიუკერძოებელი წარმომადგენლები გვეყოლება, მაშინ ეს გამართლებული იქნება, მაგრამ ამის გარანტიებს არავინ მოგვცემს. უნივერსიტეტში დღეს არსებობს კლანები, რომლებიც გარკვეული ჯგუფის ინტერესებს გამოხატავენ.

რადგან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ, ვაპირებთ, დავწეროთ კანონპროექტის ჩვენეული ვერსია და უკვე პარლამენტის გზით დავიწყებთ მის ლობირებას. რა პროექტიც განათლების სამინისტრომ შემოგვთავაზა, იმის ფორმირებას აზრი არ აქვს, არც მის პუნქტობრივ ჩასწორებას, რადგან ძირეული საკითხები შეუთანხმებელია.

მინდა, ერთ ფაქტზეც გავამახვილო ყურადღება: რატომღაც ხდება იმის ინტერპრეტირება, რომ ჩვენი ერთადერთი მიზანი — სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმაა. ეს ასე არ არის! ჩვენ გვაქვს რამდენიმე ძირითადი მოთხოვნა, რომელიც უკვე გავაჟღერეთ. ეს საკითხები თვითმმართველობის თემაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საკითხებია.

თამარ დადიანი

16 აპრილის აქცია

სტუდენტური აქციების ახალი ტალღა თსუ-ში

პიკეტირებული VI კორპუსი და ულტიმატუმები საქართველოს პრემიერ-მინისტრს

მეორე გვერდიდან

„მოვითხოვთ განათლების რეფორმას!"

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობის სახურავიდან აქციის მონაწილეებმა ტრანსფარანტი — „მოვითხოვთ განათლების სისტემის რეფორმას!" — გადმოფინეს.

აქციაზე შეკრებილ სტუდენტებს და მონაწილეებს მიმართეს სხვადახვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, მათ შორის, ტექნიკური უნივერსიტეტის გაფიცულმა პროფესორებმაც. „უნივერსიტეტის სტუდენტობა ყოველთვის საზოგადოების ლიდერი იყო. ბოლო პერიოდის მოვლენებმა დამარწმუნა, რომ მხოლოდ ერთი უნივერსიტეტის საპროტესტო აქციებით სწავლის ხარისხი ვერ გაუმჯობესდება. სისტემას სჭირდება შეკავშირებული, ერთიანი ძალისხმევა. მე-5 დღეა, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესურა შიმშილობს და სამინისტროსა და ხელისუფლების მხრიდან არ იგრძნობა არავითარი ყურადღება. თუ ადამიანს არ ადარდებს ერთი პროფესორის შიმშილობაც კი, იგი არ არის ღირსი, იყოს მინისტრი. გიცხადებთ თანადგომას!", — განაცხადა ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა გოდერძი ტყეშელაშვილმა.

„რა უშლის ხელს, რომ რექტორი აირჩეს მთელი უნივერსიტეტის მიერ? რა უშლის ხელს, რომ სენატი და აკადემიური საბჭო იყოს უფრო წარმომადგენლობითი და დემოკრატიული გზით არჩეული? რა უშლის ხელს გარე რეფერირების შემოღებას აკადემიური პერსონალის არჩევის პროცესში? უნივერსიტეტი ჩვენია, ჩვენ უნდა შევცვალოთ განათლების სისტემაც და ეს ქვეყანაც და ეს უნდა მოხდეს დემოკრატიული გზით. ვის ეშინია დემოკრატიის? ჩვენ არ გვეშინია!", — მიმართა სტუდენტებს ლევან ლორთქიფანიძემ, რომლის გამოსვლასაც მოჰყვა სკანდირება: „ავტონომია უნივერსიტეტს!", „პრიორიტეტი — მეცნიერება!".

რამ მიიყვანა სტუდენტები ასეთ რადიკალურ ზომამდე? აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, „აუდიტორია 115"-ის წევრმა თორნიკე შევარდნაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ განათლების და მეცნიერების სამინისტრომ სტუდენტები მოატყუა, რადგანაც კონსტრუქციულ რეჟიმში მუშაობის შედეგად მიღებული ცვლილებები არ აისახა „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტში: „დღეს ჩვენ ვითხოვთ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას და თუ ისიც არ დათანხმდება ჩვენს მოთხოვნებს, გვრჩება ერთადერთი – რადიკალური გზა, რომელშიც იგულისხმება არა ინვენტარის გაფუჭება ან უნივერსიტეტის ქონების დაზარალება, არამედ ყველა სხვა კორპუსების პიკეტირება და სასწავლო პროცესის ჩაშლაზე პასუხისმგებელი იქნება საქართველოს მთავრობა", — აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში და კითხვაზე, აპირებენ თუ არა აქციის გადატანას სხვა, უფრო დიდ მასშტაბზე, თორნიკე შევარდნაძემ განაცხადა, რომ ისინი ახლა ებრძვიან სახელმწიფო პოლიტიკას და არ გამორიცხავენ აქციებს სამინისტროს და მთავრობის კანცელარიის წინაც.

აქციის მიმდინარეობისას არ ყოფილა გამოხმაურება არც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და არც პრემიერ-მინისტრის აპარატის მხრიდან. ამ მიზეზით, დაახლოებით 3 საათზე, მონაწილეებს მიმართა ლევან ლორთქიფანიძემ და შესთავაზა მათ – გადაენაცვლებინათ მთავრობის კანცელარიის წინ, რათა უფრო ახლოდან მიეწვდინათ ხმა პრემიერ-მინისტრისთვის.

სტუდენტები მინისტრთა კაბინეტისკენ დაიძრნენ.

უარი მთავრობის საპარლამენტო მდივანს

სახელმწიფო კანცელარიის წინ აქციის მსვლელობისას გახმიანდა ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი და მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი შალვა თადუმაძე მზად იყო, მიეღო სტუდენტთა წარმომადგენლობა მოთხოვნების განსახილველად, თუმცა აქციის მონაწილეებმა ამ შემოთავაზებაზე უარი განაცხადეს.

„ჩვენ ერთხელ უკვე მოგვატყუეს და აღარ მოვტყუვდებით. გვსურს, პრემიერ-მინისტრმა აიღოს პოლიტიკური პასუხისმგებლობა განათლების სისტემის ძირეულ რეფორმაზე", — განაცხადეს აქციის მონაწილეებმა.

ამის შემდეგ აქციის მონაწილეები ისევ უნივერსიტეტს დაუბრუნდნენ და გვიან ღამემდე მსჯელობდნენ პროტესტის გამოხატვის შემდგომ გზებზე.

თამარ სანიკიძე: „მოლაპარაკებების რესურსი ამოწურული არ არის"

16 აპრილსვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში განაცხადა, რომ სტუდენტებთან კონსტრუქციულ რეჟიმში იმუშავეს და მოლოდინი აბსოლუტურად განსხვავებული იყო: „ვფიქრობ, ძალიან კარგად და ნორმალურად მიდიოდა მუშაობა. მივედით იქამდე, რომ რაღაც საკითხები საბოლოოდ გადავწყვიტეთ. დაგვრჩა გარკვეული საკითხები გადასაწყვეტი, რაც აუცილებლად უნივერსიტეტების ფარგლებში საჯარო განხილვებით უნდა გაგრძელდეს და შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება, რადგან საბოლოოდ ამ ცვლილებების განმახორციელებლები სწორედ უნივერსიტეტები არიან", — განაცხადა მან და უსამართლობად მიიჩნია სტუდენტების მიერ გამოთქმული საყვედური, რომ ცვლილებები „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში ფასადურია: „თავად „აუდიტორია 115"-ის პრინციპული მოთხოვნაც იყო, რომ ნებისმიერი ცვლილება, მით უმეტეს, რეფორმა, წარმართული ყოფილიყო საჯარო განხილვის, ჩართულობის ფონზე, ამიტომ შემდეგი ნაბიჯი იქნებოდა უნივერსიტეტებში საჯარო განხილვები. ჩვენ დავპირდით მათ, რომ მივიღებდით ყველანაირ, თუნდაც ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებულ, არგუმენტაციას. ჩვენ აუცილებლად უნდა მოგვეცეს საშუალება, ანალიზი გავაკეთოთ — რა მოთხოვნებია, რას როგორ ხედავენ უნივერსიტეტები. ამიტომ შემდგომი შეხვედრა უნდა ყოფილიყო შემაჯამებელი, რომლის შედეგადაც ჩამოვყალიბდებოდით გარკვეულ მოდელზე. სამწუხაროდ, რამდენიმე დღის მერე ჩვენ ვნახეთ აქცია, რომელიც ნამდვილად არ ჰგავს იმ აქციას იმ მოთხოვნებით, რომლითაც დაიწყეს, არამედ გადავიდა უკვე სხვა ფაზაში, რაც ნამდვილად სამწუხაროა", — აღნიშნა თამარ სანიკიძემ.

მისივე თქმით, სტუდენტების მოთხოვნების 80 % ასახულია კანონპროექტში. რაც შეეხება სტუდენტურ თვითმმართველობას, რომლის გაუქმებასაც „აუდიტორია 115"-ის წევრები ითხოვდნენ, მინისტრის თქმით, შემოთავაზებულია აბსოლუტურად განსხვავებული სტრუქტურა: „სტუდენტური გაერთიანება, პირობითად კლუბები, გავმიჯნეთ იმ საბჭოებიდან და არჩევნებიდან, რომლებიც კომბინირებულად მიმდინარეობდა აქამდე. ჩვენ მათ შევთავაზეთ სტუდენტური გაერთიანება აბსოლუტურად პარიტეტულ საწყისებზე, ფაკულტეტების მიხედვით, რომელიც უკვე იქნებოდა პასუხისმგებელი და ვალდებული წლის განმავლობაში, რომ უნივერსიტეტს ჰქონოდა სტუდენტური აქტივობები, სტუდენტური პროექტები. ყველა ის დისკომფორტი, რომელიც თან ახლდა სტუდენტურ თვითმმართველობას, მათ შორის ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებით, მთლიანად ჩამოვაშორეთ თვითმმართველობას და გადავულოცეთ სენატს, რომელმაც უნდა განსაზღვროს თანხების ხარჯვა და განახორციელოს მონიტორინგი. არ ვამბობ, რომ ეს არის ოპტიმალური მოდელი. ამიტომაც მივეცით საშუალება უნივერსიტეტებს, დაეწყოთ მსჯელობა ამ მოდელზე და შემდეგ უკვე ერთობლივად, სტუდენტებისა თუ უნივერსიტეტების ჩართულობით, შევჯერებულიყავით ერთ მოდელზე, რომელიც მისაღები იქნებოდა ყველასთვის", — განაცხადა თამარ სანიკიძემ საზოგადოებრივ მაუწყებელთან ინტერვიუში.

16 აპრილი ამ პასაჟით დასრულდა. თუმცა, ამ დრომდე სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115-ის" წევრების ნაწილი უნივერსიტეტის VI კორპუსში რჩება. შენობა პიკეტირებულია. სტუდენტები პრემიერ-მინისტრის უნივერსიტეტში მისვლას და მათთან შეხვედრას კვლავ ითხოვენ.

მაია ტორაძე

ტიერი ბერიშვილი რექტორის გადადგომას წერილით ეხმაურება

მარტის მოვლენების კვალზე თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ლადო პაპავას პოსტიდან გადადგომის ფაქტს პარიზიდან ნოე რამიშვილის შთამომავალი ტიერი ბერიშვილი გამოეხმაურა. ბატონი ტიერი რამდენიმე ხნის წინ სტუმრობდა უნივერსიტეტს. მან თსუ-ის ბიბლიოთეკას მამის, ცნობილი ემიგრანტისა და საზოგადო მოღვაწის მამია ბერიშვილის არქივი გადასცა. სწორედ მაშინ შეხვდა იგი ბატონ ლადო პაპავას. რექტორის გადადგომიდან 3 დღეში ლადო პაპავამ ასეთი შინაარსის წერილი მიიღო ტიერი ბერიშვილისგან:

,,სენტ ორენს-პუი-პეტი,
3 აპრილი, 2016 წელი

ძვირფასო რექტორო,

ეს ესაა გავიგე უნივერსიტეტში მომხდარი ცვლილებებისა და თქვენი გადადგომის შესახებ. ვიმედოვნებ, რომ თქვენი წასვლა პოლიტიკურ მანევრირებასთან არ არის დაკავშირებული.

ჩვენი შეთანხმებით და ურთიერთშეთანხმებით სავსებით კმაყოფილი ვარ. თქვენ უნივერსიტეტის სხვადასხვა წარმომადგენლებისა თუ პოლიტიკოსებისგან განსხვავდებით, ყოველთვის ასრულებთ თქვენს ვალდებულებას.

იცოდეთ, რომ პირადად მე ძალიან დიდ მადლობას გიხდით იმისთვის, რაც არც ერთ რექტორს არ გაუკეთებია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, უკვე 25 წელია, ვგულისხმობ კვლევას და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მნიშვნელობას ხაზგასმისთვის.

„პირველი რესპუბლიკის“ აუდიტორიის ინაგურაციით, „პირველი რესპუბლიკის“ მუზეუმის შექმნით თსუ-ის ბიბლიოთეკაში, და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი, „პირველი რესპუბლიკის კვლევითი ცენტრის“ შექმნის გადაწყვეტილებით, თქვენ გამოაჩინეთ თქვენი ნათელი ხედვა ჩვენი ერის მომავლისთვის.

70 წლიანზე მეტი უცხოური ოკუპაციის შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ისტორია შეიცვალა, დეფორმირდა, დაეკარგა მორალი და თითქმის 25 წლის მანძილზე, როდესაც მხოლოდ ნაციონალისტური იდეები ვითარდებოდა, თქვენ გეყოთ გამბედაობა და კეთილგონიერება „კვლევის“ საგნად გექციათ ჩვენი სამშობლოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

განა ხალხს, რომელსაც პროგრესული მომავალი სურს, საკუთარი წარსულის გაუანალიზებლობას და არგაგებას გააგრძელებდა?

ვფიქრობ, თქვენი გადაწყვეტილება დაკავებული პოსტის დატოვების შესახებ ადვილი არ იქნებოდა, წარმომიდგენია თუ რაოდენ მძიმე იყო ამ გადაწყვეტილების მიღება თქვენთვის. მიიღეთ მადლობა უაღრესად პოზიტიური საქმიანობისთვის, რაც „ჩვენი დიდი წინაპრების“ საქმიანობის დაფასებას შეეხება.

ვფიქრობ, ამ საკითხში უნივერსიტეტი თქვენი მადლიერი იქნება.

იმედი მაქვს, პირველი რესპუბლიკის კვლევის, ისევე როგორც სხვა პროექტები და ხელმოწერილი შეთანხმებები ძალაში დარჩება და მომავალი რექტორი გააგრძელებს იმ კარგ გზას, რომელიც თქვენ გაკვალეთ.

ბატონო რექტორო, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი ღრმა პატივისცემის გამოხატულება.

ტიერი ბერიშვილი
ასოციაციის პრეზიდენტი,
საზოგადოება „ქართული კერას წევრი,
ფირცხალავას ოჯახის წარმომადგენელი,
პარიტეტული კომისიის წევრი

უთანხმოება აკადემიური საბჭოს გაფართოების საკითხზე

თსუ-ის პროფესორთა საინიციატივო ჯგუფი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს და წარმომადგენლობით საბჭოში შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფს უპირისპირდება.

„თსუ-ში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, პროფესორთა საინიციატივო ჯგუფი შეჯერდა უნივერსიტეტის წესდებაში შესატან ცვლილებებზე და მიმდინარე წლის 1 აპრილს წარუდგინა წინადადებები აკადემიურ საბჭოს განსახორციელებლად. ერთ-ერთი ცვლილება ეხებოდა აკადემიური საბჭოს სტრუქტურის საკითხს, კერძოდ, თითოეული ფაკულტეტიდან აკადემიური პერსონალის რაოდენობა გაზრდილიყო 2-დან 4-მდე. საკითხი განიხილეს ფაკულტეტების საბჭოების სხდომებზე. ანალოგიური წინადადებით აკადემიურ საბჭოს მიმართა სტუდენტურმა მოძრაობამ „აუდიტორია 115“. აღნიშნულ წინადადებას მხარი დაუჭირა თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ, რის საფუძველზეც რექტორმა, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ ვლადიმერ პაპავამ დაავალა იურიდიულ დეპარტამენტს, მოემზადებინა დოკუმენტი წესდებაში შესაბამისი ცვლილებების შესატანად.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, საკითხის განხილვა შეაფერხა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ბოლო სხდომაზე შექმნილმა ე.წ. სამკაციანმა კომისიამ.

მოვითხოვთ, უმოკლეს ვადაში განხილულ იქნეს აკადემიური საბჭოს სტრუქტურის საკითხი ზემოთ აღნიშნულ ფორმატში და შედეგები გადაეგზავნოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად“, — აღნიშნულია განცხადებაში.

დოკუმენტი 7 აპრილს გავრცელდა და მას საინიციატივო ჯგუფის სახელით პროფესორი დიანა ძიძიგური აწერს ხელს.

პროფესორთა საინიციატივო ჯგუფის მიერ გავრცელებულ განცხადებაზე წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა და დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრმა კახა ლორიამ კომენტარზე უარი განაცხადა. მისი თქმით, სამუშაო პროცესი მიმდინარეობს და რაიმე შეფასების გაკეთება ნაადრევია. ამავე ჯგუფისა და სენატის წევრმა ბახვა კვირიკაშვილმა კი განაცხადა, რომ არავითარი პროცესი მათ არ შეუფერხებიათ.

„ჩვენი ჯგუფი ერთხელ უკვე შეიკრიბა, სხვადასხვა დეტალებზე შევჯერდით. ვთანხმდებით და მიგვაჩნია, რომ აკადემიური საბჭოს წევრთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს, მაგრამ მას შემდეგ, რაც შემოერთებული სამეცნიერო ინსტიტუტები საუნივერსიტეტო სტატუსს მიიღებენ. ჩვენ არავის წინადადება არ შეგვიფერხებია. უბრალოდ,

დიანა ძიძიგური

ქალბატონი დიანა და ეს საინიციატივო ჯგუფი არ განიხილავენ არც ერთ ვარიანტს საკუთარის გარდა. თუ სენატში შექმნილ სამკაციან სამუშაო ჯგუფს არ ითვალისწინებენ, მაშინ წარმოადგინონ საკუთარი წინადადებები სენატის სხდომაზე და წარმომადგენლობითი საბჭო ან დაამტკიცებს, ან — არა. პროფესორთა საინიციატივო ჯგუფი ჩვენს ჯგუფს შეხვდა და მოითხოვეს, რომ სენატის სხდომა, რაც შეიძლება, მალე გაიმართოს. რამდენად მიზანშეწონილია „ხელების გადაგრეხვის“ ტონით საუბარი, სხვა საკითხია, მაგრამ ისინი არანაირ კომპრომისზე არ მოდიან და მათ მიერ წარმოდგენილ ვარიანტში ცვლილების შეტანას არ გეგმავენ“, — აღნიშნა ბახვა კვირიკაშვილმა.

თსუ-ის სენატში დროებითი სამუშაო ჯგუფი 31 მარტს შეიქმნა. მისი ფუნქცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში შესატან ცვლილებებზე მუშაობაა. ჯგუფის რაოდენობა 3 ადამიანით განისაზღვრა. მის შემადგენლობაში სენატის სპიკერი, პროფესორი კახაბერ ლორია, ჯგუფის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი, პროფესორი ლევან გორდეზიანი და სტუდენტური თვითმმართველობის წევრი ბახვა კვირიკაშვილი შევიდნენ. გარდა ამისა, დროებითი ჯგუფი ღია რეჟიმში მუშაობს და მათ ახალი წინადადებები შესაძლებელია მიაწოდონ როგორც ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ასევე სამუშაო ჯგუფის სხდომებზე.

ნატო ოგოლაძე

შალვა საბაური: მხოლოდ თსუ-ში მიმდინარე პროცესების გამო არ შეიძლება კანონში ცვლილებების შეტანა!

მეშვიდე გვერდიდან

ვევაში, უნდა მოგვმართონ. ვინც იყენებს ამ რესურსს, კმაყოფილი რჩება. ვფიქრობ, რომ დღევანდელი კანონი ძალიან კარგია და ვისაც მისი ცვლილება სურს, ჯინიანი ბავშვივით იქცევა. სტუდენტური თვითმმართველობა არ მოსწონს 80 კაცს და დღევანდელ ვითარებაში უკვე ესეც გაზრდილი რაოდენობაა. სტუდენტური თვითმმართველობა არავის ჩაგრავს, პირიქით, ჩვენი კარი ღიაა კომუნიკაციისთვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, კონსტრუქციულ რეჟიმში.

— წესდების მიხედვით, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები მაისში უნდა გაიმართოს. განსაზღვრულია თუ არა ზუსტი თარიღი?

— თვითმმართველობის არჩევნები წესითა და რიგით ტარდება მაისში, ანუ ჩვენ გვაქვს რეგულაცია, რითაც ეს თვე არის განსაზღვრული, რადგან ამ მოწვევის თვითმმართველობას ორი წელი უსრულდება. 30 ან 40 დღით ადრე უნდა გამოცხადდეს არჩევნების ზუსტი თარიღი, რადგან ვისაც მონაწილეობის სურვილი აქვს, მოსამზადებელი პერიოდიც უნდა ჰქონდეს.

გვაქვს კიდევ ერთი რეგულაცია, რომელიც გულისხმობს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია გარკვეული ვადით არჩევნების გადაწევა. ახლა, როდესაც სტუდენტური თვითმმართველობის რებრენდინგზე მიდის საუბარი და სამინისტროსაც სურს ცვლილებების მოსამზადებლად დრო ჰქონდეს, შესაძლოა არჩევნები გადაიდოს. თუმცა, ჯერჯერობით, ამაზე საუბარი ნაადრევია, რადგან ეს კანონპროექტის დრაფტია და მასზე მუშაობა კიდევ საჭიროა. თანაც, ძალიან ცუდია, რომ ამ პროცესში არ არის ჩართული სტუდენტთა ის ჯგუფი, რომელსაც სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები მოგებული აქვს.

— თქვენ ხომ შეგიძლიათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფრო აქტიური თანამშრომლობა შესთავაზოთ?

— როდესაც კანონზე მუშაობა იწყება, ყველა დაინტერესებული მხარე უნდა ჩაერთოს. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, სამთავრობო დონეზე, არსებობს სადისკუსიო პლატფორმა, სადაც არასამთავრობო სექტორიც ჩართულია. თუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ სურს მათთან თანამშრომლობა, მაშინ შეუძლია - თავადაც შექმნას მსგავსი სივრცე. ჩემი მოსაზრებით, საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები უნდა ჩაერთონ ამ პროცესში, რადგან ეს მათ ეხებათ. თუნდაც, მხოლოდ თსუ-ში მიმდინარე პროცესების გამო არ შეიძლება კანონში ცვლილებების შეტანა და ყველა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მისი თავზე მოხვევა; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შემოთავაზებული მოდელი არასწორი და ნაკლებად დემოკრატიულია.

ნატო ოგოლაძე

„აუდიტორია 115“-ის აქცია „მაღლივში“ და შეხვედრა თბილისის მერთან

„აუდიტორია 115“-ის წევრებმა მაღლივ კორპუსთან საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის შენობის მშენებლობა გააპროტესტეს. სტუდენტების თქმით, თბილისის მერიამ ტერიტორიაზე საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას უკანონოდ და უსასყიდლოდ 6 000 კვადრატული მიწის ფართობი გადასცა, სადაც, მწვანე საფარის გაჩეხვის ხარჯზე, წყალმომარაგების კომპანიის ოფისის მშენებლობა მიმდინარეობს. აქციის მონაწილე სტუდენტები სკანდირებდნენ: „ავტონომია უნივერსიტეტს!“, „დაიცავი თსუ!“, „დავიცვათ საუნივერსიტეტო სივრცე!“. საპროტესტო აქცია მაღლივი კორპუსის წინ დაიწყო, მოგვიანებით კი სტუდენტებმა შენობაში, თბილისის მერის, თსუ-ის პროფესორის დავით ნარმანიას კაბინეტთან გადაინაცვლეს და მასთან შეხვედრა მოითხოვეს. შედეგად შენობაში დაცვა გააძლიერეს, მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციაც. სტუდენტები დედაქალაქის მერს მშენებლობის დაუყონებლივ შეჩერებას სთხოვდნენ. საპროტესტო აქცია დავით ნარმანიასთან შეხვედრით დასრულდა. დედაქალაქის მერი „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლებს მშენებლობის დროებით შეჩერებას და შესაბამის უწყებებთან კონსულტაციების გავლას დაჰპირდა.

„სტუდენტების პოზიციაა მშენებლობა შეჩერდეს და ეს ტერიტორია განვითარდეს, როგორც საუნივერსიტეტო სივრცე. შევთანხმდით, რომ გავივლით კონსულტაციებს შესაბამის სამინისტროსთან, უწყებებთან, რომელთა პროექტის ფარგლებშიც ეს მშენებლობა მიმდინარეობს. სტუდენტების კატეგორიული მოთხოვნაა, რომ არ დაინგრეს ეს ტერიტორია და არ განადგურდეს მწვანე საფარი, ამიტომ კონსულტაციების პროცესში, სანამ საკითხს ბოლომდე არ გავარკვევთ, მშენებლობა შესაძლოა დროებით შეჩერდეს“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისის მერთან მოლაპარაკებებს შედეგიანი უწოდეს „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლებმაც.

„მოლაპარაკებებს მოჰყვა შედეგი და ჩვენ ერთი კვირის ვადაში საბოლოო პასუხი გვეცოდინება — მშენებლობა შეჩერდება თუ არა“, — აღნიშნა ლევან ლორთქიფანიძემ.

„თბილისის მერმა სამინისტრო და ყველა შესაბამისი უწყება მშენებლობის სხვა ადგილზე გადატანაზე უნდა დაიყოლიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში აქციებს გავაგრძელებთ, ვიდრე ყველა მსგავსი უკანონო მშენებლობა არ შეჩერდება“, — გვითხრა სტუდენტმა ნათია ქარჩილაძემ.

„აუდიტორია 115“-ის საპროტესტო აქცია მაღლივ კორპუსთან 14 აპრილს გაიმართა. თბილისის მერთან დავით ნარმანიასთან შეხვედრის შემდეგ სტუდენტებმა მშენებლობის ტერიტორიაზე გადაინაცვლეს და მიმდინარე სამუშაოები შეაჩერეს.

აღსანიშნავია, რომ ორი დღით ადრე აღნიშნული მშენებლობა და ტყის საფარის გაჩეხვა მაღლივ კორპუსთან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკოლოგიის მიმართულების სტუდენტების საინიციატივო ჯგუფმაც გააპროტესტა და მშენებლობის შეჩერების და კომპანიისთვის ალტერნატიული ფართის გამოყოფის თაობაზე თბილისის მერიისა და ეკონომიკის სამინისტროს სახელზე სპეციალური პეტიცია მოამზადა.

ნატო ოგოლაძე

მოხსენება, რომელიც საფიქრალს გაგიჩენს

*7 აპრილს ეკონომიკის აკადემიურმა დოქტორმა **ირაკლი მაკალათიამ** თსუ-ის რექტორის მუდმივმოქმედ სამეცნიერო სემინარზე — „პოლიტეკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან“ წაიკითხა მოხსენება: „საარსებო მინიმუმის სოციალური მნიშვნელობა და მისი გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფა საქართველოში”.*

ირაკლი მაკალათია

საქართველოში საარსებო მინიმუმის მიმართ მწვავე საზოგადოებრივი კრიტიკა არსებობს, რაც უკავშირდება მისი გაანგარიშების მეთოდოლოგიას და ამის შედეგად მიღებული საარსებო მინიმუმის ფულად ღირებულებას, რომელიც არ ასახავს საქართველოში სიღარიბის ზღვარის რეალურ სურათს. პირველ რიგში მნიშვნელოვანია, სწორად განისაზღვროს „რეალური” საარსებო მინიმუმის დათვლის მიზანი და საჭიროება.

ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ირაკლი მაკალათიას აზრით, საარსებო მინიმუმის სწორი განსაზღვრა და მისი გაანგარიშება უშუალო კავშირშია საზოგადოების კეთილდღეობისთვის დასაგეგმ სოციალურ პოლიტიკასთან და ამ კუთხით, პირველ რიგში, სახელმწიფო უნდა დაინტერესდეს, როგორც საზოგადოების მინიმალური სოციალური გარანტორი. მისივე თქმით, სახელმწიფომ პრიორიტეტულ ამოცანად უნდა დაისახოს ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა, ხოლო საარსებო მინიმუმი არის ორიენტირი სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის წარმართვაში.

ირაკლი მაკალათიამ მსმენელებს „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ კვლევის ძირითადი შედეგები გააცნო, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

კვლევის საფუძველზე გადაიხედა სასურსათო პროდუქტების კილო კალორიები და 2300.0 კილო კალორიიდან გაიზარდა 2500.0 კილო კალორიამდე, რისთვისაც გაითვალისწინეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციები და ჯანსაღი კვების ძირითადი პრინციპები. აქამდე არსებულ 40 დასახელების პროდუქტს დაემატა ისეთები, როგორიცაა: შვრია, კიტრი, მწვანილი, ბარდა, წითელი წიწაკა, ბულგარული წიწაკა, ფხალი (ისპანახი), ხილის ჩირი, სუნელები და საწებლები, ასევე მოხდა თესლოვანი, კურკოვანი, სუბტროპიკული და კენკროვანი ხილის გამრავალფეროვნება, რომლებიც აუცილებელია ადამიანის დღიური რაციონისთვის.

კვლევის შედეგების მიხედვით შემუშავდა 2 სახის მინიმალური სასურსათო კალათა: I — გაზაფხული-ზაფხულის და II — შემოდგომა-ზამთრის, რათა მოხდეს ითხივე სეზონის პროდუქტების დიფერენციაცია. ზაფხულის სასურსათო კალათიდან ისეთი პროდუქტები ამოიღება, რომლებსაც ვერ შევხვდებით მიმდინარე სეზონზე, ან თუ შევხვდებით — მაღალფასიანი იქნება, ეს გამოიწვევს ფასების არამეთოდურ ზრდას. მაგალითად: საზამთრო ამოღებულია ზამთრის სასურსათო კალათიდან და გადატანილია ზაფხულის სასურსათო კალათაში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო კალათების მუდმივი მონიტორინგი და მათი პერიოდული გადახედვა.

მინიმალურ სასურსათო კალათასა და არასასურსათო კალათას შორის პროპორციების დასადგენად შემუშავდა „იმიტირებული“ არასასურსათო კალათა, რომელიც 5 ძირითადი ბლოკისგან შედგება: ა) კომუნალური, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო უზრუნველყოფის ხარჯები; ბ) მინიმალურად აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთები; გ) სამედიცინო მედიკამენტების (საოჯახო აფთიაქი) მინიმალური ოდენობა; დ) აუცილებელი პირადი ჰიგიენური ნივთები და მომსახურება; ე) ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯების წილი ოფიციალურად განისაზღვრება 70%-ით, შესაბამისად, არასასურსათო ხარჯების წილი — 30%-ით. კვლევის საფუძველზე ასეთი განაწილება - 70/30 შეიცვალა 55/45 თანაფარდობით, რაც მიღებულია: ა) მინიმალურ სამომხმარებლო კალათაში სასურსათო და არასასურსათო კალათების წილების შედარებით საშუალო მომხმარებლის მიერ სურსათის შეძენაზე გაწეული ხარჯების გათვალისწინებით; ბ) შინამეურნეობების ბიუჯეტში ხარჯების სტრუქტურული გამოკვლევებით და გ) მინიმალური სასურსათო და იმიტირებული არასასურსათო კალათების ღირებულებების თანაფარდობით.

ირაკლი მაკალათიას განმარტებით, დღემდე არსებული მეთოდით, პროდუქტის ფასებს 5 ქალაქის ბაზრებიდან იღებდნენ, კვლევის შემთხვევაში კი დამატებულია 3 ქალაქი მათი რეგიონული ცენტრების მიხედვით: ქვემო ქართლი — მარნეული, სამცხე-ჯავახეთი — ახალციხე, სამეგრელო — ზუგდიდი. ასეთი მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ ამ სამივე რეგიონს, მოსახლეობის რიცხოვნობით, მაღალი ხვედრითი წონა უჭირავს (ანუ იმაზე მეტი, რაც აქამდე არსებულ კვლევაში მონაწილე სხვა რეგიონებს).

ირაკლი მაკალათიას მოხსენების შინაარსმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საარსებო მინიმუმის მართებული მეთოდოლოგიით გაანგარიშების სრულყოფას, მის მნიშვნელობას ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის სწორად წარმართვის საქმეში: „საარსებო მინიმუმის სწორი განსაზღვრა და მისი გაანგარიშება უშუალო კავშირშია საზოგადოების კეთილდღეობისთვის დასაგეგმ სოციალურ პოლიტიკასთან და ამ კუთხით, პირველ რიგში, სახელმწიფო უნდა დაინტერესდეს, როგორც საზოგადოების მინიმალური სოციალური გარანტორი. მან უნდა ასახოს ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონის ცვლილებები; მიზანმიმართული სოციალური დახმარებისთვის განსაზღვროს მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ნაწილი (ღარიბი მოსახლეობა); დაადგინოს პენსიებისა და შემწეობების მინიმალური ოდენობა; მოხდეს შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის გათანაბრება საარსებო მინიმუმთან, ხოლო საარსებო მინიმუმს დაბლა შემოსავლების გადასახადისგან გათავისუფლება. სახელმწიფომ უნდა შექმნას თავისი მოქალაქეებისთვის თანაბარი სასტარტო პირობები, რაც მისი მთავარი ფუნქციის — სამართლიანობის გამოხატვას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, თითოეულ მოქალაქეს აქვს უფლება იმ რეალური მინიმალური გარანტიებისა, რომლებიც ქმნიან პირობებს არსებობისა და განვითარებისთვის“, — განაცხადა ირაკლი მაკალათიამ.

თემაში განხილული საარსებო მინიმუმის მეთოდოლოგია შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც საქართველოსთვის, ისე სხვა განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც აქტუალურია ქვეყნის სოციალური მდგომარეობა და რომელიც საჭიროებს მთავრობის მხრიდან შესაბამისი სოციალური პოლიტიკის გატარებას, ხოლო მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგიით გაანგარიშებული საარსებო მინიმუმი ქვეყნისთვის გახდება მიზანმიმართული სოციალური პოლიტიკის ორიენტირი.

„მოხსენება რომელიც საფიქრალს გაგიჩენს“ — ასე შეაფასა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ ირაკლი მაკალათიას მოხსენება. „საარსებო მინიმუმის თემა ძალიან ბევრ ქვეყანაში და ჩვენს სამშობლოშიც პოლიტიკურ ინსტრუმენტად არის ქცეული და იგი მალე, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ისევ აქტუალური გახდება. საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შეცვლაზე ბევრს ისაუბრებენ, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლება. ერთია ეკონომიკური მეცნიერებიდან გამომდინარე სწორი, რაციონალური გადაწყვეტილების მიღება, ხოლო მეორე — გადაწყვეტილების მიღებაში პოლიტიკის ჩარევა, როცა რაციონალური იდეა ირაციონალური გადაწყვეტილების ფორმას ღებულობს. ამ დროს ციფრები და მაჩვენებლები ერთმანეთს სცილდება და ჩანს, რომ ცხოვრება საამურია! სწორედ ამიტომ მოხდა საარსებო მინიმუმის დაცილება სიღარიბის ზღვართან. რეალური სურათის დახატვა და რეალური სტატისტიკის წარმოება სწორედ ასეთი კვლევებით არის შესაძლებელი, რომელიც შემდგომ შესაბამისმა სამსახურებმა უნდა გაითვალისწონონ“, — განაცხადა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ. მან ახალგაზრდა მკვლევრებს მოუწოდა — საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის მეცნიერული კვლევისა და შესწავლის დროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონის მონაცემებიც წარმოაჩინონ.

ირაკლი მაკალათიას მოხსენების განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც პროფესორ-მასწავლებლები, ასევე სტუდენტებიც.

თამარ ღადიანი

ენათმეცნიერების ინსტიტუტი ქართული ენის წინაშე არსებულ გამოწვევებს პასუხობს

თსუ-ის ენათმეცნიერების ინსტიტუტში 14 აპრილს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" III ტომის (ახალი რედაქცია) და მონოგრაფიის — „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია II. დიალექტები" — პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები და ქართული ენის საკითხებით დაინტერესებული პირები.

„ეპოქალური მოვლენა", „ქართული ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფაქტი", „ვეფხისტყაოსნის ბადალი საგანძური ქართული ენისა" — ასეთი აღმატებული სიტყვებით შეაფასა საზოგადოებამ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" რვატომეულის გამოცემა 1950-1964 წლებში.

მას შემდეგ ქართულმა ენამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ფუნქციონირების არსებითად ყველა სფეროში. სწორედ ეპოქის ამ გამოწვევის საპასუხოდ, 50 წლის შემდეგ, მომზადდა განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქცია და დღეს უკვე III ტომის გამოსვლას ვზეიმობთ (I ტომი გამოიცა 2008 წელს, ხოლო II ტომი — 2010 წელს). გამოცემის მთავარი რედაქტორია: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ არაბული.

როგორც ენათმეცნიერების ინსტიტუტის მკვლევრებმა აღნიშნეს, ლექსიკონი ყოველმხრივ განახლებულია, სახელდობრ: ფაქტობრივად გაორმაგდა სალექსიკონო ერთეულთა რაოდენობა, თითქმის გაოთხმაგდა მყარი ფრაზეოლოგია. ლექსიკონი შეივსო უახლესი ტერმინოლოგიით. დაზუსტდა და დაიხვეწა დიალექტური წარმომავლობის მასალა, დაზუსტდა მნიშვნელობები და დაემატა განმარტებები. სტატიები შეივსო და გამდიდრდა ილუსტრაციებით.

პრეზენტაციაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი გოგოლაშვილმა ქართული ენის დღესთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტი გაიხსენა: „როდესაც აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ ქართული ენის დღის დაარსების იდეა გამოთქვა, მაშინ ითქვა, რომ ეს დღე არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ საზეიმო, არამედ უნდა გახდეს ანგარიშგების დღე — თუ რა გააკეთა საზოგადოებამ, ორგანიზაციებმა ქართული ენის სასიკეთოდ. ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გადაწყვიტა, რომ დღეიდან სისტემატიური სახე მიეცეს ამ ღონისძიებას და ყოველი წლის 14 აპრილს წარვადგინოთ ჩვენი ინსტიტუტის მიერ გასული წლის მნიშვნელოვანი გამოცემები. მართალია, გასული წლის განმავლობაში ბევრი რამ გამოვეცით, მაგრამ ენის დღისთვის საპრეზენტაციოდ ორი გამოცემა შევარჩიეთ, ეს გახლავთ: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" III ტომი და „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია II. დიალექტები". ჩვენ გვინდა, ქართულ საზოგადოებას ვაჩვენოთ ის ორი ძირითადი მიმართულება, რაც ენათმეცნიერების ინსტიტუტს აქვს ქართული ენის კვლევის მიმართულებით: ერთი გახლავთ ლექსიკოლოგიური საქმიანობა და ლექსიკონების გამოცემა, მეორე კი ქართული ენის მეცნიერული კვლევა და მონოგრაფიების შედგენა.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" ახალი გამოცემა დრომ მოიტანა. ერთი პრინციპული თავისებურება ამ გამოცემისა გახლავთ ის, რომ ეს მონოგრაფია გაცილებით უფრო მოცულობითია, ვიდრე წინა გამოცემები", — განაცხადა გიორგი გოგოლაშვილმა.

„განმარტებით ლექსიკონზე მუშაობა ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაარსების დღიდან (1941 წ.) დაიწყო და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს. 2000-იანი წლებისთვის ნათელი გახდა, რომ ძველი გამოცემა აშკარად ვეღარ აკმაყოფილებდა იმას, რაც ენის განვითარების პროცესმა მოიტანა. საკითხი დავაყენეთ, რომ ახალი რედაქცია მომზადებულიყო და, დაახლოებით, 10 წლის წინ დავიწყეთ ამ მიმართულებით ინტენსიური საქმიანობა.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი" — ეს არის ჩვენი კულტურის ფუნდამენტური ღირებულების საგანძური, რაც გულისხმობს იმას, რომ ენის განვითარების გარკვეული ეტაპი ჯამდება და ქართველოლოგიის განვითარების ახალი ეტაპი იწყება. ამ ლექსიკონში თავს იყრის ჩვენი განათლების, მეცნიერების, კულტურის განვითარების ძირითადი, ფასეული მონაპოვარი. ასევე მოვამზადეთ განმარტებითი ლექსიკონის ელექტრონული ვერსია, რომელიც ჩვენი ინსტიტუტის ვებ-გვერდზე განვათავსეთ", — აღნიშნა ავთანდილ არაბულმა.

არანაკლებ საინტერესოა პრეზენტაციაზე წარმოდგენილი მეორე წიგნი — „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია II. დიალექტები" თავისი მეცნიერული მნიშვნელობით.

ქართული დიალექტების მეცნიერულ კვლევას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. როგორც წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „თითქმის ყველა დიალექტის მასალა იქნა ჩაწერილი და გამოქვეყნებული. მოხდა თითოეული კილოსა თუ კილოკავის თავისებურებათა აღნუსხვა-კლასიფიკაცია, მაგრამ ნაკლებად მოგვეპოვება ამა თუ იმ მორფოლოგიური ფაქტის, გრამატიკული მოვლენის კვლევა საერთო დიალექტური სივრცის გათვალისწინებით, სალიტერატურო ენასთან და ენაში მიმდინარე მოვლენებთან თუ ენობრივი ცვლილებების ტენდენციებთან მიმართებით.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს — გაერთიანდეს რამდენიმე თაობის მეცნიერული ნააზრევი და ამ სფეროში შეიქმნას ახალი კონცეპტუალური და თეორიული საფუძვლები; აიგოს ისეთი თანმიმდევრული გრამატიკული სისტემა, რომელიც იქცევა საერთო ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ორგანულ ნაწილად".

როგორც აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა განაცხადა: „ჩვენ გვექნება ქართული ენის მორფოლოგიის მეტ-ნაკლებად სრული, შემაჯამებელი ნაშრომი, ქართული სახელმწიფო ენის განვითარების თანამედროვე ეტაპის შესაბამისი, რაც სრულიად ახალ საფეხურს შექმნის ქართული ენის მორფოლოგიის სამომავლო კვლევაში".

მონოგრაფია დაეხმარება ქართული ენის მეცნიერული შესწავლის მსურველ უცხოელ ქართველოლოგებს, ასევე, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს, დოქტორანტებს და, საერთოდ, ქართული ენის მორფოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

თამარ დადიანი

საჯარო ლექცია

დავით აღმაშენებლის უცნობი დამსახურება ქართველი ერის წინაშე

ქართველი მეფე-რეფორმატორის ღვაწლი და დამსახურება, რომლის სახელსაც საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება უკავშირდება, თითქოს ყველასთვის კარგად არის ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ XII საუკუნის პირველი მეოთხედის ეს პერიოდი შესწავლილი და გამოკვლეულია, ისტორიკოსები და მკვლევრები დღემდე აგრძელებენ იმის ახსნას, თუ როგორ შეძლო ქართველი ხალხის მიერ აღმაშენებლად, ხოლო ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულმა მეფე დავითმა დარბეული სამეფოს ფეხზე დაყენება და გაძლიერება. სწორედ ამ საკითხის განხილვას მიეძღვნა 6 აპრილს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში თსუ-ის „საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის" ორგანიზებით გამართული საჯარო ლექცია: „დავით აღმაშენებლის უცნობი დამსახურება ქართველი ერის წინაშე", რომელიც ირანისტიკის განყოფილების ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნომადი ბართაიამ წაიკითხა. პროფესორმა, დავით აღმაშენებლის ეპოქის მცირე ექსკურსის შემდეგ, დამსწრე საზოგადოების ყურადღება რამდენიმე საინტერესო საკითხზე შეაჩერა. პროფესორის აზრით, რომ არა დავით აღმაშენებელი, რომელმაც ერთიანი ქართული სახელმწიფო შექმნა, საქართველო იქნებოდა თურქ-სელჩუკთა იმპერიაში შემავალი ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც სალიტერატურო და ელიტარული ენა სპარსული იქნებოდა.



ნომადი ბართაია

„თურქ-სელჩუკებს ჰქონდათ სპარსულენოვანი დიდი საკარო-სახოტბო პოეზია, რომელიც, მათი ბატონობის დროს, მიღწეული იყო განვითარების უმაღლეს მწვერვალს. შესაბამისად, თურქ-სელჩუკებს საქართველოშიც ექნებოდათ დიდი საკარო-სახოტბო პოეზია, ვინაიდან სპარსულენოვან ლიტერატურას ქმნიდნენ თურქ-სელჩუკთა იმპერიაში შემავალი სხვადასხვა ეთნოსის ხალხები, მათ რიცხვს ქართული ეთნოსიც შეერეოდა. იმ დროს ლიტერატურაში მიღებული წესების თანახმად, შირვანშაჰმა აღსართანმა ნიზამი განჯელს უბრძანა გაელექსა ლეილისა და მაჯნუნის ამბავი, ოღონდ არა თურქულ, არამედ ყველასთვის მოსაწონ ტკბილხმოვან სპარსულ ენაზე. ამ დროს მბრძანებელიცა და პოეტიც თურქები იყვნენ. საქართველოშიც ასევე უბრძანებდა ვინმე სულთანი ვინმე მესხ მელექსეს გაელექსა რომელიმე ამბავი არა ქართულ, არამედ სპარსულ ენაზე".

ნომადი ბართაიას თქმით, ქვეყანაში სწორედ დავითმა შექმნა ისეთი ტოლერანული ატმოსფერო, რომ მუსლიმანები საქართველოში ისევე თავისუფლად გრძნობდნენ თავს, როგორც ისლამურ ქვეყნებში.

„დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მდებარე ქვეყნის მეფემ, თავისი ბრძნული შორსმჭვრეტელობით, ერთნაირად დაამყარა ახლო პოლიტიკურ-კულტურული და ნათესაური ურთიერთობა ორივე მხარესთან. მან მეზობელი მუსლიმური შირვანი მოკავშირედ გაიხადა და თუ ერთი ქალიშვილი საბერძნეთის სამეფო კარის უფლისწულზე ჰყავდა დაქორწინებული, მეორე — შირვანშაჰზე დააქორწინა.

ქრისტიანულ და მუსლიმურ სამეფო კართა კავშირს მოჰყვა ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის ურთიერთდაახლოება. ამ დროს, შირვანის გზით, ქართულ მწერლობაში დაიწყო შემოდინება დიდმა სპარსულმა ლიტერატურამ, რამაც ხელი შეუწყო ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარებასა და გაფურჩქვნას, რომელსაც უკვე საკმაოდ ჰქონდა მომზადებული ნიადაგი ქართულ ლიტერატურაში".

პროფესორის აზრით, დავით აღმაშენებელს რომ არ გაეღო ფართოდ კარი სპარსული მწერლობისთვის, ასე ვერ გაშლიდა ფრთებს მე-12 საუკუნეში ქართული საერო მწერლობა. „რომ არა ქართული საერო მწერლობის ასეთი ძლიერი პირველი პერიოდი — ოქროს ხანა, საკითხავია, როგორი იქნებოდა მისი მეორე პერიოდი — აღორძინების ხანა, როცა უმძიმესი იყო სპარსული ენისა და ლიტერატურის გავლენა ქართულზე. რომ არა დავით აღმაშენებელი, მე-12 საუკუნის ლიტერატურა გვექნებოდა სპარსულენოვანი, ისევე, როგორც თურქ-სელჩუკთა იმპერიაში შემავალი ქვეყნების სხვა ხალხებს", — აღნიშნა ნომადი ბართაიამ.

საჯარო ლექციის დროს ნომადი ბართაიამ ცივილიზაციების კავშირზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მე-12 საუკუნის ქართულ-სპარსული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობები თავისუფლად შეიძლება ჩავსვათ ქრისტიანულ და ისლამურ ცივილიზაციათა დიალოგის ჩარჩოში. „დიალოგი ცივილიზაციათა შორის შეიძლება შედგეს ძალდატანების ან მშვიდობიან პირობებში. საქართველოში იგი შედგა მშვიდობიან პირობებში. მსოფლიოში დღემდე მუსირებს რადიარდ კიპლინგის გამონათქვამი — „აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი, ხოლო დასავლეთი — დასავლეთი, ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს", ანუ დიალოგი ქრისტიანულ და ისლამურ ცივილიზაციებს შორის შეუძლებელიაო. მაგრამ, ჩვენი ისტორიიდან გამომდინარე, ქრისტიანულ და ისლამურ ცივილიზაციებს შორის დიალოგი უკვე შედგა ჯერ კიდევ მე-12 საუკუნის საქართველოში, მშვიდობიან პირობებში. ასე რომ, შესაძლებელია იგი მომავალშიც შედგეს ".

შურთხია ბეროშვილი

ქართველი ეთნოლოგი ისტორიის გამყალბებლებს ამხელს

„ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“ ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში“

სულ ცოტა ხნის წინ გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის როლანდ თოფჩიშვილის ორენოვანი (ქართულ-რუსული) წიგნი — „ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“ ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში“.

წიგნში კრიტიკულადაა განხილული 2013 წელს ვლადიკავკაზში დაბეჭდილი „ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“, რომელშიც, ავტორის აზრით, ტენდენციურად და მიკერძოებითაა ასახული ქართულ-ოსური ეთნოკულტურული ურთიერთობები.

ავტორი შესავალ ნაწილშივე წერს, რომ ენციკლოპედიის სიტყვანი 4000-ზე მეტი ერთეულისგან შედგება. იგი მოიცავს ოსთა ეთნოლოგიის ყველა სფეროს და ისეთ საკითხებსაც, რომლებსაც ეთნოლოგიასთან საერთო არაფერი აქვს... „პირდაპირ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გამოცემის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება ნეგატიურია. სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო, რადგან ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ოსური საისტორიო და ეთნოლოგიური ლიტერატურა ქართულ-ოსურ ეთნოკულტურულ ურთიერთობას მკვეთრად ტენდენციურად წარმოაჩენს. ტენდენციურადაა განხილული საქართველოში ოსთა მიგრაციის საკითხი; დვალთა ეთნიკური ვინაობა; კავკასიაში ალანების ბინადრობის საკითხი, ისე, რომ საერთოდ ანგარიში არ ეწევა პრობლემების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას. უფრო მეტიც, ასეთი სამეცნიერო ლიტერატურა, ფაქტობრივად, იგნორირებულია, ვითომც, ის საერთოდ არ არსებობს. ენციკლოპედიას ახასიათებს გამოკვეთილი ტენდენცია საქართველოს და სამხრეთ ოსეთის დაპირისპირებისა“, — აღნიშნავს პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი და მეცნიერული წყაროებით ასაბუთებს ყველა იმ გადაცდომას თუ ტყუილს (როგორც ის თავად უწოდებს), რომელიც „ოსურ ეთნოგრაფიულ ენციკლოპედიაში“ მიზანმიმართულადაა დაშვებული.

წიგნის რედაქტორია ცნობილი კავკასიოლოგი, ეთნოლოგი და წყაროთმცოდნე გივი წულაია. იგი გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა.

წიგნის — „ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“ ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში“ — შესახებ გვესაუბრება პროფესორი ***როლანდ თოფჩიშვილი:***



— ბატონო როლანდ, როდის დაიწყო ამ წიგნზე მუშაობა და რა ედო მას საფუძვლად?

— დაახლოებით ერთი წლის წინ ინტერნეტის საშუალებით გავიგე, რომ ეს ენციკლოპედია დაიბეჭდა. რადგან ეთნოლოგი ვარ და დიდი ხანია ვმუშაობ ქართულ-ოსურ ეთნოლოგიურ ურთიერთობებზე, ცხადია, დავინტერესდი და რის ვაი-ვაგლახით, სხვისი დახმარებით შევძელი მისი შეძენა ვლადიკავკაზში. ის საკმაოდ კარგად ილუსტრირებული დიდი ფორმატის წიგნია, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიჭირდა წაკითხვა, რადგან გული ვერ დავუდე — ძნელია ამდენი ცილისწამების, აბსურდის, უზუსტობის, საქართველოს ისტორიის დამახინჯების და ქართული კულტურის მითვისების ფაქტების ამოკითხვა და მისი გააზრება. დავასრულე თუ არა კითხვა, მაშინვე დავჯექი და დავიწყე მათ მიერ ჩამოყალიბებული დასკვნების კრიტიკული გაანალიზება.

— კონკრეტულად რა ფაქტობრივ ისტორიულ უზუსტობებსა და ეთნოლოგიურ გადაცდომებზეა წიგნში საუბარი?

— რომელი ერთი აღვნიშნო. დიდი ხანია ოსურ-ქართულ ურთიერთობებზე ვმუშაობ. პირველი წიგნი, საქართველოში ოსთა მიგრაციის შესახებ, ბატონ როსტომ ჩხეიძის დახმარებით, 1997 წელს გამოვეცი. ამის შემდეგ ოსურმა მხარემ გამოსცა 800-გვერდიანი წიგნი «Осетия и осетины», რომელშიც ასევე ბევრი უზუსტობა იყო და მაშინაც ვუპასუხე წიგნით და ბროშურებით, რომელშიც მათ მიერ დაშვებულ ფაქტობრივ უზუსტობებს ვხსნიდი. ამით იმის თქმა მინდა, რომ ძალიან ბევრი მაქვს ნამუშევარი ამ საკითხებზე.

„ოსურ ეთნოგრაფიულ ენციკლოპედიაში“ იმდენი გადაცდომაა, მას რომ არ უპასუხო, არ შეიძლება. მაგალითად, ამ წიგნში მოცემულია VI-VII საუკუნეების ამსახველი რუკა, რომელშიც შიდა ქართლის ტერიტორიას აწერია „ალანია“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიაზე ქართველებს კი არა, ოსთა წინაპრებს უცხოვრიათ.

— რა წყაროებს ეყრდნობიან?

— მათ მითითებული აქვთ, რომ ეყრდნობიან „სომხურ გეოგრაფიას“ და პტოლემაიოსს (ბერძენი მწერალი – მ. ტ.), მაგრამ ამ ორი წყაროდანაც კი ის დასკვნები, რაც მათ აქვთ მოცემული, ვერაფრით გამოვა. მე აღნიშნული მაქვს წიგნში, რომ, ზოგადად, ოსი მეცნიერები უკვე დიდი ხანია მიზანმიმართულად არ ახსენებენ საქართველოს, მათთვის ეს ქვეყანა და ქართველი ხალხი არ არსებობს. მათ საქართველო ჩაანაცვლეს ზოგადი ცნებებით: „კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთით“, „სამხრეთ კავკასიით“ და ა.შ. არავითარი მრავალრიცხოვანი საისტორიო წყაროები ოსებისა და მათი წინაპრების საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრებისა არ არსებობს XVII საუკუნის შუა ხანებამდე (ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე — დვალეთში — XVI საუკუნემდე) ეს კარგად ჩანს კატალონიელი ავტორის ავგუსტ ალემანის ნაშრომში, რომელიც 2003 წელს მოსკოვში გამოიცა. ამ წიგნში ცხადად ჩანს, რომ არც ერთ ანტიკურ თუ შუა საუკუნეების მემატიანესთან საქართველოს სიახლოვეს ალან-ოსები მოხსენიებულნი (ან დაფიქსირებულნი) არ არიან.

— ამის შესახებ, ალბათ, თავადაც კარგად იციან. თქვენი აზრით, რა არის ამგვარი წიგნების გამოცემის მიზანი?

— მიზანი არის ყალბი ისტორიის ჩანერგვა ახალგაზრდობაში, რომ თავიანთი ქმედებები გაამართლონ და ისტორიით „დაასაბუთონ“, რომ უძველესი დროიდან აქ ცხოვრობდნენ. სინამდვილეში ეს არის რუსების (და ოსების) მიერ მიტაცება იმ ტერიტორიისა, სადაც ქართულ კულტურას და ცივილიზაციას ჩაეყარა საფუძველი. ისინი შეგნებულად აყალბებენ ისტორიას. მაგალითად, ერთ-ერთ სტატიაში იმერეთი მოხსენებულია, როგორც „საქართველოს მეზობელი რაიონი“. მათი აზრით, საქართველო საერთოდ არ არსებობდა.

კიდევ ერთი მაგალითი – ჯუანშერის წყაროს მიხედვით, „ქართლის ცხოვრებაში“ წერია, რომ, როცა ოსებმა ვახტანგ გორგასალის და გაიტაცეს, ვახტანგმა მათ წინააღმდეგ ბრძოლა აწარმოვა ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე (ამ წყაროში მოცემულია, რომ ვახტანგმა გაიარა დარიალი, გავიდა სტეპებში, გადალახა მდინარე და შეებრძოლა ოს ბაყათარს). ამ ენციკლოპედიის მიხედვით, თურმე ვახტანგ გორგასალი ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში კი არ შებრძოლებია ოსებს, არამედ გადაულახავს მტკვარი და აქვე, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უბრძოლია.

ამავე ენციკლოპედიაში ამოიკითხავთ, რომ ოსები, უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულიდან, აქ, საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, რომ ისინი არიან არა მარტო ალანების, არამედ სარმატების და სკვითების შთამომავლებიც. თურმე, წინა აზიაში წასვლამდე, სკვითებმა ოდესღაც ამ ტერიტორიაზე გაიარეს, მათი ნაწილი აქ დარჩა და სწორედ მათი შთამომავლები არიან დღევანდელი ოსები და ა.შ. (2003 წელს ოსთა ამ მოსაზრებას შნირელმანმა „სკვითომანია“ უწოდა).

ამავე წიგნში მოცემულია სტატიები შიდა ქართლის (მათი მტკიცებით, სამხრეთ ოსეთის) ხეობებზე, მაგალითად, დიდი პატარა ლიახვის ხეობაზე, რომ ეს თავიდანვე ოსური ტერიტორია იყო, სხვა ეთნოსებს აქ არასოდეს უცხოვრიათ და ამას მოწმობს თურმე ტოპონიმები და მატერიალური კულტურის ძეგლები. მე ჩემს წიგნში ჩამოთვლილი მაქვს წყაროებში მოხსენებული ტოპონიმები, რომელიც წმინდა ქართულია, მაგალითად, საცხენისი, ედემქალაქი, ბელუქი, (ამოიღე — რ. თ.) ბელოთი, აწერისხევი, ზონფარი (უ. ი. ზოკარი), სიათა, გნასური, ინაური, შამბიანი, შუაცხვირი და კიდევ ბევრი.

მათი მტკიცებით, „ძეგლი ერისთავთაში“ რომ მოხსენებულია გვარი ხარებაშვილი, ეს თურმე ოსი ხარებოვი ყოფილა, არადა პირიქითაა, ქართული სახელია ხარება და ეს გვარი აქედან მოდის. აქ იმაზეცაა ლაპარაკი, რომ დვალეთში, რომელიც დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე მდებარეობს და სადაც გადასავლელი შიდა ქართლიდანაცაა, რაჭიდანაც და ხევიდანაც, ყოველთვის ცხოვრობდნენ ქართველები. იქ მოსახლეობა ოსების თარეშის და შავი ჭირის შედეგად შეთხელდა და ადგილზე ვინც დარჩა, ისინი გაოსდნენ (20-მდე ქართული გვარია ასეთი, მაგალითად ბიგულოვი, გერგაულოვი და ა.შ.).

— ზოგადად, ასეთ ეთნოსებში, მაგალითად, იგივე ოსებში, აფხაზებში და მათ მფარველ რუსებში, ბოლო ათწლეულებია, შეიმჩნევა ისტორიის გადაწერის მცდელობა. საინტერესოა, რას ემსახურება ეს? რამდენად სანდოა წყაროების გარეშე შექმნილი ისტორია და ვის სჯერა ასეთი ისტორიის?

— საერთოდ, საკუთარ სხეულზე მორგებული ისტორიის წერა საბჭოთა ისტორიოგრაფიისთვის იყო დამახასიათებელი. ისინი მთელ რიგ მოვლენებს აყალბებდნენ, როგორც უნდოდათ. მაგალითად, წააგეს ბოროდინოს ბრძოლა რუსებმა და ისტორიაში წერდნენ — მოვიგეთო.

რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იქ დაიწყო ისტორიის გადაწერის ბუმი, რადგან მათ დაწერილი ისტორია არ ჰქონიათ. ესენი არიან უდამწერლობო ხალხები და ცხადია, წყაროებიც არ გააჩნიათ. ამიტომ, თუ ისტორიის გადაწერა უნდათ, უნდა დაეყრდნონ იგივე ქართულ ან სხვა წყაროებს. მათ ეს არ აძლევთ ხელს და ამიტომ იწყებენ ისტორიის გამოგონებას, რაც საბოლოოდ აბსურდამდე მიდის. მაგალითად, ცნობილ არქეოლოგიურ ყობანურ კულტურას ოთხი ჩრდილოკავკასიელი ხალხი ედავება ერთმანეთს: ოსები, ყაბარდოელები, ბალყარელები და ყარაჩაელები. ძალიან ბევრი მითი იქმნება მათი ისტორიის შესახებ. ყველზე დახელოვნებული მათ შორის, არიან ოსები.

რამდენიმე წლის წინ „ისტორიანში“ დავბეჭდე წერილი, რომელიც ეძღვნებოდა ერთ-ერთი ოსი ავტორის (სხვათა შორის, მას აქ, თბილისში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში აქვს დაცული დისერტაცია თავის დროზე) მოსაზრების უარყოფას იმის თაობაზე, რომ თითქოს მცხეთის ჯვარი და სვეტიცხოველი ოსების აშენებულია და რომ თურმე ჩვენს ქართულ ძეგლს სვეტიცხოველი კი არა ოსთცხოველი ერქვა. თუმცა, მალევე მიხვდნენ, რომ ასეთი „ისტორია“ არავის არგებს. ხელთ მაქვს მოსკოვში გამოსული წიგნი, რომელშიც შესულია სტატიები, თუ როგორ ყალბ ისტორიებს ქმნიან კავკასიელები და აჯერებენ თავიანთ ხალხს.

— ასეთი „ისტორიების“ შექმნაზე ყველა მეცნიერს ისეთივე რეაქცია უნდა ჰქონდეს, როგორც, ამ შემთხვევაში, თქვენ. უნდა გაეცეს პასუხი ამ მოსაზრებებს წიგნებში, სამეცნიერო კონფერენციებზე და მიეწოდოს წყაროებით გამყარებული და მეცნიერულად დადასტურებული ნაშრომები მსოფლიო საზოგადოებას სხვადახვა უცხო ენაზე, თორემ, დადგება დრო, როცა ჩვენი ისტორიის დაცვა დაგვჭირდება...

— ენციკლოპედიის რედაქტორი ლ. ჩიბიროვი შესავალ ნაწილში აღნიშნავს, რომ იგი ხელს შეუწყობს დაძაბული ეთნიკური ურთიერთობების მოწესრიგებას. მიგვაჩნია, რომ ასეთი ტენდენციური გამოცემები, რომლებშიც ხალხთა შორის ურთიერთობები თავდაყირაა დაყენებული, გაყალბებულია ისტორია და მითვისებულია ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა, ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობას კი არ მოაწესრიგებს, პირიქით, უფრო გააღრმავებს.

ეს წიგნი გამოცემულია ორ ენაზე — ქართულად და რუსულად. ასევე ორივე ენაზეა განთავსებული საიტზეც, რომ დაინტერესებულმა საზოგადოებამ წაიკითხოს. მინდა, ადრესატებამდე მივიდეს მთავარი სათქმელი, რომ ოსური ენციკლოპედია ემსახურება არა ოსეთის ისტორიის ასახვას, არამედ საქართველოს უძველესი მხარის — შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში ქართველთა ნაკვალევის წაშლას. მაგრამ ეს ადვილი გასახორციელებელი არაა, სიმართლე არასოდეს იკარგება.

ესაუბრა მაია ტორაძე

პროფესორ ირაკლი კოვზანაძის ახალი წიგნი თაროზე

„მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გაკვეთილები და განვითარების ახალი მოდელის ფორმირება“

11 მარტს გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის ხელმძღვანელის, პროფესორ ირაკლი კოვზანაძის ახალი მონოგრაფიის - „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გაკვეთილები და განვითარების ახალი მოდელის ფორმირება“ - პრეზენტაცია.

პროფესორი ირაკლი კოვზანაძე სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ასევე ეწევა აქტიურ პროფესიულ საბანკო საქმიანობას. იგი კარიერული ბანკირია და აქვს საქართველოს, პოსტსაბჭოთა ქვეყნების და ევროპის საბანკო სისტემებში მუშაობის 23 წლიანი გამოცდილება. 2012-2015 წლებში პროფესორი ირაკლი კოვზანაძე ხელმძღვანელობდა საქართველოს საპარტნიორო ფონდს.

პრეზენტაციაზე, რომელიც სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ გაიმართა, შეიკრიბა საქართველოს პრაქტიკოს და მეცნიერ ეკონომისტთა ელიტა, სახელისუფლებო, საბანკო-საფინანსო და საუნივერსიტეტო წრეების წარმომადგენლები. აქ მობრძანდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ქალბატონი თამარ სანიკიძე; ფინანსთა მინისტრი, პროფესორი ნოდარ ხადური; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, ბატონი ტარიელ ხეჩიკაშვილი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე; აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი და სხვა საპატიო სტუმრები. პრეზენტაციას ასევე ესწრებოდნენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები; საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი, ბატონი აზიმ სადიკოვი; ევრობანკის დირექტორი სამხრეთ კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსში ბატონი ბრუნო ბალვანერა და სხვები.

წარმოდგენილი წიგნი არის პროფესორ ირაკლი კოვზანაძის მონოგრაფიათა სერიის გაგრძელება, რომელიც ეკონომიკური კრიზისების ბუნებას, მათი პრევენციისა და დაძლევის სისტემურ ღონისძიებებს ეხება. ნაშრომი ეძღვნება 2007-2009 წლების ეკონომიკურ კრიზისს, რომელმაც პრაქტიკულად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა.

მონოგრაფიაში გაანალიზებულია სხვადასხვა ეკონომიკური სკოლების მკვლევართა გამოკვლევები, კრიზისების დაძლევის ისტორიული და თანამედროვე გამოცდილება და გლობალური ეკონომიკის განვითარების მიმდინარე ტენდენციები. „წიგნში მოცემულია ამ კრიზისების მაკროეკონომიკური, სტრუქტურული და ინსტიტუციონალური ფაქტორები“, - აცხადებს ირაკლი კოვზანაძე.

პრაქტიკული მასალების საფუძველზე წარმოდგენილია ავტორის შეხედულებები კრიზისების დაძლევის და ეკონომიკის მდგრადი განვითარების გზების შესახებ.

ცალკე პარაგრაფი ეთმობა საქართველოს ეკონომიკის და საბანკო სექტორის განვითარებას და მის პრობლემებს. ნაშრომში კვლევის ცალკე მიმართულებაა სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებების, მათი ეფექტიანობისა და საკმარისობის შეფასება. მონოგრაფიაში მოცემულია კონკრეტული მაგალითები ცალკეული ქვეყნების მიერ გაწეული ძალისხმევისა და მიღებული შედეგების თაობაზე და, ასევე, გაკეთებულია მათი შეფასებაც.

ნაშრომი, რომელიც თავისი ფორმითა და სტრუქტურით ფუნდამენტური მონოგრაფიაა, განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური სპეციალობების მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის, ასევე, ინსტიტუტების და იმ პირებისთვის, რომლებზეც სახელმწიფოს დელეგირებული აქვს ეკონომიკური (გეოპოლიტიკური, მაკროეკონომიკური, ფინანსური, ფულად-საკრედიტო, ფისკალური და ა.შ.) პოლიტიკის შემუშავება და წარმართვა.

ქართველი მეცნიერის მორიგი წარმატება პაკისტანში

28-30 მარტს პაკისტანის ქალაქ ფაისალაბადში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი, სადაც თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი, როგორც საუკეთესო მოხსენების ავტორი და კონგრესის თავმჯდომარე, 4 მეცნიერთან ერთად, პრესტიჟული ჯილდოებით გამოარჩიეს.

საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც 650 მეცნიერი მონაწილეობდა, 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, თუმცა ქართველი მეცნიერი, მასპინძლების თხოვნითა და ძალისხმევით, პაკისტანში 8 დღე იმყოფებოდა, რადგანაც პაკისტანის ქალთა უნივერსიტეტის მიწვევით საჯარო ლექციებიც წაიკითხა.

პაკისტანის კულტურას ინგლისის 90-წლიანმა ბატონობამ დიდი დაღი დაასვა (მაშინ პაკისტანი და ინდოეთი გაყოფილი არ იყო), მაგრამ ამ ქვეყანამ, რომელიც, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, მსოფლიოს ოცეულში შედის, მოახერხა და განავითარა მრეწველობა და, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობა. პაკისტანი რთულ ლანდშაფტზეა განლაგებული, მწვავედ განიცდის სავარგული მიწების ნაკლებობას და, ამიტომაც, დიდი ყურადღება ექცევა ბოტანიკის, ბიოლოგიის, ზოოლოგიის და სხვა მომიჯნავე სამეცნიერო მიმართულებების განვითარებას. მსოფლიო კონგრესიც სწორედ გამოყენებით ბოტანიკას შეეხებოდა, თუმცა სხვა სამეცნიერო სექციებმაც წარმატებით იმუშავა.

არნოლდ გეგეჭკორი: „ქალაქი, ფაისალაბადი, სადაც მე გახლდით, 7 მილიონიანია. სახელმწიფო კოლეჯ-უნივერსიტეტში (ყოფილი სამეფო კოლეჯი-უნივერსიტეტი), სადაც აღნიშნული კონგრესი ჩატარდა, 35 ათასი სტუდენტი სწავლობს. მსოფლიო კონგრესი ბოტანიკის მიმართულებით ტარდებოდა. ცხადია, მასში იყო თეორიული ნაწილიც, მაგრამ ზოგადი თვალთახედვით, აქცენტი გაკეთებული იყო გამოყენებით ბოტანიკაზე. მონაწილეობა მივიღე თეორიისა და ბიოგეოგრაფიის სექციებში. ბიოგეოგრაფია სინთეზური დარგია და მასში შედის ზოოლოგიაც, ბოტანიკაც, ევოლუციაც, ეკოლოგიაც, გეოლოგიაც და ა.შ.

სიმართლე გითხრათ, ამ ქვეყანამ, მიუხედავად იმისა, რომ დედამიწის ხუთივე კონტინენტზე ვარ ნამყოფი, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ქვეყანა, რომლის ტერიტორიის 80 პროცენტს უდაბნო წარმოადგენს, იღვწის ამ უდაბნოების ოაზისად ქცევასა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების საკუთარ ლანდშაფტზე მორგებისთვის. აქ დიდი ყურადღება ექცევა კლიმატისა და ნიადაგებისთვის შესაფერისი სასოფლო-სამეურნეო ჯიშების გამოყვანას და, ამ მხრივ, საკმაოდ დიდი წარმატებებს მიაღწია. აქვთ უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები და საცდელი ნაკვეთები (განსაკუთრებით ხორბლისა და ბამბის ნათესებით), რომელზე გამოყვანილ ჯიშებსაც შემდეგ მოსახლეობას აწვდიან.

ჩემთვის ყველაზე გასაოცარი გახლდათ ქვეყნის სწრაფვა მეცნიერების განვითარებისთვის. აქვთ კოლოსალური დაფინანსება და დაინტერესებული არიან ახალი იდეების აკუმულირებით. დიდი ინტერესით მოისმინეს ჩემი მოხსენება — „კავკასიის ეკორეგიონი და მისი ბიოგრაფიული კავშირები ევროპასა და აზიასთან, გეოლოგიური წარსულიდან დღევანდელობის ჩათვლით“. ეს კუთხე მათთვის იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ მოხსენებისთვის 45 წუთი მომცეს. გამოხმაურება იყო ძალზე სერიოზული, რის გამოც გადმომეცა ეს ჯილდო. გარდა ამისა, ორჯერ ვუხელმძღვანელე პლენარულ სხდომას, რაც ასევე ჯილდოთი აღინიშნა. საოცარი ყურადღება გამოიჩინეს იქაურმა მეცნიერებმა — სულ 5 მეცნიერს მისცეს ხის დარგვის საშუალება, მათ შორის აღმოვჩნდი მეც და დამარგვევინეს სწორედ ის ხე, რომლითაც წინა დღით დავინტერესდი. ეს გახლდათ „ბისმარკია მირაბელის“ (Bismarkia mirabelis) საოცარი ვერცხლისფერი პალმა. დავრწმუნდი, რომ პაკისტანის ახალგაზრდობას ძალიან დიდი ინტერესი აქვთ სიახლეებისა, რაც ფაისალაბადის ქალთა უნივერსიტეტშიც გამოჩნდა“.

კონგრესის ბოლოს პროფესორმა არნოლდ გეგეჭკორმა მსოფლიოში ცნობილი თურქი მეცნიერისგან, მუნირ ოზთურქისგან მიიღო წინადადება, რომ კავკასია-ანატოლიის ბიოგეოგრაფიის შესახებ ერთობლივად გამოაქვეყნონ ნაშრომი მსოფლიოს ერთერთ ყველაზე პრესტიჟულ გამოცემა „Springer“-ში.

მაია ტორაძე

ახალი სახელმძღვანელო — „გენდერული სტატისტიკის საკითხები“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის სიმონ გელაშვილის და მოწვეული ასოცირებული პროფესორის ლია ჩარექიშვილის წიგნის „გენდერული სტატისტიკის საკითხები“ პრეზენტაცია გაიმართა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები და სამივე საფეხურის სტუდენტები. პრეზენტაციას ასევე დაესწრო და სიტყვით გამოვიდა თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, რომელმაც აღნიშნა: ,,ყოველი ახალი წიგნის გამოქვეყნება განსაკუთრებული მოვლენაა და ბევრად უფრო დიდია მისი მნიშვნელობა მაშინ, თუ იგი პირველია ამა თუ იმ სფეროში და სასწავლო მიზნებს ემსახურება. დღეს სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რაც მისასალმებელია“.

დამხმარე სახელმძღვანელო „გენდერული სტატისტიკის საკითხები“ მოიცავს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად თემებს. მასში ასახულია გენდერული სტატისტიკის ზოგადი საკითხები, წარმოდგენილია გენდერული სტატისტიკის ტერმინოლოგია და გენდერული ინდიკატორები. განხილულია სექტორთაშორისო სტატისტიკური მონაცემების ანალიზის მაგალითები გენდერული საკითხების მიზეზ-შედეგობრივი ასპექტების წარმოჩენით. სახელმძღვანელოში განხილულია სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგების გამოყენების მნიშვნელობა გენდერული სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისთვის.

როგორც წიგნის შესავალში ვკითხულობთ, მოცემული წიგნი შედგება 5 თემისა და 25 პარაგრაფისგან. პირველ თემაში — „გენდერული სტატისტიკის არსი და მისი წარმოების ზოგადი საკითხები“ განხილულია გენდერული თანასწორობა, გენდერული ინდიკატორები, გენდერული სტატისტიკის მონაცემთა წყაროები და სხვა. მე-2 თემაში — „გენდერული კონცეფციები და კონვენციები; ძირითადი ცნებები და კატეგორიები გენდერულ სტატისტიკაში“ განხილულია გენდერული პრობლემები საერთაშორისო კონვენციებში, გენდერული სტატისტიკის ძირითადი ცნებები, გენდერული სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტები და სხვა. მე-3 თემაში — „გენდერული სტატისტიკის მონაცემთა სისტემატიზაცია და პრეზენტაცია“ მოცემულია გენდერული სტატისტიკის მონაცემთა პირველადი დამუშავების წესი, გენდერულ კვლევებში გამოყენებული ძირითადი კლასიფიკაციები და დაჯგუფებანი, გენდერული სტატისტიკის მონაცემთა პრეზენტაციის მეთოდები და ა.შ. მე-4 თემაში — „სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემები: შიდასექტორული და სექტორთაშორისო კორელაციები“ გააანალიზებულია გენდერული სტატისტიკის მონაცემები სხვადასხვა სფეროს მიხედვით და მათი კორელაციური კავშირები, გაანგარიშებულია სათანადო რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები კომპიუტერული პროგრამა spss-ის გამოყენებით. ამ წიგნის ბოლო, მე-5 თემაში — „სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემების გამოყენება გენდერული ანალიზისთვის და სახელმწიფო პოლიტიკის მოსალოდნელი შედეგების შეფასება გენდერული თვალსაზრისით“ – განხილულია გენდერული თანასწორობა და გენდერული მეინსტრიმინგი სახელმწიფო პოლიტიკაში, გენდერული თანასწორობის გაზომვა სტატისტიკური ინდექსების გამოყენებით და ასე შემდეგ.



როგორც პროფესორმა სიმონ გელაშვილმა აღნიშნა: ,,ამ წიგნის მომზადებისა და გამოცემის მთავარი საფუძველია ის, რომ ,,ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის“ სამაგისტრო მოდულში ისწავლება საგანი ,,გენდერული სტატისტიკა“, ხოლო შესაბამისი სახელმძღვანელო ამ საგანში დღემდე არ არსებობდა. ეს გარკვეულ სირთულეებს უქმნიდა სტუდენტებს და ზედმეტი დატვირთვა იყო ლექტორებისთვისაც, რადგან მათ უნდა მოემზადებინათ სალექციო მასალა ნაბეჭდი ან ელექტრონული ფორმით და გადაეცათ სტუდენტებისთვის. ახლა ეს პრობლემა მოგვარებულია და იმ სტუდენტებს, რომლებმაც ეს საგანი მიმდინარე ან მომავალ სემესტრში უნდა შეისწავლონ, სახელმძღვანელოები დღესვე საჩუქრად გადაეცემათ“.

პროფესორმა სიმონ გელაშვილმა წიგნის ავტორებისა და სარედაქციო ჯგუფის სახელით მადლობა გადაუხადა აზიის განვითარების ბანკს, რომელმაც სრულად დააფინანსა წიგნის საგამომცემლო და სასტამბო ხარჯები.

აზიის განვითარების ბანკის კავკასიის რეგიონულმა კონსულტანტმა გენდერის საკითხებში, ქალბატონმა ქეთევან ჩხეიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ პრეზენტაციაზე წარმოდგენილი წიგნი საქართველოში პირველია, რომლის გამოცემაც დააფინანსა აზიის განვითარების ბანკმა. აღნიშნული ორგანიზაცია უკვე მრავალი წელია თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან და მრავალმილიონიანი ღირებულების მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს. დღეს კი ამ წიგნის გამოცემის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო ბანკის ახალი ინიციატივა და მისი საქმიანობის გაფართოება განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით, რაც მომავალში კიდევ უფრო განვითარდება. ქეთევან ჩხეიძემ ასევე აღნიშნა: ,,აზიის განვითარების ბანკის სათაო ოფისიდან თბილისში ხშირად ჩამოდიან მაღალი დონის ეკონომისტები და, თუ დაინტერესდებიან, ჩემი ძალისხმევით აქ ისინი ჩაატარებენ საჯარო ლექციებს და სხვა სახის შეხვედრებს, რაც მნიშვნელოვანი იქნება როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალისთვისაც“.

ასოცირებულმა პროფესორმა ჩარიტა ჯაშმა განაცხადა, რომ გენდერული პრობლემების კვლევას საქართველოში არა აქვს დიდი ხნის ისტორია: „დაახლოებით 16-17 წლის წინ გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, დაიწყო გენდერის და, მათ შორის, გენდერული სტატისტიკის საკითხების კვლევა. მაშინ შეიქმნა სპეციალური საექსპერტო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ როგორც სხვადასხვა სამინისტროს, ასევე ოფიციალური სტატისტიკისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. ამ ჯგუფში ვიყავი მეც და ამ წიგნის თანაავტორი ლია ჩარექიშვილი. ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი პირველი პრაქტიკული შედეგი იყო სტატისტიკური კრებულის — ,,ქალი და კაცი საქართველოში“ — მომზადება და გამოცემა. მომდევნო წლებში კიდევ გამოიცა ანალოგიური სახელწოდების რამდენიმე კრებული, რამაც დიდი როლი შეასრულა გენდერული პრობლემების კვლევის ინფორმაციულ უზრუნველყოფაში“, — აღნიშნა ჩარიტა ჯაშმა.

31 მარტს გამართულ პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ ასევე პროფესორები: მირიან ტუხაშვილი და მერაბ ხმალაძე, ასოცირებული პროფესორები ლია ჩარექიშვილი და მარინა მუჩიაშვილი, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის სამაგისტრო მოდულის პირველი კურსის სტუდენტი ქრისტინე კოხოძე, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს წიგნის ავტორებს და გამოცემის ფინანსურ მხარდამჭერს – აზიის განვითარების ბანკს. როგორც მათ აღნიშნეს, წარმოდგენილ წიგნს – ,,გენდერული სტატისტიკის საკითხები“ – მასში განხილული თემატიკისა და მდიდარი სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იგი სასარგებლო იქნება არა მხოლოდ სტუდენტებისათვის, არამედ გენდერის პრობლემატიკის მკვლევართათვის, მასმედიისა და ფართო საზოგადოებისთვის.

თამარ დადიანი

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში

კვლევის პრეზენტაცია უზენაეს სასამართლოში

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესრულებული საგრანტო ნაშრომი გამოიცა. წიგნის „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“ პრეზენტაცია საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართა. ნაშრომი საქართველოში 2013 წლიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მიმდინარე პროცესებს და მომავალში გასატარებელ ცვლილებებს ეხება.

კვლევა ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ — ფინანსური მხარდაჭერით შესრულდა და გამოიცა. ნაშრომში ექსპერტების სახით ჩართულნი იყვნენ: პროფესორ-ემერიტუსი მზია ლეკვეიშვილი, პროფესორ-ემერიტუსი გურამ ნაჭყებია, პროფესორი ნონა თოდუა (პროექტის ხელმძღვანელი), პროფესორი მაია ივანიძე, ასოცირებული პროფესორი ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ასისტენტ-პროფესორი თემურ ცქიტიშვილი.

„2014 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა ერთმა ჯგუფმა გადავწყვიტეთ, ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“-თვის წარმოგვედგინა პროექტი, რომელიც მიეძღვნებოდა საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემდგომი დახვეწის საკითხს მისი ლიბერალიზაციის კუთხით. ავტორთა კოლექტივის მიზანი იყო ამ მიმართებით საქართველოში უკვე დაწყებული კანონშემოქმედებითი საქმიანობისთვის ხელის შეწყობა. ამ პროექტმა აღნიშნული ფონდის მიერ ფინანსური მხარდაჭერა მოიპოვა.

ერთი წლის მუშაობის შემდეგ ჩვენ შევძელით შესაბამისი ნაშრომის გამოქვეყნება, სადაც საკითხები განხილულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით.

ამ ნაშრომზე დაყრდნობით ვგეგმავთ შესაბამისი გაღრმავების კურსის შეთავაზებას სტუდენტებისთვის.

საგულისხმოა, რომ ნაშრომი დიდი ინტერესით მიიღეს შესაბამისი უწყების წარმომადგენლებმა. მათგან მიღებული შენიშვნები და წინადადებები ნაშრომის ყველა თანაავტორისთვის იქნება ღირებული და სათანადოდ აისახება მათ შემდგომ მუშაობაში.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში იკვეთება დადებითი ტენდენცია მეცნიერებისა და პრაქტიკის დაახლოების თვალსაზრისით, რისი მკაფიო გამოვლინება იყო ამ წიგნის პრეზენტაცია საქართველოს უზენაეს სასამართლოში“, — განაცხადა პროექტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნონა თოდუამ.

წიგნის „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“ პრეზენტაციას საქართველოს პარლამენტის, სასამართლო ხელისუფლების, პროკურატურისა და ადვოკატურის წარმომადგენლები და აკადემიური წრის წევრები დაესწრნენ. ღონისძიება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნინო გვენეტაძემ გახსნა, რომელმაც დადებითი შეფასება მისცა პროექტის ფარგლებში გამოცემულ ნაშრომს. პროექტის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა, ასევე იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი ბურდული, ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ წარმომადგენელი გიორგი ბურჯანაძე. პრეზენტაციის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ქალბატონი ეკა ბესელია, რომელმაც ისაუბრა ამგვარი პროექტის მნიშვნელობაზე კანონშემოქმედებით საქმიანობაში. პროექტის ექსპერტებმა გურამ ნაჭყებიამ, მაია ივანიძემ და თემურ ცქიტიშვილმა წიგნში თავიანთი კვლევის საგანთან დაკავშირებით მოკლე ინფორმაცია წარმოადგინეს.

პრეზენტაცია დისკუსიით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა მერაბ ტურავამ, საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრმა, პროფესორმა ევა გოცირიძემ, საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორმა დავით სულაქველიძემ.

გამომსვლელებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ ნაშრომის პრეზენტაცია მისი პროექტის მონაწილეს, პროფესორ-ემერიტუს მზია ლეკვეიშვილის მონაწილეობის გარეშე შედგა. შეკრებილმა საზოგადოებამ პატივი მიაგო მის ხსოვნას.

მოამზადეს ნატო ობოლაძემ და გიორგი ამირანაშვილმა

ხსოვნა

პროფესორ მერაბ ჯიბლაძის გახსენება

პროფესორ მერაბ ჯიბლაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის, უნივერსიტეტის იდეის თითოეული მატარებლებისათვის.

იგი იყო მეცნიერი და მასწავლებელი, რომელიც უაღრესად საინტერესო და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ფიზიკის სხვადასხვა დარგში, 22 გამოგონების პატენტის მფლობელი, 300-მდე სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის, მათ შორის 14 მონოგრაფიისა და 6 სახელმძღვანელოს ავტორი, ამერიკის ფიზიკის სამეცნიერო საზოგადოების წევრი, პეტრე მელიქიშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

მერაბ ჯიბლაძე დაიბადა 1941 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის - იოსებ ჯიბლაძისა და ტელეცენტრის ინჟინრის მარიამ არსენიშვილის ოჯახში. 1958 წელს, თბილისის 55-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ის სწავლას აგრძელებს თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტზე. 1963 წელს ასრულებს სადიპლომო ნაშრომს ლაზერული ფიზიკის დარგში და 1964 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1965-1968 წლებში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტია, სადაც კვლევას ახორციელებს ნობელის პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ალ. პროხოროვის ხელმძღვანელობით და იცავს საკანდიდატო დისერტაციას. 1970 წლიდან კითხულობს ლექციებს ლაზერულ ფიზიკაში თსუ ფიზიკის ფაკულტეტზე. 1974 წელს ირჩევენ დოცენტად. რადიოფიზიკის კათედრასთან აარსებს ქვანტური ელექტრონიკისა და ლაზერების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას, რომელიც მუშაობს მოსკოვის ფიზიკის ინსტიტუტისა და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ენერგიის" დაფინანსებით — სამეურნეო ხელშეკრულებების საფუძველზე. იკვლევს ბოჭკოვანი ლაზერების გენერაციის კინეტიკას და მის საფუძველზე ქმნის სრულიად ახალი ტიპის – წვრილღეროვან მძლავრ ლაზერებს, რომელმაც წარმატებით იქნა გამოყენებული კოსმოსურ ხომალდებზე. მისი გამოგონება ჯილდოვდება საკავშირო კონკურსის ვერცხლის მედლით.

მერაბ ჯიბლაძის ლაბორატორიის კვლევები ხორციელდებოდა საზღვარგარეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან — მოსკოვის ზოგადი ფიზიკის ინსტიტუტთან (რუსეთი), იენის უნივერსიტეტთან (გდრ), პალერმოს უნივერსიტეტთან (იტალია) — მჭიდრო თანამშრომლობით. მერაბ ჯიბლაძემ ნაყოფიერი სამეცნიერო კონტაქტები დაამყარა ამერიკის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის სამეცნიერო ცენტრებთან. ის აირჩიეს საკავშირო სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს წევრად ლაზერულ და არაწრფივი ოპტიკის დარგში.

1989 წელს მერაბ ჯიბლაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „მძლავრი ტალღაგამტარული ლაზერები", რომლის სრული ტექსტიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ქვანტური ელექტრონიკის" ინგლისურენოვან ვერსიაში. მას ირჩევენ უნივერსიტეტის პროფესორად. 1993 წელს იგი ხდება აშშ ფიზიკის სამეცნიერო საზოგადოების წევრი.

აღსანიშნავია მერაბ ჯიბლაძის დამსახურება სამედიცინო ფიზიკის დარგში. გასული საუკუნის 80-იან წლებში მან დაადასტურა ლაზერის სხივის ჩანაცვლების ეფექტურობა არაკოჰერენტული სხივით, რაც ქმნის მკურნალობის ხარჯის მნიშვნელოვან ეკონომიას. 1998 წელს ბიოფიზიკის საერთაშორისო კონგრესზე (კოლორადო, აშშ) გამოქვეყნებული მისი მოხსენება სინათლით მკურნალობაში ლაზერების ნაცვლად ფოტოდიოდების გამოსხივების გამოყენების თაობაზე, საფუძველს უდებს რუსეთსა და გერმანიაში ფოტოთერაპიული აპატარების შექმნასა და სამედიცინო კლინიკებში გამოყენებას. ამ მიმართულებით იგი წარმატებით თანამშრომლობდა აკადემიკოს ფრიდონ თოდუასთან, ასევე თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარებთან. ბატონი მერაბი სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ლაბორატორიულ ცხოველებზე ექსპერიმენტებს ქვანტური მედიცინის დარგში. მან დაწერა მონოგრაფია „ქვანტური მედიცინა", რომელიც 2014 წელს გამოაქვეყნა გერმანულმა გამომცემლობამ „LAMBERT Academic Publishing".

მნიშვნელოვანია მერაბ ჯიბლაძის მოღვაწეობა ბირთვული ფიზიკის თეორიისა და სკოლაში ფიზიკის სწავლების განვითარების დარგში. იმავე გერმანულმა გამომცემლობამ გამოსცა კიდევ 2 მისი მონოგრაფია: „მითი თუ რეალობა?!" და „ატომის ბირთვის კრისტალური აგებულება". პირველში მოცემულია სამყაროს დიდი აფეთქებისა და გლობალური დათბობის თეორიის კრიტიკა (რაც ფრიად გაბედული ნაბიჯია), ხოლო მეორე ეხება ატომის ბირთვის კრისტალერი აგებულების მოდელის დასაბუთებას, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ბუნებაში სტაბილური და არასტაბილური ბირთვების რაოდენობის შემოზღუდულობის, ასევე დაბალტემპერატურული ბირთვული სინთეზის მოვლენის ენერგეტიკის ახსნა. ნაჩვენებია ცივი ბირთვული რეაქციების უაღრესი პერსპექტიულობა (მისი სრული რადიაციული უსაფრთხოების გამო) და მოწოდებულია მოსაზრება, თუ როგორ შეიძლება იქცეს დაბალტემპერატურული ბირთვული ენერგეტიკა მეცნიერებატევადი ინოვაციური ტექნოლოგიების ერთერთ საფუძვლად.



მერაბ ჯიბლაძეს ეკუთვნის საჯარო სკოლებში ფიზიკის (და საერთოდ, საბუნებისმეტყველო საგნების) ახლებურად სწავლების კონცეფცია და ამ კონცეფციაზე დაყრდნობით შექმნილი ფიზიკის სახელმძღვანელო. აღსანიშნავია, აგრეთვე, მის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოები სტუდენტებისათვის: „ზოგადი ფიზიკა" (2 ტომად), „შესავალი ფიზიკაში" (11 ბროშურის სახით) და „სამედიცინო ფიზიკა". ეს სახელმძღვანელოები, ჯერ კიდევ ელის შესაბამის აღიარებასა და გამოყენებას.

2006 წელს მერაბ ჯიბლაძე ალ. ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტთან თანამშრომლობით მუშაობას იწყებს შავი ზღვის გოგირდწყალბადის ენერგეტიკულ და ეკოლოგიურ პრობლემებზე. ეს მუშაობა შემდგომ წარმატებით გრძელდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც 2010 წლიდან, როგორც მიწვეულმა პროფესორმა დაამუშავა შავი ზღვის სიღრმული წყლის ამოღების სრულიად ახალი და ეფექტური მეთოდი, რომელიც პრაქტიკულად განახორციელა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის დახმარებით. ეს მეთოდი სიღრმული წყლების ამოღებისა და შენახვის მთელ პროცესში უზრუნველყოფს გოგირდწყალბადით მდიდარი წყლის სრულ იზოლაციას ატმოსფეროს ჟანგბადის ზემოქმედებისაგან, რაც სხვა მეთოდებით ვერ მიიღწეოდა. (პროექტის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ი. ვეკუას სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტმა).

პროფესორმა ჯიბლაძემ ასევე დაამუშავა გოგირდწყალბადის ფოტოდისოციაციის ეფექტური მეთოდი, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს წყალბადის წარმოების ფასს. კვლევის შედეგებით სერიოზულად დაინტერესდა შავი ზღვის აუზის ქვეყნების რამოდენიმე კომპანია. მნიშვნელოვანია მის მიერ დამუშავებული ბაზალტის ძაფის მიღების ეფექტური მეთოდი, ასევე მოწყობილობები მომწამლავი და აალებადი ნივთიერებების ეკოლოგიურად სრულიად უხიფათო და უდანაკარგო ტრანსპორტირებისთვის, რომლებზეც მოპოვებული აქვს შესაბამისი პატენტები.

ყოველივე ზემოთქმული პროფესორ მერაბ ჯიბლაძის მოღვაწეობას წარმოგვიდგენს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრების წარმატებული თანამშრომლობის ორგანიზების თვალსაჩინო ნიმუშად.

ბატონი მერაბი გარეგნული თუ პიროვნული მომხიბლაობის გამო, მუდამ იყო რჩეული მეგობარი, ლექტორი, თანამშრომელი, მოქალაქე. მან ქალბატონ ნანა ნოდიასთან ერთად სიყვარულითა და ურთიერთპატივისცემით განმსჭვალული შესანიშნავი ოჯახი შექმნა.

სიცოცხლის ბოლო წელი, საყვარელი მეუღლის მოულოდნელი გარდაცვალებით შეძრულმა და უკურნებელი სენით გათანგულმა მერაბ ჯიბლაძემ მაინც ლაბორატორიაში და კომპიუტერთან გაატარა. ცდილობდა დასაფიქსირებელი არ დარჩენოდა არც ერთი ნოვატორული და სამომავლო კვლევების განმსაზღვრელი იდეა.

ბოლომდე უნივერსიტეტელი იყო.

გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე საკუთარი სადოქტორო დისერტაციის დედანი (დისერტაციისა, რომელმაც ფართო აღიარება მოუპოვა და რომელიც ძალზე ეძვირფასებოდა) წარწერით აჩუქა თსუ-ის ბიბლიოთეკას.

მერაბ ჯიბლაძის დაწყებული კვლევები და მონიშნული მიმართულებები გამგრძელებლებსა და მიმდევრებს ელოდება.

ნათელში იყოს მისი სული!

ვლადიმერ როინიშვილის გახსენება

2016 წლის 7 მარტს გარდაიცვალა საქართველოში მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი და კონსულტანტი, დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებუ-ლი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი ბატონი ვლადიმერ როინიშვილი.

ბატონი ვლადიმერი დაიბადა თბილისში 1932 წლის 7 იანვარს. 1957 წ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, მან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში, სადაც იგი დაკავებული იყო დამუხტული ნაწილაკების მარეგისტრირებელი ახალი გაზური დეტექტორების შემუშავებით. 1964 წ. ამ სამუშაოების შედეგები საფუძვლად დაედო მის საკანდიდატო დისერტაციას. 1970 წ. „ტრეკული ნაპერწკლოვანი კამერების" სამუშაოთა ციკლისთვის ვ. როინიშვილს მოსკოვის, ერევნისა და თბილისის მეცნიერთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა ლენინური პრემია.

1969–1970 წწ. ბატონი ვლადიმერი მივლინებით იმყოფებოდა ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში CERN (ჟენევა, შვეიცარია), სადაც მონაწილეობდა ექსპერიმენტში CBS (CERN BosonSpectrometer).

1970 წ. ბატონი ვლადიმერი ხანგრძლივი მივლინებით გაემგზავრა მოსკოვის ოლქის დაბა პროტვინოს მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში. აღსანიშნავია, რომ ვ. როინიშვილი გახლდათ ერთ-ერთი პირველი თბილისიდან ჩასულ ექსპერიმენტატორთაგან, რომელთა ძალისხმევით მაღალი ენერგიების ფიზიკის დარგში მომუშავე ქართველი მეცნიერების არაერთ თაობას ნაწილაკთა ამაჩქარებლებთან დაკავშირებულ დანადგარებზე მუშაობის საშუალება მიეცათ.

პროტვინოს ამაჩქარებელზე ევროპელი მეცნიერების ჯგუფთან ერთად მან საფუძველი დაუდო საერთაშორისო კოლაბორაციას CIBS (CERN–IHEP BosonSpectrometer). ექსპერიმენტის მთავარი მარეგისტრირებელი დანადგარი იყო ქართველი მეცნიერების გ. ჩიქოვანის, ვ. როინიშვილისა და ვ. მიხაილოვის მიერ შემუშავებული ფართო ნაპერწკლოვანი კამერები მონაცემთა ამოკითხვის მაგნეტოსტრიქციული საშუალებით. დანადგარი განსაკუთრებულად



წარმატებული გამოდგა და შემდგომში მრავალი წლის განმავლობაში გამოიყენებოდა СИГМА ექსპერიმენტშიც. ამ დეტექტორებზე მიღებული შედეგები ნათელს ფენდა სხვადასხვა ფიზიკურ პროცესებს, როგორებიცაა ნაწილაკთა ხისტი გაბნევა, ბოზონური სპექტროსკოპია, ადრონულ ურთიერთქმედებებში J/Ψ და Ψ' ნაწილაკების დაბადება მიუონურ წყვილებად მათი შემდგომი დაშლებით, ϖ--მეზონის პოლარიზაცია და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ბატონი ვლადიმერი არამარტო ფიზიკური დანადგარების შემუშავებით იყო დაკავებული, არამედ აქტიურად მონაწილეობდა მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავებაშიც. ანალიზისა და შედეგების ინტერპრეტაციის მისთვის ჩვეული ორიგინალური მიდგომა პირველი შეხედვით ბევრს გამარტივებულად ეჩვენებოდა, შემდგომში კი სრულად წარმოაჩენდა მათ ეფექტურობასა და სიღრმეს. 1976 წ. სპექტროსკოპიისა და ინკლუზიური პროცესების დარგში ჩატარებული სამუშაოები საფუძვლად დაედო ბატონი ვლადიმერის სადოქტორო დისერტაციას.

წინა საუკუნის 80-ან წლებში ვლადიმერ როინიშვილი გახდა პროტვინოში მშენებარე УНК (Ускорительно-накопительныйкомплекс) კოლაიდერზე დამტკიცებული ორი პროექტის ხელმძღვანელი: TSD (Track-StreamerDetector) და MMS (Multi-Muon Spectrometer). ეს უკანასკნელი გათვალისწინებული იყო t-კვარკის აღმოსაჩენად მისი მრავალმიუონური დაშლების დამზერით. ბატონი ვლადიმერის მიერ შემუშავებული იქნა მაგნიტური ველის ორიგინალური კონფიგურაცია მიუონების იმპულსების ზუსტი გაზომვებისთვის. თუმცა УНК კოლაიდერის კონსერვაციის გამო შ პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა, მაგნიტური ველის კონფიგურაცია გამოიყენება ჩღ-ის ექსპერიმენტში CMS (Compact Muon Solenoid).

წინა საუკუნის 90-ანი წლების დასაწყისში ვლადიმერ როინიშვილის დაუღალავი ძალისხმევითა და ავტორიტეტით დამყარდა პირდაპირი კავშირი CERN-სა და საქართველოს ინსტიტუტებს შორის. ბატონი ვლადიმერის ხელმძღვანელობით ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტისა და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები გახდნენ CMS კოლაბორაციის უშუალო წევრები ექსპერიმენტის დაარსებისთანავე. უდავოა, რომ ქართული ჯგუფის მაშინდელმა წარმატებებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა CERN-ისა და ევროპის სამეცნიერო ინფრასტრუქტურებსა და ექსპერიმენტებში ქართველი ფიზიკოსებისა და ინჟინრების შემდგომი ინტეგრაციის საქმეში.

1997 წლიდან ვლადიმერ როინიშვილი გახდა დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის თანამშრომელი. მისი მოღვაწეობა უკავშირდება CMS ექსპერიმენტს. სხვადასხვა დროს მან შეიმუშავა ადრონული კალორიმეტრის მიერ გაზომილი ენერგიის კორექციის მეთოდი ელექტრომაგნიტური კალორიმეტრითა და ტრეკული დეტექტორებით მიღებული ინფორმაციის გამოყენებით; სრული ნათების დადგენის მეთოდი J/Ψ ნაწილაკების გაჩენის სიხშირის გაზომვით; ბ-კვარკის არომატის იდენტიფიკაციის მეთოდი CP მუხტურ-სივრცული სიმეტრიის რღვევის შესასწავლად B – მეზონების დაშლებში.

ბატონი ვლადიმერის სამეცნიერო ორიგინალობა ვერც მისმა ხანდაზმულობამ შელახა. უკანასკნელ წლებში მან ახალი მიდგომა შეიმუშავა ნაწილაკთა ადრონიზაციის ასახსნელად pp-bar ურთიერთქმედებებში, e+e-ანიჰილაციებსა და მძიმე ბოზონების (W,Z) დაშლებში. მისი მეთოდი ენერგიათა მატებისას ადრონების გაჩენის რეაქციებში ნაწილაკთა მრავლობითობის ზრდასა და სრული განაკვეთების ზრდას შორის პირდაპირი კავშირის დამყარების საშუალებას იძლევა.

პარალელურად ვლადიმერ როინიშვილი მუშაობდა ჰიგსის ახლად აღმოჩენილი ნაწილაკის მასის დადგენის ალტერნატიულ მეთოდზე მისი ოთხ ლეპტონურ ნაწილაკად დაშლის რეაქციებში. მისი მეთოდით შესაძლებელია ATLAS და CMS ექსპერიმენტების მიერ ჰიგსის ბოზონის მასის გამოქვეყნებული მნიშვნელობების სხვაობის აცილება.

ვლადიმერ როინიშვილი 200-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის, ერთი გამოგონებისა და მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და თათბირის მოხსენებათა ავტორია.

ბატონი ვლადიმერი იყო არაჩვეულებრივად კარგი, მხიარული, თავაზიანი ადამიანი გამორჩეული იუმორის გრძნობით. მისთვის ჩვეული უშუალო, თბილი, კეთილმოსურნე ურთიერთობები უკლებლივ უმკვიდრებდა პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობას მის გარემოცვაში. ბატონმა ვლადიმერმა უკანასკნელ დღემდე შეინარჩუნა მეცნიერებისადმი დაუოკებელი ინტერესი და ძალზე ნაყოფიერად შრომობდა. განურჩევლად მისი მოღვაწეობის ადგილისა იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა ქართული მეცნიერების პრესტიჟის ზრდისთვის, ახალგაზრდა ქართველი ფიზიკოსებისთვის ახალი საერთაშორისო ასპარეზების გახსნისთვისა და მათი დალაშქვრისთვის საჭირო პირობების შექმნისთვის.

ბატონი ვლადიმერ როინიშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ იმკვიდრებს განსაკუთრებულ ადგილს ჩვენს გონებაში.

მეგობრების ჯგუფი ანდრონიკაშვილის ფიზიკის და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტებიდან

ნოე რამიშვილის 135 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა

8 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობის პირველი თავმჯდომარის, შინაგან საქმეთა მინისტრის, სამხედრო და სახალხო განათლების მინისტრის ნოე რამიშვილის 135 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართა, სადაც თსუ-ის ბიბლიოთეკაში დაცული ნოე რამიშვილის პირადი ნივთები, წიგნები, საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ეპისტოლარული მემკვიდრეობა და ფოტოები, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტები გამოიფინა. ღონისძიების ბოლოს მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზში ამ თემასთან დაკავშირებით დისკუსია გაიმართა, რომელსაც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ჯანელიძე უძღვებოდა. ღონისძიება თსუ-ის ბიბლიოთეკის ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრის" ორგანიზებით გაიმართა, რომელსაც თსუ-ის რექტორი ვლადიმერ პაპავა, თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ.

„მათ, ვინც ამ პერიოდის შესახებ ინფორმაციას ფლობს, ისიც კარგად ახსოვს, რომ იმ ლეგენდარულ ადამიანებს შორის, უპირველესად, ნოე რამიშვილია, თუმცა ჩვენსა და კიდევ უფროს თაობა ამ ეპოქის შესახებ დამახინჯებული წარმოდგენა გვქონდა. დღეს ეს პრობლემა აღარ არსებობს და სასიხარულოა, რომ თანამედროვე ახალგაზრდობამ იცის რეალური ისტორია. ისტორიის ეს პერიოდი კვლავაც გამოსაკვლევია და ამ მიმართულებით სამუშაო ბევრია. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა თსუ-ის ბიბლიოთეკასთან არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი, რომელსაც ნიჭიერი ახალგაზრდები ჩაუდგნენ სათავეში და საინტერესო სამუშაოებს ასრულებენ. ჩვენს არქივში ინახება უნიკალური მასალა, რომლის ნაწილი დღეს აქ გამოიფინა“, — აღნიშნა თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

ნოე რამიშვილის მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ: ,,ისტორიული მეცნიერება მეცნიერების იმ დარგს განეკუთვნება, რომელიც საქართველოში კარგად არის განვითარებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ათეული წლების მანძილზე, პირველი რესპუბლიკის პერიოდი ტაბუდადებული თემა იყო, უკეთეს შემთხვევაში კი, ისტორიკოსების მიერ კრიტიკულად შეფასებული. დამოუკიდებელ საქართველოში ამ პერიოდის მიმართ დამოკიდებულება განსხვავებული და ჯანსაღია, თუმცა დღემდე ინფორმაცია არ არის ბოლომდე ხელმისაწვდომი, ამიტომ სრული სურათი ჯერ კიდევ არ გვაქვს ამ ეპოქასთან დაკავშირებით. ჩვენმა უნივერსიტეტმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რაც საზღვარგარეთ მცხოვრებ დიასპორასთან მჭიდრო ურთიერთობითა და ამ ცენტრის შექმნით გამოიხატა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრის არქივში დღეს მდიდარი მასალა ინახება, რომელთა დიდი ნაწილი ბიბლიოთეკას ნოე რამიშვილის ნათესავმა მარიამ დავითაშვილმა გადასცა. ცენტრს, რომელიც რამდენიმე თვის წინ შეიქმნა, მდიდარი მასალა ტიერ ბერიშვილმაც აჩუქა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სწორედ ის ადგილია, სადაც ეს საკითხები საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ. ეს გამოფენაც სამუშაო პროცესის გაგრძელებაა. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში კვლევები ამ მიმართულებით ინტენსიურად გაგრძელდება, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით არა ერთი დისერტაცია, სტატია თუ მონოგრაფია მომზადდება. ტიერ ბერიშვილის მაგალითი გადამდები იქნება და ჩვენი დიასპორას სხვა სახელოვანი წარმომადგენლებიც შესწირავენ თსუ-ს სხვადასხვა მასალას, რომელიც კვლევის მეტ შესაძლებლობას მოგვცემს. დარწმუნებული ვარ, ეს კვლევები საშუალებას მოგვცემს ახალი ინფორმაცია მოვიპოვოთ ამ მნიშვნელოვანი ეპოქის შესახებ“, — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.

თსუ-ის ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელის ირაკლი ირემაძის ინფორმაციით, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე სეგმენტი: მათ შორის, უნიკალური ფოტოები, რომელიც ინახებოდა მარიამ დავითაშვილის პირად არქივში; ასევე, მთავრობის სხდომის ოქმები, წერილები, ბრძანებები ნოე რამიშვილის ხელმოწერით; საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი მასალები — ნოე რამიშვილის წერილები, რომლის ძირითადი ნაწილი 1924 წლის აჯანყებას ეძღვნება; ასევე, მისი პირადი ნივთები, რომელიც ცენტრს მარიამ დავითაშვილმა გადასცა.

ღონისძიების ბოლოს გამართულ დისკუსიაზე პროფესორმა ოთარ ჯანელიძემ ვრცლად ისაუბრა 1918-1921 წლების პერიოდზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაზე, ნოე რამიშვილის ღვაწლზე და იმ პერიპეტიებზე, რითაც ეს ეპოქა გამოირჩეოდა.

შურთხია ბეროშვილი

თსუ-ის სტუდენტს რექტორის სტიპენდია გადაეცა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ რექტორის მეხუთე სტიპენდიატი ეთერ კოტრიკაძე დააჯილდოვა. თსუ-ის რექტორის სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილებით 2015/16 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სტიპენდიატი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მერვე სემესტრის სტუდენტი ეთერ კოტრიკაძე გახდა. დაჯილდოების ღონისძიებას თსუ-ის რექტორის სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის წევრები, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები და სტუდენტები დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ კონკურსში გამარჯვება მიულოცა ეთერ კოტრიკაძეს და აღნიშნა: „მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ადამიანმა ირწმუნოს, რომ მისი სწავლა დაფასებულია და შემჩნეულია. შესანიშნავი ახალგაზრდობა გვეზრდება. ჩვენი ვალია აღმოვაჩინოთ ისინი და მივაქციოთ ყურადღება. ეთერი არის არა მხოლოდ ფაკულტეტის, არამედ მთელი უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის გამარჯვებული. მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს პროფესორებს, რომლებიც მონაწილეობენ ასეთი ნიჭიერი კადრების ჩამოყალიბებაში“.

„ჩემთვის ძალიან დიდი სტიმულია ამ კონკურსში გამარჯვება. ის მასშტაბი, რომელიც ყურს ჭრის — ერთადერთი მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით — ძალიან დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. მინდა, მადლიერება გამოვხატო უნივერსიტეტის, ფაკულტეტის და კულტურის კვლევების კათედრის წევრების მიმართ. დიდი მადლობა უნივერსიტეტის რექტორს. ეს სტიპენდია ჩემთვის დიდი სტიმულია, რათა ბაკალავრიატის შემდეგ მაგისტრატურაში სწავლა სწორედ თსუ-ში განვაგრძო. ძალიან ბედნიერი ვარ“, — განაცხადა თსუ-ის რექტორის სტიპენდიატმა ეთერ კოტრიკაძემ.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას ინიციატივით 2013/14 სასწავლო წლიდან, უნივერსიტეტის ისტორიაში პირველად დაარსდა თსუ-ის რექტორის სტიპენდია. სპეციალურმა კომისიამ შეარჩია მაღალი აკადემიური მოსწრების ბაკალავრიატის სტუდენტი, რომელიც რექტორის ხელფასიდან ერთი სემესტრის განმავლობაში ყოველთვიურ სტიპენდიას — 250 ლარს მიიღებს.

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, მარიამ ცისკაძე, ნინო ქალაგანიძე, ირმა რუხაძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-8 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62